

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
ნატა გარაყანიძე

დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია
**„ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა კატარა სახელმწიფოების
საგარეო პოლიტიკა“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
თორნიკე თურმანიძე
პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი

2020

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა/სუსტი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და ენერგორესურსებს, კერძოდ, გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), შორის დამოკიდებულებას. მართალია, აღნიშნული რეგიონების თითოეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია დიდ ძალებთან, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა ეკონომიკური კონტექსტი, კერძოდ, გაზის ფაქტორი - რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი, რომელიც ასევე დაკავშირებულია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსთან.

ნაშრომის დახმარებით დგინდება, რომ მეზობელი დიდი ძალის - რუსეთის - გავლენისგან დისტანცირებას უფრო წარმატებით ახერხებენ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ის სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს, ან/და გააჩნიათ ექსპორტის, ან ტრანზიტის შესაძლებლობები (გაზის ფაქტორი). რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება, პირველ რიგში, მოსკოვის ლიდერობით შექმნილ სამხრედრო ალიანსებსა და პოლიტიკურ ან/და ეკონომიკურ რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში არ გაწევრიანებით გამოიხატება. შესაბამისად, გაზის ფაქტორის არსებობა ასეთი ორგანიზაციებისგან დისტანცირების ერთ-ერთი შესაძლებლობაა. თავის მხრივ, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ის სახელმწიფოები, რომლებიც არც გაზის მდიდარ რეზერვებს ფლობენ და არც ექსპორტისა და ტრანზიტის შესაძლებლობები აქვთ, ხდებიან რუსეთის ახლო მოკავშირეები და, შესაბამისად, წევრიანდებიან ამ ქვეყნის მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ნაშრომში ცალკეა განხილული კვლევის ჩატარებისას გამოკვეთილი გამონაკლისი - ყაზახეთის შემთხვევა, ანუ სახელმწიფოსი, რომელიც, ერთი მხრივ, ფლობს გაზის რეზერვებს და გააჩნია ექსპორტისა ან/და ტრანზიტის გარკვეული შესაძლებლობები, თუმცა, მისი საგარეო პოლიტიკური კურსი პრორუსულია. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული გამონაკლისის ამხსნელი ფაქტორები: გაზის სექტორის (წარმოება,

ექსპორტი) შედარებით განუვითარებლობა და დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოება, რომელიც, მართალია, გაზის ფაქტორს არ უკავშირდება, თუმცა, ყველა სხვა ფაქტორზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია, ენერგორესურსები, გაზი, საგარეო პოლიტიკა.

Abstract

The purpose of this thesis is to study the interconnection between energy resources, gas in particular, and foreign policies of the post-soviet small/weak states of South Caucasus and Central Asian regions. It is suggested that the formation of foreign policies of the mentioned countries is related not only to great powers but also to the internal economic factors such as gas reserves or respective export and/or transit capabilities, i.e. gas factor.

This thesis argues that states with rich gas reserves or export/transit possibilities (gas factor) are more likely to get rid of the influence of the neighbouring great power - Russia, and, thus, to distance themselves from the military alliances and economic/political international organizations created by Moscow. In contrast to this, the states with no gas reserves and no export and/or transit capabilities (gas factor) stay closely aligned with Russia, which is significantly caused by the gas factor. The thesis also discusses an exception in this regard - the case of Kazakhstan, a country which sits atop the rich energy resources, but its foreign policy is still largely pro-Russian. Accordingly, Kazakhstan is an active member of all Russia-led international organizations. The thesis explains this exception by the factors making Kazakhstan unique in comparison with other post-Soviet energy-rich countries: (a) immaturity of Kazakhstan's gas sector, including the rather undeveloped production and export; (b) demographic/geographic issue, which is less related to gas but is still the most important factor determining Kazakhstan's policy.

Keywords: South Caucasus, Central Asia, Energy Resources, Gas, Foreign Policy.

სარჩევი

1	შესავალი.....	1
1.1	თემის აქტუალობა.....	1
1.2	კვლევის ჩარჩოები.....	3
1.3	კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვა, ჰოპოთეზა, ცვლადები.....	5
1.4	მეთოდოლოგია.....	7
1.5	ნაშრომის სტრუქტურა.....	12
2	თეორიული ჩარჩო	13
2.1	ნეორეალიზმი - ზოგადი მიმოხილვა.....	14
2.2	თავდაცვითი რეალიზმი.....	16
2.3	ნეორეალიზმი და ენერგორესურსები.....	17
3	ლიტერატურის მიმოხილვა.....	21
4	პატარა სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკა.....	25
5	სამხრეთ კავკასიის რეგიონი	34
5.1	საერთო მახასიათებლები	35
5.1.1	სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოები: რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები.....	35
5.1.2	გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა	36
5.2	განმსხვავებელი გაზის ფაქტორი	38
5.2.1	რეზერვები.....	38
5.2.1.1	აზერბაიჯანი.....	38
5.2.1.2	სომხეთი.....	40
5.2.1.3	საქართველო.....	41
5.2.2	ექსპორტი - აზერბაიჯანი.....	43
5.2.3	ტრანზიტი	45
5.2.3.1	აზერბაიჯანი.....	45
5.2.3.2	საქართველო.....	47
5.3	განსხვავებული შედეგი - განსხვავებული საგარეო პოლიტიკა	47
5.3.1	სომხეთი - ქვეყანა გაზის რეზერვების/ექსპორტის/ტრანზიტის გარეშე.....	47
5.3.2	საქართველო - ქვეყანა გაზის ტრანზიტის შესაძლებლობებით.....	54

5.3.3	აზერბაიჯანი - ქვეყანა გაზის რეზერვებით/ექსპორტით/ტრანზიტით.....	60
6	ცენტრალური აზიის რეგიონი.....	67
6.1	საერთო მახასიათებლები.....	68
6.1.1	ცენტრალური აზიის რეგიონის პატარა სახელმწიფოები: რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები.....	68
6.1.2	გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა.....	69
6.2	განმასხვავებელი გაზის ფაქტორი.....	71
6.2.1	რეზერვები.....	71
6.2.1.1	ყირგიზეთი.....	72
6.2.1.2	ტაჯიკეთი.....	73
6.2.1.3	თურქმენეთი.....	75
6.2.1.4	უზბეკეთი.....	77
6.2.1.5	ყაზახეთი.....	78
6.2.2	ექსპორტი.....	80
6.2.2.1	თურქმენეთი.....	80
6.2.2.2	უზბეკეთი.....	83
6.2.2.3	ყაზახეთი.....	85
6.2.3	ტრანზიტი.....	86
6.2.3.1	უზბეკეთი.....	86
6.2.3.2	ყაზახეთი.....	87
6.3	განსხვავებული საგარეო პოლიტიკა.....	87
6.3.1	ქვეყნები რეზერვების/ექსპორტის/ტრანზიტის გარეშე.....	88
6.3.1.1	ტაჯიკეთი.....	88
6.3.1.2	ყირგიზეთი.....	93
6.3.2	ქვეყნები რეზერვებით/ექსპორტით/ტრანზიტით.....	97
6.3.2.1	თურქმენეთი.....	98
6.3.2.2	უზბეკეთი.....	104
6.3.2.3	ყაზახეთი - გამონაკლისი.....	110
7	განხილული შემთხვევების ახსნა ნეორეალიზმის თეორიულ ჩარჩოში.....	116
8	დასკვნა.....	121

ბიბლიოგრაფია.....	126
დანართები.....	148
დანართი №1 - „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“, TANAP და TAP.....	148
დანართი №2 - „აგრის“ პროექტი.....	149
დანართი №3 - „ტრანს-კასპიური მილსადენი“.....	150
დანართი №4 - „ცენტრალური აზია-ჩინეთის გაზსადენი“.....	151
დანართი №5 - „ცენტრალური აზია-ცენტრის მილსადენი“.....	152
დანართი №6 - ეთნიკური რუსები ყაზახეთში.....	153
დანართი №7 - ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები.....	154

აბრევიატურები

AA - Association Agreement – ასოცირების შეთანხმება

AGRI - Azerbaijan–Georgia–Romania Interconnector – აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი თხევადი გაზის პროექტი

CACO - Central Asian Cooperation Organization – ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაცია

CNPC - China National Petroleum Corporation – ჩინეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაცია

DCFTA - Deep and Comprehensive Free Trade Areas – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

EurAsEC - Eurasian Economic Community – ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება

GUAM - Organization for Democracy and Economic Development – “სუამი” - დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია

IEA - International Energy Agency – საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო

IGB - Gas Interconnector Greece – Bulgaria – საბერძნეთისა და ბულგარეთის დამაკავშირებელი მილსადენი

IPAP - Individual Partnership Action Plan – ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა

KSOR - Collective Rapid Reaction Force (Коллективные силы оперативного реагирования) - ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალები

MSSD - Most Similar Systems Design – ყველაზე მსგავსი სისტემების მეთოდი

NIOC - National Iranian Oil Company – ირანის ნავთობის ეროვნული კომპანია

PCA - Partnership and Cooperation Agreement – პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება

TANAP - The Trans-Anatolian Natural Gas Pipeline – ტრანსანატოლიური მილსადენი

TAP - Trans Adriatic Pipeline – ტრანსადრიატიკული მილსადენი

TAPI - Turkmenistan–Afghanistan–Pakistan–India Pipeline – თურქმენეთი-ავღანეთი-
პაკისტანი-ინდოეთის დამაკავშირებელი მილსადენი

TPAO - Turkish Petroleum Corporation – თურქეთის ნავთობის კორპორაცია

1 შესავალი

1.1 თემის აქტუალობა

ნაშრომი განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და ენერგორესურსებს, კერძოდ, გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), შორის დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ პატარა/სუსტი სახელმწიფოების კვლევა თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის დაახლოებით 200 ქვეყნიდან ნახევარზე მეტი ასეთი სახელმწიფოა (Neumann and Gstöell, 2004). გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ერი-სახელმწიფოს არაერთი მახასიათებელი უფრო ნათლად პატარა/სუსტი ქვეყნების მაგალითზეა წარმოჩენილი, ვიდრე დიდი სახელმწიფოებისა; ამასთან, ბოლო პერიოდში ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური კრიზისები და საერთაშორისო დაპირისპირებები უმეტესად სწორედ ასეთ სახელმწიფოებს უკავშირდება (Bray and Packer, 1993), ეს კი პატარა/სუსტი სახელმწიფოების კვლევის მნიშვნელობასა და აქტუალობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

არსებობს არაერთი კვლევა, რომელიც პატარა და სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზისას საერთაშორისო არენის გარდა (დამოკიდებულება დიდ ძალებთან (great powers)), შიდა ფაქტორების მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს, თუმცა, არსებულ ლიტერატურაში საუბარია საგარეო პოლიტიკის ფორმირების მხოლოდ შიდა პოლიტიკურ კონტექსტზე. ეკონომიკურ ფაქტორებს კი საკმარისი ყურადღება არ ეთმობა (Doeser, 2011; Hey, 2002; Gvalia 2013). აღსანიშნავია, რომ ნაშრომთა მხოლოდ მცირე ნაწილი ამახვილებს ყურადღებას ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის კავშირზე და ისიც მხოლოდ დიდი ძალების კონტექსტში (Fiona, 2004; Rutland, 2008; Smith, 2006; Goldthau, 2008). ამდენად, არსებობს გარკვეული დანაკლისი პატარა/სუსტი

სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასა და ენერგორესურსების კავშირის შესახებ შექმნილი კვლევებისა.

არსებული ლიტერატურის მსგავსად, ეს ნაშრომიც გარკვეულწილად განიხილავს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა/სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკას დიდ ძალებთან, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში (მით უფრო, რომ პატარა ქვეყნებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საერთაშორისო სისტემაზე (Waltz, 1979)), თუმცა, ყურადღება გამახვილებულია შიდა ეკონომიკურ კონტექსტზე, კერძოდ, გაზის ფაქტორზე (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), რომელსაც ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში.

ზემოაღნიშნული საკვლევით თემა განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რეგიონების პატარა ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო არაერთი დიდი ძალის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენენ. შედეგად, აღნიშნული რეგიონების ქვეყნების მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგიონული, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გარდა ენერგეტიკული პოტენციალითაც გამოირჩევა, ვინაიდან კასპიის ზღვის რეგიონი მდიდარია ნავთობითა და გაზით. ენერგორესურსების როლი კი თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ბოლო ათწლეულში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით (განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის არაერთი დაპირისპირება გაზის საკითხის ირგვლივ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ევროპის დიდი სახელმწიფოების ენერგო უსაფრთხოებასაც), ნათელია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სამხედრო, ან სხვა სახის რესურსი.

აღსანიშნავია, რომ ენერგორესურსების როლის კვლევა პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია ასევე საქართველოსთვის, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნაწილია. მართალია, საქართველო არ გამოირჩევა მდიდარი ენერგორესურსებით, მაგრამ, დაგეგმილი ენერგოპროექტების წყალობით, ქვეყანამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს აზერბაიჯანული (და შესაძლოა ცენტრალური აზიის ქვეყნების) გაზის ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირებაში. ეს კი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზანთან - ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან.

1.2 კვლევის ჩარჩოები

ნაშრომში განხილულია მხოლოდ გარკვეული სასარგებლო წიაღისეულის - გაზის ფაქტორის (იგულისხმება გაზის რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) კავშირი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკასთან. ამ ნაშრომის დახმარებით შეუძლებელია, გაირკვეს სხვა სახის ენერგორესურსების (განახლებადი ენერჯის წყაროები, ნავთობი ან ქვანახშირი, მაგალითად) გავლენა პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე.

ნაშრომი ხაზს უსვამს ბუნებრივი აირის მნიშვნელობას, ვინაიდან, არსებული კვლევების თანახმად, სწორედ ბუნებრივი აირი იქნება მომავალში (2040 წლისთვის) უპირველესი ენერგორესურსი მსოფლიოში. გაზის მოხმარება ნებისმიერ რეგიონში ყოველ წელს დაახლოებით 1.6%-ით გაიზრდება მაშინ, როდესაც ნავთობის მოხმარების ზრდა მხოლოდ 0.8% იქნება (BP Energy Outlook, 2019). ამასთან, გლობალურად გაზის მარაგის ფლობა და გაყიდვა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს (მსოფლიოში გაზს სულ რამდენიმე ათეული ქვეყანა-მომპოვებელი ყიდის). ამიტომ გაზის გლობალური ბაზარი ჯერ კიდევ არ არსებობს. მოპოვებული ბუნებრივი აირის თითქმის მთლიანი რაოდენობა აშენებული მილსადენებით გადაიტუმბება; მხოლოდ მცირე რაოდენობა იყიდება გათხევადებული სახით ტანკერებით და ისიც ისეთი ქვეყნების მიერ, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი აქვთ. მიმწოდებელსა და მიმღებს შორის გაზის ფასი კი მხოლოდ გრძელვადიანი

კონტრაქტების საფუძველზე განისაზღვრება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ხშირად სწორედ გაზი ხდება ქვეყნების შორის პოლიტიკური ურთიერთობების გარკვევის საგანი, მით უფრო რომ საერთაშორისო მილსადენების აშენებას, პირველ რიგში, ქვეყნების პოლიტიკური თანხმობა სჭირდება. სხვა ბუნებრივი წიაღისეულები, მაგალითად ნავთობი, იყიდება კონკურენტული ბაზრის პრინციპებით, ანუ ტანკერებით - ე. ი. მოპოვებული ნავთობის რეალიზაცია მცირე პარტიებად, კონკურენტულ ბაზრებზე ხდება.

ნაშრომი მიზნად არ ისახავს, დაამტკიცოს, რომ მხოლოდ გაზის ფაქტორი (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) განაპირობებს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ კურსს. ნაშრომის მიზანია, ხაზი გაუსვას ამ ფაქტორის როლს საგარეო პოლიტიკის კონტექსტში და დაადგინოს, არის თუ არა იგი ერთ-ერთი აუცილებელი, ან საკმარისი პირობა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისათვის (აუცილებლად (necessary) ითვლება ნებისმიერ A გარემოება, რომლის ცალკე აღებულად არსებობა შეიძლება საკმარისი არ იყოს B შედეგისთვის, თუმცა მისი არსებობა განაპირობებს ამ შედეგს; საკმარისად (sufficient) ითვლება ნებისმიერი A გარემოება, რომლის ცალკე აღებულად არსებობა გარანტირებულად ნიშნავს B გარემოების არსებობას (White, 2008)).

ნაშრომში განხილულია სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი ქვეყნები, რომელთაც არაერთი საერთო მახასიათებელი (გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მძიმე მემკვიდრეობა დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების კუთხით) გააჩნიათ, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ფლობს გაზის მდიდარ რეზერვებს, ან გააჩნია ექსპორტისა ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები. ეს განმასხვავებელი ფაქტორი საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ საგარეო პოლიტიკისა და გაზის ფაქტორის კავშირზე ორივე შემთხვევაში: (1)იმ ქვეყნების კონტექსტში, რომლებიც ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს, ან გააჩნიათ

ექსპორტისა ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები და (2) იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებსაც ეს ყველაფერი არ გააჩნიათ.

მართალია, ნაშრომში განხილულია მხოლოდ ორი რეგიონის შემთხვევები, თუმცა, მდიდარ ენერგორესურსებსა და საგარეო პოლიტიკას შორის კავშირი მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს შემთხვევაში აღინიშნება; მაგალითად, მდიდარი ენერგორესურსები გახდა სამხრეთ სუდანის და აღმ.ტიმორის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი (Pilger, 2016). გარდა ამისა, 70-იანი წლების დასაწყისში საუდის არაბეთის მიერ საკუთარი მდიდარი ენერგორესურსების გამოყენება - ემბარგო ისრაელის მხარდამჭერებისთვის - ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნებით იყო გამოწვეული და ამ ქვეყნის გავლენის გაზრდასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი (Yergin, 2008). ზოგიერთი ავტორი კი დასავლეთის მიერ კოსოვოს სახელმწიფოდ შექმნის მთავარ საფუძვლად სწორედ ენერგორესურსების ფაქტორს და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის კონკურენტი მილსადენების პროექტების განხორციელებას ასახელებს (Gokay, 2002).

1.3 კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვა, ჰიპოთეზა, ცვლადები

ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და ენერგორესურსებს, კერძოდ, გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) შორის ურთიერთდამოკიდებულება. ამის გათვალისწინებით, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა ასე ყალიბდება: *რა კავშირია გაზის ფაქტორსა (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) და სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას შორის?*

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: *გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) არსებობა საშუალებას აძლევს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა/სუსტ სახელმწიფოებს, კერძოდ, აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქმენეთსა და უზბეკეთს, განთავისუფლდნენ დიდი ძალის - რუსეთის გავლენისაგან და არ გაწევრიანდნენ მის მიერ შექმნილ სამხედრო*

ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ეკონომიკურ/პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც არ ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს, ან არ გააჩნიათ ექსპორტის ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები, კერძოდ, სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, ადვილად ექცევიან რუსეთის გავლენის ქვეშ და, შესაბამისად, მისი ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებიც ხდებიან.

ზემოაღნიშნული ჰიპოთეზა ნაშრომში მხოლოდ ნაწილობრივ მტკიცდება, რასაც განაპირობებს კვლევის ჩატარებისას გამოკვეთილი **გამონაკლისი** - ყაზახეთის შემთხვევა, ანუ სახელმწიფოსი, რომელიც, ერთი მხრივ, ფლობს გაზის გარკვეულ რეზერვებს და გააჩნია ექსპორტისა ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები, თუმცა, მისი საგარეო პოლიტიკური კურსი განიცდის რუსეთის გავლენას; შესაბამისად, ყაზახეთი მოსკოვის ლიდერობით შექმნილი ყველა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული გამონაკლისის ამხსნელი ფაქტორები - (1) ყაზახეთში გაზის სექტორის (წარმოება, ექსპორტი) შედარებით განუვითარებლობა და (2) დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოება, რომელიც, მართალია, გაზის ფაქტორს არ უკავშირდება, თუმცა, ყველა სხვა ფაქტორზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში.

კვლევაში **დამოუკიდებელი ცვლადია** გაზის ფაქტორი, რაც ამ ნაშრომში ბუნებრივი აირის მდიდარი რეზერვების ფლობას, ან ექსპორტისა ან/და ტრანზიტის საშუალებების არსებობას გულისხმობს. მდიდარი რეზერვების ფლობა ნიშნავს სახელმწიფოს შესაძლებლობას, სრულად დაიკმაყოფილოს შიდა მოხმარება (რასაც მისი ეკონომიკა მოითხოვს), ხოლო ექსპორტი - ჭარბი გაზის რესურსების გაყიდვა საზღვარგარეთ. რაც შეეხება ტრანზიტს, იგი ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების გამოყენებას სხვა სახელმწიფოს გაზის რესურსების ტრანსპორტირების მიზნით.

დამოკიდებული ცვლადი საგარეო პოლიტიკის კურსია, რომელიც რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას და, შესაბამისად, მოსკოვის ლიდერობით შექმნილი

სამხედრო ალიანსებისაგან და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დისტანცირებას გულისხმობს. ასეთი ორგანიზაციაა ევრაზიული ეკონომიკური კავშირი/საბაჟო კავშირი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ოდეკ).

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა პატარა სახელმწიფოდ მიიჩნევა, ვინაიდან, ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, პატარა სახელმწიფო გულისხმობს სუსტ სახელმწიფოს, ანუ მას, რომლის მმართველი ძალაც აცნობიერებს, რომ დამოუკიდებლად საერთაშორისო სისტემაზე გავლენას ვერასდროს მოახდენს და რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა (Keohane, 1969). სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები სწორედ ასეთ სახელმწიფოებს განეკუთვნებიან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებაში მეტი ლავირების საშუალება აქვს. აღსანიშნავია, რომ პატარა/სუსტი სახელმწიფოების განსაზღვრება ასევე ეხება ისეთი დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოსაც, როგორცაა ყაზახეთი. მართალია, ტერიტორიის მაჩვენებლით პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ქვეყანა მხოლოდ რუსეთს ჩამორჩება, თუმცა, ყაზახეთის პოლიტიკური შესაძლებლობებისა და მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნაშრომში ისიც პატარა/სუსტ სახელმწიფოდ არის მოხსენიებული.

1.4 მეთოდოლოგია

მთავარი საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადად თეორიული მასალაა მოძიებული და დამუშავებული, რაც, თავის მხრივ, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. თავის მხრივ, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება არარიცხობრივი მასალის დაკვირვებას და შეგროვებას ნიშნავს (Babbie, 2014). ასეთი მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, გავარკვიოთ, არა თუ რამდენად ხშირად, არამედ - რატომ და როგორ ხდება ესა, თუ ის მოვლენა (Berg and Lune, 2012). ნაშრომი სწორედ ამგვარი სახის შეკითხვას (გაზის ფაქტორისა და საგარეო პოლიტიკის

შორის კავშირის შესახებ) პასუხობს, ამიტომ მასში თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდია გამოყენებული, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოვლენაზე სიღრმისეული დაკვირვება ერთი კონკრეტული შემთხვევის, ან რამდენიმე მაგალითის მიხედვით, თუ ყველა მათგანი ერთ კონკრეტულ საკვლევ მოვლენას უკავშირდება (Yin, 2013). ნაშრომში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის თითოეული ქვეყანა ასეთი კონკრეტული შემთხვევა/მაგალითია, რომლთა შესწავლის შედეგად ხდება გაზის ფაქტორსა და საგარეო პოლიტიკის კავშირზე (ანუ მოვლენაზე) დაკვირვება.

ზოგიერთი ავტორის აზრით, შემთხვევის შესწავლის მეთოდის მთავარი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეშვეობით ხდება მხოლოდ ერთი, ან რამდენიმე შემთხვევის კვლევა. ამიტომ ასეთი კვლევის შედეგების გენერალიზება პრობლემატურია (King, Keohane and Verba 1994). შესაბამისად, ამ ნაშრომში მხოლოდ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების შესწავლით შეიძლება, ერთი შეხედვით, რთული ჩანდეს გაზის ფაქტორსა და საგარეო პოლიტიკის კავშირზე ზოგადად საუბარი. თუმცა, შედეგების გენერალიზების ეს პრობლემა შემთხვევების სტრატეგიული არჩევანის გზით არის გადაჭრილი, ანუ შემთხვევების/მაგალითების შერჩევა მოხდა არა შემთხვევითობის პრინციპით, არამედ მათი შესაბამისობის გზით - ეს შემთხვევები შეიცავენ რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას საკვლევ მოვლენასთან დაკავშირებით (Flyvbjerg, 2006). სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები სწორედ სტრატეგიული შემთხვევებია, ვინაიდან მათ ბევრი საერთო მახასიათებელი აქვთ, თუმცა, გაზის ფაქტორის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ეს კი გვადლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ საგარეო პოლიტიკისა და გაზის ფაქტორის კავშირზე იმ ქვეყნების კონტექსტშიც, რომლებიც ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს, ან გააჩნიათ ექსპორტისა ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები და ასევე იმ სახელმწიფოების შემთხვევებშიც, რომლებსაც ეს ყველაფერი არ გააჩნიათ.

შემთხვევის შესწავლის მეთოდი ძირითადად ეყრდნობა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წყაროებისგან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის

რაოდენობრივ მაჩვენებლებს (Lamnek, 2010). ამ ნაშრომშიც გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ხასიათის ინფორმაცია: სტატისტიკური მაჩვენებლები გაზის რესურსების, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ, მთავრობის წევრების განცხადებები, ოფიციალური საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების დოკუმენტები და ა.შ.

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური არჩევანისა და გაზის ფაქტორის კავშირი ამ ქვეყნების ურთიერთშედარების გზითაა შესაძლებელი. ამ მიზნით MSSD - “ყველაზე მსგავსი სისტემების მეთოდის (Most Similar Systems Design)” - გამოყენებაა მიზანშეწონილი, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ ის შემთხვევები/მაგალითები (cases), რომლებსაც მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ, თუმცა, გარკვეულ სფეროში/სფეროებში მათი შედეგები განსხვავებულია (Landman, 2003). ამასთან, რაც მეტია მსგავსება შემთხვევებს/მაგალითებს (cases) შორის, მით მეტია შესაძლებლობა ვიპოვოთ ის ფაქტორი, რაც ამ შედეგების განსხვავებასთანაა კავშირში (Faure, 1994). სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სახით გვაქვს შემთხვევები/მაგალითები (cases), რომელთაც არაერთი საერთო მახასიათებელი აქვთ (ისტორია, გეოგრაფია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა), თუმცა, გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) მიხედვით ისინი განსხვავდებიან. ეს გაზის ფაქტორი მჭიდრო კავშირშია ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსთან.

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შემთხვევები/მაგალითები (cases) შერჩეული იქნა, პირველ რიგში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონების პატარა სახელმწიფოები არიან (სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია ხშირად განიხილება, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი). ამ ორი რეგიონის ერთმანეთის მსგავსი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში სომხეთმა აირჩია პრორუსული პოლიტიკა, რაშიც გაზის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს; აზერბაიჯანმა და საქართველომ კი რუსეთის

გავლენისგან განთავისუფლება მოახერხეს, რაც გაზის ფაქტორთანაც არის დაკავშირებული. ცენტრალურ აზიაში გაზით მდიდარი თურქმენეთისა და უზბეკეთის პოლიტიკა განსხვავდება მათი მეზობლების მიერ არჩეული კურსისაგან, რომლებიც დღემდე რუსეთის გავლენის ქვეშ არიან (ყაზახეთი გამონაკლისია). მიუხედავად ამ განსხვავებისა, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს არაერთი საერთო მახასიათებელი გააჩნიათ. კერძოდ, ყველა მათგანი პატარა სახელმწიფოა (რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით); ისინი საერთო, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონის ნაწილიები არიან; ყველა ქვეყანას მსგავსი ისტორია აქვთ (ისინი ჯერ სხვადასხვა იმპერიების, ბოლოს კი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ); ყველა მათგანი იზიარებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეობას: სიღარიბე, კორუფცია, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. თუმცა, გაზის ფაქტორის მიხედვით ისინი განსხვავდებიან.

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მიმართებაში MSSD-ის არსი შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს (ყაზახეთი ამ კლასიფიკაციიდან გამონაკლისს წარმოადგენს):

MSSD		
	სამხრეთ კავკასიის ქვეყნები	ცენტრალური აზიის ქვეყნები
საერთო მახასიათებლები	ა) პატარა ქვეყანა (ფართობი, მოსახლეობა, მშპ, ეროვნული ინტერესების დაცვის უნარის არ არსებობა); ბ) გეოგრაფია - სამხრეთ კავკასიის ქვეყანა; გ) ისტორია; დ) პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა	ა) პატარა ქვეყანა (ფართობი, მოსახლეობა, მშპ, ეროვნული ინტერესების დაცვის უნარის არ არსებობა); ბ) გეოგრაფია - სამხრეთ კავკასიის ქვეყანა; გ) ისტორია; დ) პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა
განმასხვავებელი ფაქტორი	გაზის ფაქტორი (რეზერვები/ექსპორტი/ტრანზიტ)	გაზის ფაქტორი (რეზერვები/ექსპორტი/ტრანზიტ)

შედეგი	რუსეთისგან დისტანცირებული საგარეო პოლიტიკა - აზერბაიჯანი და საქართველო; ალიანსი რუსეთთან - სომხეთი	რუსეთისგან დისტანცირებული საგარეო პოლიტიკა - თურქმენეთი და უზბეკეთი ალიანსი რუსეთთან - ყირგიზეთი და ტაჯიკეთი; ყაზახეთი -გამონაკლისი
--------	--	---

(Landman, 2003)

ნაშრომში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი. კერძოდ, პირველადი წყაროების ანალიზში იგულისხმება სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ოფიციალური დოკუმენტების (მაგ., თავდაცვის დოქტრინის, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და ა.შ.) ანალიზი. პირველადი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები (თვისებრივ კვლევაში სწორედ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გამოიყენება, ვინაიდან ისინი თავისუფალ შეკითხვებს შეიცავენ და რესპოდენტებს საშუალებას აძლევენ საკუთარ გამოცდილებასა და შეხედულებაზე დაყრდნობით განიხილონ ესა თუ ის საკითხი (Bryman2008)). რესპოდენტებად შერჩეული იყვნენ ის ადამიანები, რომელთა პროფესიული მოღვაწეობა და გამოცდილება დაკავშირებულია ენერგორესურსების საკითხებთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან; კერძოდ: 1.მარიამ ვალიშვილი - კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მრჩეველი (წარსულში - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე); 2. ლიანა ჯერვალიძე - ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში; 3. იოჰან ინგვალი (Johan Engvall) – „შვედეთის თავდაცვის კვლევითი სააგენტოს“ (FOI) მკვლევარი. რესპოდენტებმა უპასუხეს კითხვებს, რომლებიც უკავშირდებოდა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების გაზის რესურსებს, ექსპორტის შესაძლებლობებს და ამ მხრივ არსებულ პრობლემებს (იხ. დანართი N7).

ნაშრომში ასევე გამოყენებულია მეორადი წყაროები. მეორად წყაროებში იგულისხმება როგორც აკადემიური ნაშრომები და სტატიები, ისე მედია წყაროებიდან

მიღებული ინფორმაცია, რომელიც ნაშრომში განხილულ თემებს უკავშირდება. მეორად წყაროებში შედის ასევე ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები და ინტერვიუები, რაც ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი.

ზემოხსენებული წყაროების გამოყენება და დამუშავება კვლევის კიდევ ერთი მეთოდის - კონტენტ ანალიზის - გამოყენებას გულისხმობს. ზოგადად, კონტენტ ანალიზი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი (კონცენტრაცია დათვლაზე და აღირცხვაზე), ისე თვისებრივი (გაგებასა და ინტერპრეტირებაზე ორიენტირება) (Neuendorf and Kumar, 2015). ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ ანალიზი, ვინაიდან ზემოხსენებულ საჯარო წყაროებში მოხდა კვლევისათვის საინტერესო საკითხის - გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი, ტრანზიტი) შესახებ მონაცემების მოძიება და მათი დაკავშირება და ინტერპრეტირება სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში.

წყაროების შემოწმებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ავთენტურობა - რამდენად შეესაბამება რეალობას ამა თუ იმ წყაროში გადმოცემული მასალა;
- დამაჯერებლობა - რამდენად გაუყალბებელი და დაუმახინჯებელია წყაროში მოცემული ინფორმაცია;
- წარმომადგენლობითობა - რამდენად შეესაბამება წყაროს სახეობას მასში გადმოცემული ინფორმაცია;
- მნიშვნელობა - რამდენად ნათელი, გასაგები და ამომწურავია წყაროში გადმოცემული მასალა (Scott, 1990).

1.5 ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი 8 თავისგან შედგება. შესავალის შემდეგ, მეორე თავში მოცემულია ის თეორიული ჩარჩო, რომელიც საფუძვლად უდევს გაზის ფაქტორისა და საგარეო პოლიტიკის კავშირის ანალიზს. მესამე თავში მიმოხილულია არსებული კვლევები პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასა და ენერგორესურსების შესახებ.

მეოთხე თავი პატარა სახელმწიფოების დეფინიციის პრობლემასა და მათი საგარეო პოლიტიკური არჩევანის განხილვას ეთმობა. მეხუთე თავში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საერთო მახასიათებლების, განმასხვავებელი გაზის ფაქტორის და განსხვავებული შედეგის - საგარეო პოლიტიკის განხილვა. მეექვსე თავი მოიცავს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საერთო მახასიათებლების, განმასხვავებელი გაზის ფაქტორის და განსხვავებული შედეგის - საგარეო პოლიტიკის - ანალიზს. ასევე ამ ნაწილში წარმოდგენილია ყაზახეთის გამონაკლისიც. მეშვიდე თავში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების გაზის ფაქტორთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკა ნეორეალიზმის თეორიულ ჩარჩოშია განხილული. ნაშრომის ბოლო თავში შეჯამებულია კვლევის შედეგები და დასკვნები.

2 თეორიული ჩარჩო

მოცემულ თავში საუბარია იმის შესახებ, თუ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების რომელი თეორია შეიძლება გამოვიყენოთ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა და ენერგორესურსების ურთიერთკავშირის უკეთ ახსნისათვის. აღსანიშნავია, რომ ათწლეულების მანძილზე ენერგორესურსების როლსა და ენერგოდიპლომატიას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ნაშრომებში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ეს შეიძლება იმითაც იყო განპირობებული, რომ ენერგორესურსები დიდი ხნის მანძილზე არ განიხილებოდა როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბოლო პერიოდში კი ნათელი გახდა, რომ ენერგოუსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, როგორც სამხედრო უსაფრთხოება. გარდა ამისა, გლობალიზაციისა და ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პირობებში სახელმწიფოს მიერ საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენება ხშირ შემთხვევაში აღარ არის ეფექტიანი. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ მომავალში დიდ ძალებს შორის თუ ომი დაიწყება, ეს სწორედ ენერგორესურსების გამო მოხდება (Klare, 2009). ამ ყველაფრის

შედეგად, გაიზარდა ენერგორესურსების როლი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებშიც.

ნაშრომში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასა და ენერგორესურსებს/გაზის რესურსებს შორის კავშირის თეორიული ჩარჩო ძირითადად ნეორეალიზმს, ხოლო მის ფარგლებში თავდაცვით რეალიზმს ეყრდნობა. კერძოდ, აღნიშნული თეორიის მიხედვით, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოების თვითგადარჩენაზე ზრუნვის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ძალას, რომელიც ყოველთვის „მაგარი“ (hard power) - სამხრედრო - არაა და შეიძლება ეკონომიკურიც იყოს (Walt, 1992). ნებისმიერი სახელმწიფოს ძალა მატერიალური რესურსების მაქსიმიზაციის შედეგია. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ენერგორესურსების (მათ შორის გაზის), როგორც ქვეყნის მატერიალური რესურსის წყაროს, როლი, ვინაიდან ენერგორესურსები სახელმწიფოს ძალის შემადგენელი კომპონენტია; ენერგორესურსების მზარდი პოტენციალი განაპირობებს სახელმწიფოს ძალის მაქსიმიზაციას (Luft and Korin, 2009).

2.1 ნეორეალიზმი - ზოგადი მიმოხილვა

ნეორეალიზმი კლასიკური რეალიზმის ერთგვარი ევოლუციური განვითარებაა. მის ფუძემდებლად ამერიკელი მეცნიერი კენეტ უოლცი ითვლება, რომელმაც ჩამოაყალიბა ძირითადი ნეორეალისტური პრინციპები. კლასიკურ რეალიზმთან შედარებით, ნეორეალიზმი მეტ აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობაზე, სადაც მთავარი აქტორები რაციონალური და უნიტარული სახელმწიფოები არიან, რომელთაც ძირითადად გადარჩენის მოტივი ამოძრავებთ. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უპირველესია საკუთარი რაციონალური ინტერესები და არა, მაგალითად, საერთო იდენტობა, ღირებულებები და საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი წესები და ნორმები, როგორც ამას ლიბერალიზმი, ან კონსტრუქტივიზმი მიიჩნევს (Bulmer, 1994). ამიტომ თითოეული სახელმწიფოს გადაწყვეტილებები აიხსნება მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული ლოგიკით (Logic of Consequences), რომლის მიხედვითაც აქტორები - ქვეყნები - ირჩევენ შესაძლო

ქმედებების მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც მათ რაციონალურ ინტერესს ყველაზე კარგად ასახავს (March, 2009).

ნეორეალიზმს კლასიკური რეალიზმისგან განასხვავებს ის ფაქტორი, რომ აქ სახელმწიფოების ქმედებების ახსნა ხდება საერთაშორისო სისტემის შეზღუდვებით და არა ქვეყნების პირადი არჩევანით. ნეორეალიზმი სახელმწიფოებს ადამიანებთან არ აიგივებს და არ თვლის, რომ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებები ადამიანის მსგავსი ეგოიზმისგან მომდინარებს, როგორც ეს კლასიკურ რეალიზმში ხდება (Orban, 2008).

ნეორეალიზმს სტრუქტურულ რეალიზმსაც უწოდებენ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს თეორია ყურადღებას ამახვილებს არა საერთაშორისო სისტემის ერთეულების (სახელმწიფოები) ბუნებაზე და მათ შესაძლებლობებზე, არამედ თავად ამ სისტემაზე და მის სტრუქტურაზე, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს განაპირობებს. ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გადადგული ნაბიჯის ანალიზისათვის ჯერ უნდა მოხდეს საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების ახსნა, რამაც განაპირობა სახელმწიფოს გარკვეული ქცევა (Waltz, 1979).

ნეორეალიზმის მიხედვით, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც ყველა ერთეული (სახელმწიფო) საკუთარ გადარჩენაზე ფიქრობს, ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ნაკლებად მოსალოდნელია. სახელმწიფოების მიერ თანამშრომლობა აღიქმება სხვაზე დამოკიდებულების საფრთხედ. ამიტომ ისინი ყველანაირად მიელტვიან ამ დამოკიდებულების შემცირებას (Waltz, 1979). ნებისმიერი სახელმწიფო მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული და საკუთარი ინტერესებით მოქმედებს. თავის მხრივ, თითოეული ქვეყნის მიერ საკუთარი ინტერესების აღსრულება ნიშნავს სხვისი ინტერესების დაზარალებას და მარცხს (zero-sum logic). ამდენად, ანარქიულ სისტემაში აბსოლიტური სარგებელი (ის, რაც ყველა ქვეყნისთვის მომგებიანი იქნებოდა) არ არსებობს. აქ მხოლოდ შედარებით სარგებელს ენიჭება მნიშვნელობა (Waltz, 1979).

ნეორეალიზმის ზემოთ მოცემული აღწერა, ერთი შეხედვით, ენერგორესურსების როლის უგულვებელყოფაზე მიაჩნდება, ვინაიდან ქვეყნების საგარეო პოლიტიკის

ანალიზი ნეორეალიზმში საერთაშორისო სისტემის დონეზე ხდება მაშინ, როცა ენერგორესურსები ამ სისტემის ერთეულების - სახელმწიფოების - მახასიათებელი ელემენტებია. სახელმწიფოს მახასიათებლებზე ხაზგასმა უკეთ არის წარმოდგენილი ნეორეალიზმის თეორიული სკოლის ერთ ნაწილში, კერძოდ, თავდაცვით რეალიზმში. აღნიშნული თეორია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მახასიათებელზე - ძალაზე. ძალა, კი, პირდაპირ კავშირშია ენერგორესურსებთან (ქვემოთ მოცემული ამ კავშირის ახსნაც).

2.2 თავდაცვითი რეალიზმი

თავდაცვითი რეალიზმი სტრუქტურული რეალიზმის ნაწილია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, იგი შედარებით ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას საერთაშორისო სისტემის როლზე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. თავდაცვითი რეალიზმი აღიარებს, რომ სახელმწიფოების უპირველესი მიზანი თვითგადარჩენაა. მაშინ, როდესაც სახელმწიფო გრძნობს გადარჩენის საფრთხეს, იწყებს ძალის მაქსიმიზაციას და საკუთარი გავლენის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით. ეს ძალა კი მხოლოდ „მაგარი“ (hard) და სამხედრო კი არა, არამედ „რბილი“ (soft) და ეკონომიკურიც შეიძლება იყოს. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო ისწრაფვის ეკონომიკური რესურსების მობილიზაციისა და მაქსიმიზაციისთვის, რათა ამის შედეგად გაზარდოს ეკონომიკური ძალა, რომელიც შემდეგში სხვა ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად შეუძლია გამოიყენოს. ეს, თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ ენერგორესურსების როლზე არა მხოლოდ როგორც ქვეყნის შიდა ფაქტორზე, არამედ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტზე. კერძოდ, მდიდარი ენერგორესურსები ქვეყნებს აძლევს საშუალებას, სასურველი ეკონომიკური (და ამის შედეგად პოლიტიკური) გავლენა მოახდინონ ამა თუ იმ რესურსებით ღარიბ სახელმწიფოებზე. ამასთან, ეს გავლენა ბევრად ეფექტურია დანახარჯების მხრივ, ვიდრე სამხედრო ქმედებები. მას მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებაც არ სჭირდება (Cesnakas, 2010).

ამდენად, თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიაღწიონ უმთავრესს მიზანს - გადარჩენენ, თუ მოახდენენ

თუნდაც „რბილი“ - ამ შემთხვევაში ეკონომიკური - ძალის (soft power) მაქსიმიზაციას. სწორედ ამისათვის ესაჭიროებათ მათ ენერგორესურსები. ეს დასკვნა მისაღებია არა მხოლოდ დიდი ძალების, არამედ პატარა/სუსტი სახელმწიფოების შესახებ მსჯელობისასაც. თუმცა, აღნიშნული თეორია ვერ შეძლებდა აეხსნა ისეთი დიდი და ძლიერი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, რომლებიც გადარჩენის საფრთხის გარეშეც ახდენენ ძალის მაქსიმიზაციას, აძლიერებენ გავლენას საერთაშორისო სისტემაზე და ამისთვის იყენებენ საკუთარ ენერგორესურსებსაც. მაგალითად, რუსეთს არსებობის და გადარჩენის საფრთხე არ ემუქრება, თუმცა, ამ ქვეყანამ 2000-იანი წლებიდან წარმატებით გამოიყენა ენერგორესურსები დიდი ძალის იმიჯის გასაძლიერებლად და, შესაბამისად, აშშ-ის ლიდერობით არსებული უნიპოლარული საერთაშორისო სისტემის შესაცვლელად. ამგვარი შემთხვევების ახსნა თავდასხმითი რეალიზმის საშუალებით შეიძლება, რომელიც, თავდაცვითი რეალიზმიდან განსხვავებით, ძალის მაქსიმიზაციის დანიშნულებად არა მხოლოდ არსებული საერთაშორისო სტატუს-კვოს შენარჩუნებას, არამედ მის შეცვლასაც მოიაზრებს. სტატუს-კვოსა და საერთაშორისო სისტემის შეცვლა, თავის მხრივ, პატარა/სუსტ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ. ამდენად, თავდაცვით რეალიზმთან ძირითად კონტრასტს ქმნის ის ფაქტი, რომ თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოები არა მხოლოდ ძალის იმ რაოდენობის შექმნით არიან დაინტერესებულნი, რამდენიც მათ თვითგადარჩენისთვის სჭირდებათ, არამედ იმ რაოდენობით, რაც მათ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შედარებით უპირატესობას და საერთაშორისო სისტემაში დომინანტობას მიანიჭებს. ამ კონტექსტში სამხედრო ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (Elman, 2007). ენერგორესურსებიც სწორედ ამგვარი აგრესიული ძალის მაქსიმიზაციისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

აღნიშნული ნაშრომი პატარა/სუსტ სახელმწიფოებსა და მათი საგარეო პოლიტიკის ანალიზს ეძღვნება, ამიტომ თავდასხმით რეალიზმთან შედარებით, ბევრად საინტერესოა თავდაცვითი რეალიზმი და „რბილი“ ძალის კონცეფცია, ვინაიდან ენერგორესურსები სწორედ ასეთი ძალის კომპონენტია.

2.3 ნეორეალიზმი და ენერგორესურსები

ნეორეალიზმი (ისევე როგორც რეალიზმის თეორიული სკოლის ყველა თეორია) შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება: 1) ანარქიულ საერთაშორისო არენაზე მთავარი აქტორები სახელმწიფოები არიან; 2) სახელმწიფოებს მყარად ფიქსირებული ინტერესები ამოძრავებთ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ქვეყნების ინტერესებს უპირისპირდება; 3) ამ დაპირისპირებაში ქვეყნის მატერიალურ რესურსებს ენიჭებათ უპირატესობა (Legro and Moravcsik, 1999). ქვემოთ მოკლედ განხილულია ყველა ეს პრინციპი ენერგორესურსების კონტექსტში.

რეალიზმის თეორიული სკოლის ყველა თეორია, მათ შორის ნეორეალიზმიც, სახელმწიფოებს მიიჩნევს მთავარ აქტორებად საერთაშორისო არენაზე. სწორედ სახელმწიფოები წარმართავენ ენერგოურთიერთობებს მსოფლიოში. დღემდე არც ერთი სახელმწიფო არ არის მზად, დათმოს ენერგორესურსებზე კონტროლი სხვა ქვეყნის, საერთაშორისო კომპანიის, თუ სუპრანაციონალური ორგანოს სასარგებლოდ (მაგალითად, ყველაზე წარმატებული თანამშრომლობის - ევროკავშირის - წევრმა ქვეყნებმაც ვერ შეძლეს ენერგორესურსებთან დაკავშირებული საკითხების სუპრანაციონალური ორგანოებისთვის მინდობა. გარდა ამისა, წევრი ქვეყნების ინტერესების განსხვავებულობა ევროკავშირში საერთო ენერგეტიკული პოლიტიკის არ არსებობის მიზეზია). ცნობილია, რომ მსოფლიო გაზის რეზერვების დაახლოებით 70-80%-ს სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიები ფლობენ და ისინი ქვეყნის მთავრობის დავალებებით მოქმედებენ (Marquina, 2009). ამასთან, ენერგოექსპორტიორი ქვეყნები თანდათან უფრო ამყარებენ ექსპორტზე სახელმწიფო ძალაუფლებას და მცირე შესაძლებლობებს უტოვებენ კერძო კომპანიებს. ეს კი, პირველ რიგში, ენერგორესურსების საგარეო პოლიტიკაში გამოყენებისთვის ხდება (Luft and Korin, 2009).

სახელმწიფოებს მყარად ფიქსირებული ინტერესები და მოტივები ამოძრავებთ. მათგან უპირველესი გადარჩენაა, ბოლო კი - მსოფლიოზე დომინირება (Waltz, 1979). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოები მუდმივად იბრძვიან: სუსტები გადარჩენისთვის, ძლიერები კი - დომინირებისთვის. ვინაიდან ყველა ქვეყანას ეს მსგავსი მიზნები აქვს, სახელმწიფოებს შორის მუდმივად მიმდინარეობს შეჯიბრი. ამ შეჯიბრში კი ერთ-ერთი

მთავარი ელემენტი ქვეყნების მატერიალური/ენერგორესურსებია. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა „მწირი რესურსების გადანაწილებისთვის მუდმივი ბრძოლაა“ (Legro and Moravcsik, 1999:13). სახელმწიფოები ენერგორესურსების საკითხში რომ ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ამ სფეროში უპირატესობას შედარებით სარგებელს ანიჭებენ, ამას ადასტურებს ენერგეტიკის სფეროში გაფორმებული კონტრაქტები, რომლებიც ძირითადად ორმხრივია და არა მრავალმხრივი. ეს განსაკუთრებით ეხება გაზის სექტორში გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც გაზის შესყიდვა ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე მილსადენებით ხდება.

ნებისმიერი ქვეყნისთვის მატერიალური რესურსების ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მატერიალური რესურსები შეიძლება იყოს: გეოგრაფია, ენერგორესურსები, ინდუსტრიული და სამხედრო შესაძლებლობები, მოსახლეობა, დიპლომატია და მთავრობის ხარისხი (Sutch and Elias, 2007). ისინი ქვეყნის ძალის (როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო) შემადგენელი ელემენტები არიან და, ამდენად, მათ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ენერგორესურსები სახელმწიფოს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მოიპოვება და ქვეყნის წარმოების შესაძლებლობებსაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. მდიდარი ენერგორესურსები სახელმწიფოს ძალის მაქსიმიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. ასეთ ძალას „კონკრეტულ-შინაგან“ (particular-intrinsic) ძალად მოიხსენიებენ (Long, 2017:194). მისი წყალობით ერთმა სახელმწიფომ შეიძლება მეორეს გადაადგმევინოს ისეთი ნაბიჯები, რასაც ეს ქვეყანა თავისი ნებით არასდროს არ გადადგამდა. ასეთი ძალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა სახელმწიფოების კონტექსტში. მისი წყალობით პატარა სახელმწიფო შეიძლება გახდეს ნებისმიერი დიდი ძალის კონკურენტი, თუ ამ ძალას სწორად გამოიყენებს (Long, 2017). ენერგორესურსების წყალობით შეიძლება მოხდეს ეკონომიკის იმ დარგების განვითარება, რომლებიც ქვეყნის „მაგარი ძალის“ - სამხედრო შესაძლებლობების - მაქსიმიზაციასაც განაპირობებს (Orban, 2008). ამიტომ ენერგორესურსები სტრატეგიული დანიშნულების რესურსია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ეს კი ნიშნავს, რომ

ენერგორესურსები ქვეყნების ეროვნული ინტერესების ნაწილია. სწორედ ამიტომ მწვავედება სახელმწიფოებს შორის შეჯიბრი ენერგორესურსების კონტექსტში (ისინი საკუთარი ეროვნული ინტერესების აღსრულებას მიეღწევიან, პირველ რიგში, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა). ხშირად ენერგორესურსების ირგვლივ წარმოქმნილი შეჯიბრი და დაპირისპირება სახელმწიფოებს ხელს უშლის სხვა სფეროებში თანამშრომლობაში; ანუ ენერგორესურსებს ერთგვარი „გადადინების“ უარყოფითი ეფექტიც აქვს (Marín-Quemada et al, 2012: 88).

აქვე საინტერესოა, გაირკვეს, მატერიალური რესურსების მოპოვების შედეგად ხდება სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენება, თუ, პირიქით, სახელმწიფოები ძალას იყენებენ მატერიალური რესურსების მოსაპოვებლად. ზოგიერთი ავტორის აზრით, მატერიალური რესურსები, მათ შორის, ენერგორესურსები, წარმოადგენს როგორც მიზეზს, ისე საშუალებას ქვეყნის მიერ ძალის მაქსიმიზაციისათვის (Zakaria, 1998). კერძოდ, ენერგორესურსების ჭარბი რაოდენობით იზრდება სახელმწიფოს ძალაც, ამის შემდეგ კი გაძლიერებული სახელმწიფო იბრძვის უფრო მეტი ენერგორესურსების მოსაპოვებლად. ამდენად, სახელმწიფოს ძალასა და ენერგორესურსებს (როგორც მატერიალური რესურსების სახეობას) შორის ურთიერთკავშირი ორმხრივი და ერთმანეთის შემავსებელია.

ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანია ენერგორესურსების ექსპორტიორ, იმპორტიორ და ტრანზიტორ ქვეყნებს შორის ურთიერთობები. ექსპორტიორი სახელმწიფოების ინტერესია, მოახდინონ ძალის მაქსიმიზაცია საკუთარი ენერგორესურსების ხარჯზე, ხოლო ტრანზიტორები ყველანაირად ცდილობენ საკუთარ ტერიტორიაზე გამავალი სხვისი ენერგორესურსები სახელმწიფოს ძალის ელემენტებად გარდაქმნან. ამდენად, ენერგორესურსები ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ ძალის მაქსიმიზაციისთვის გამოიყენება. ამასთან, ექსპორტიორი ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო მასშტაბით უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან, ისინი იქცევენ ყველა დიდი ძალის ყურადღებას; ტრანზიტორები და იმპორტიორებიც ყველანაირად ცდილობენ მეგობრული ურთიერთობები დაამყარონ მათთან (Cesnakas, 2010).

3 ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნულ თავში საუბარია ლიტერატურის შესახებ, რომელიც ამ ნაშრომის მთავარ საკვლევ თემას უკავშირდება. ზოგადად, ქვეყნების საგარეო პოლიტიკასა და ენერგორესურსების კავშირის თემატიკა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გახდა აქტუალური. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ პერიოდში იყო ლინდა მილერის „ენერგოსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა: მიმოხილვა“ (Miller, 1977), რომელიც 20 საუკუნის 70-იან წლების ნავთობის კრიზისს მიემდვინა. მილერი ენერგოპოლიტიკაში ერი-სახელმწიფოებისა და მათი მთავრობების როლს უსვამს ხაზს. მილერი მეისონ ვილრიხის „ენერგორესურსები და მსოფლიო პოლიტიკას“ (Willrich, 1975) ეყრდნობა, რომელიც ენერგორესურსების როლს პოლიტიკაში გლობალურ პერსპექტივაში განიხილავს და აღნიშნავს, რომ ენერგეტიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები სწორედ პოლიტიკური ხასიათისაა და ისინი საერთაშორისო მასშტაბებს მოიაზრებს (Willrich, 1975). გარდა ამისა, ავტორი უსვამს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების განსხვავებულ პრობლემებს და აღნიშნავს, რომ ექსპორტიორებისათვის მთავარია, გაზარდონ მიწოდებული ენერგორესურსების რაოდენობა, უზრუნველყონ მიწოდების უსაფრთხოება და შეინარჩუნონ/გაზარდონ ექსპორტირებული ენერგორესურსების ფასი, რაც, თავის მხრივ, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სარგებელსაც უზრუნველყოფს (Willrich, 1975). იმპორტიორებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, შეინარჩუნონ სუვერენიტეტი, ანუ ენერგოდამოკიდებულების გამო არ მოექცნენ მიმწოდებლების გავლენის ქვეშ; ამ კონტექსტში მოწოდების დივერსიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს (Willrich, 1975). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტიორის და იმპორტიორი სახელმწიფოს პრობლემების ასეთი დაყოფა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის, რასაც ვილრიხი ექსპორტიორის პრობლემად თვლის, ასევე აქტუალურია ნებისმიერი იმპორტიორისთვისაც; მაგალითად, ფასის საკითხი მხოლოდ ექსპორტიორებისთვის არ არის პრიორიტეტი: ნებისმიერი იმპორტიორი სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესია, რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადოს შემენილ რესურსებში და რაც შეიძლება უსაფრთხო

იყოს ამ რესურსების მიწოდება. ასევე დივერსიფიკაციის პრობლემა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ექსპორტიორი ქვეყნისთვისაც, რომელიც უფრო უსაფრთხოდ იგრძნობს თავს, თუ რამდენიმე მომხმარებელი ეყოლება, ვინაიდან პარტნიორმა შეიძლება სხვა მიმწოდებელი იპოვოს.

ვილრიხისაგან განსხვავებით, თანამედროვე ავტორები, მაგალითად, რიკ სტრეინჯი (2009) აღიარებს, რომ ფასის პრობლემა აქტუალურია როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი ქვეყნებისთვის. ორივე შემთხვევაში იგი ენერგოუსაფრთხოების გარანტიაა. ენერგოუსაფრთხოება კი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას უდრის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური კუთხით. სწორედ ამიტომ ითვლება ენერგორესურსების საკითხები ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად. საგარეო პოლიტიკის დახმარებით შესაძლებელია მიწოდების სტაბილურობის შენარჩუნება და ე.წ. „საბაზრო შოკების“ თავიდან არიდება საერთაშორისო პოლიტიკური რისკების შემცირებისა და ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონებში და სატრანზიტო დერეფნებში სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოგვარების გზით (Strange, 2009). რიკ სტრეინჯი თვლის, რომ საგარეო პოლიტიკის დახმარებით ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოებისა და ფასის სტაბილურობის შენარჩუნება ექსპორტიორებისთვისაც და იმპორტიორებისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანია. ამიტომ მათ უნდა მოახერხონ პოზიციების შეჯერება და კოორდინაცია სტაბილურობის აღსადგენად, ან შესანარჩუნებლად (Strange, 2009). თუმცა, ავტორი არ საუბრობს იმ გზებზე, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს მხარეების პოზიციების კოორდინაცია და სტაბილურობის შენარჩუნება, მით უფრო, რომ ხშირად სახელმწიფოებს განსხვავებული ინტერესები აქვთ.

რიკ სტრეინჯის მოსაზრებებს იზიარებს ბრენდა შაფერიც (2009), რომელიც პოლიტიკასა და ენერგორესურსებს „განუყოფელ ცნებებს“ უწოდებს (Shaffer, 2009:3). ავტორის აზრით, ენერგორესურსების ბაზრები მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს და - პირიქით. ამიტომ სახელმწიფოები არ ერიდებიან ენერგორესურსების საგარეო პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას.

ენერგორესურსები განსაკუთრებით ეფექტური იარაღია, თუ მხარეებს შორის მანძილი მცირეა და იმპორტიორი მხარისთვის არ არსებობს მიწოდების ალტერნატიული საშუალება (Shaffer, 2009). ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების საკითხზე საუბარი მხოლოდ ისეთი ქვეყნების შემთხვევაში შეიძლება, რომლებიც სრულად აკონტროლებენ ენერგორესურსების წარმოების, ტრანსპორტირებისა და ექსპორტის პროცესებს. ამრიგად, აღნიშნული არგუმენტები იმპორტიორ ქვეყნებზე არ ვრცელდება. იმპორტიორ სახელმწიფოებს გაუჭირდებოდათ საგარეო პოლიტიკის მიზნებისთვის ენერგორესურსების გამოყენება. ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება არაეფექტურია, თუ მიმწოდებელიც ისევე დამოკიდებული ენერგორესურსების ექსპორტის შედეგად მიღებულ სარგებელზე, როგორც მომხმარებელი - იმპორტირებულ რესურსებზე (Shaffer, 2009).

ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე შექმნილი ნაშრომების კიდევ ერთი ავტორის - პაოლო სორბელოს (2011) აზრით, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირიქით ხდება - ესა თუ ის ქვეყანა ენერგორესურსებთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად ადგენს საკუთარ საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგს (Sorbelli, 2011). ანუ საგარეო პოლიტიკა ენერგორესურსებთან დაკავშირებულ მიზნებს ემსახურება და არა - პირიქით. ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც ექსპორტიორ, ისე იმპორტიორ სახელმწიფოსაც. ორივე მათგანმა შეიძლება შეცვალოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა ენერგორესურსებთან დაკავშირებული საკითხების გამო (Sorbelli, 2011).

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, ჯერომ ჟულიეტი (2011) ან/და პოლ სტივენსი (2009), ხაზს უსვამენ ტრანსპორტირების საკითხების მნიშვნელობას სახელმწიფოების ენერგორესურსებისა და მათი საგარეო პოლიტიკის კავშირის კონტექსტში. კერძოდ, ჟულიეტი აღნიშნავს, რომ მილსადენები მხოლოდ მაშინ გამოიყენება ენერგორესურსების ტრანსპორტირების საშუალებად, როდესაც მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ ეს ყველაზე მომგებიანი გამოსავალია და როდესაც ეს მხარეები ენდობიან ერთმანეთს ნაკისრი ვალდებულებების ხანგრძლივად და ზუსტად

შესრულების საკითხში (Gulliet, 2011). თუმცა, ხშირად მილსადენების მშენებლობა ქვეყნებს შორის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზიცაა და მათი გადაწყვეტა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მით უფრო, თუ მილსადენის პროექტში მრავალი ქვეყნის ტერიტორია (ტრანზიტორი ქვეყნები) მოიაზრება. ამ ქვეყნებს შორის შეთანხმება ხშირად პრობლემატურია. თითოეული მათგანი დაინტერესებულია, სხვაზე მეტი სარგებელი მიიღოს, რაც, თავის მხრივ, სხვა მხარეების მსგავს ინტერესებს უპირისპირდება. საბოლოოდ ეს დაპირისპირებები პროექტის შეჩერებას, გადავადებას ან საერთოდ გაუქმებას იწვევს (Stevens, 2009).

პოლ სტივენსის (2009) აზრით, ამა თუ იმ ენერგოპროექტებში მონაწილე სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებას პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. კერძოდ, ასეთი პოლიტიკური საფუძველი შეიძლება იყოს მონაწილე მხარეებს შორის წლების, თუ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მტრობა (Stevens, 2009), ხოლო ეკონომიკურ საფუძველს ენერგორესურსების მიწოდების პირობები და სატრანზიტო გადასახადები შეიძლება წარმოადგენდეს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება პროექტში მონაწილე მხარეების მიერ, რათა თითოეულმა უფრო მეტი სარგებელი მიიღოს (Stevens, 2009). სტივენსი გვთავაზობს ამ პრობლემების მოგვარების რამდენიმე გზასაც, რომელთა შორის სამხედრო ქმედებები და მიწოდების ალტერნატიული მარშრუტების შედგენაცაა. გამოსავალი შეიძლება იყოს ასევე ენერგორესურსების მიწოდების ფორმის შეცვლაც (მილსადენისგან განსხვავებული), თუმცა, რიგ შემთხვევებში ეს შეუძლებელია (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ალტერნატიული წყაროების ხარჯებს), განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ (Stevens, 2009).

ენერგორესურსებსა და საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე შექმნილი ლიტერატურის ძირითადი ნაკლოვანება არის ის, რომ ეს ნაშრომები ემპირიულ მასალასაა მოკლებული. ეს კი, თავის მხრივ, იმითაა გამოწვეული, რომ არ არსებობს რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შექმნილი ნაშრომები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის კავშირის შესახებ

რაოდენობრივი კვლევის შექმნა თითქმის შეუძლებელია. აღნიშნული რთული თემატიკა მხოლოდ თეორიულ ანალიზს მოიაზრებს და მისი რიცხვებში გამოსახვა არარეალურია.

ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის თემაზე შექმნილი ნამუშევრების უმრავლესობა გარკვეული კრიზისების პერიოდებშია დაწერილი, როდესაც აღნიშნული საკითხები საზოგადოებისა და მედიის მაღალ ინტერესს იწვევდა. ამიტომაც, რომ ამ ეს ნაშრომები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ჟურნალისტურ მასალას (Sorbelli, 2011). თავად ის ფაქტი, რომ ნაშრომების ავტორების ინტერესი ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის კავშირის მიმართ მხოლოდ კრიზისულ პერიოდებში განვითარდა და მათ მიერ შექმნილი კვლევებიც მხოლოდ კონკრეტული დროის მონაკვეთით შემოიფარგლება, შეუძლებელს ხდის ვიმსჯელოთ აღნიშნულ საკვლევ თემატიკაზე უფრო ზოგადად - ანუ განვიხილოთ ენერგორესურსებსა და საგარეო პოლიტიკას შორის კავშირი იმ პერიოდებშიც, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო კრიზისი, ან კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო პოლიტიკისა და ენერგორესურსების თემაზე შექმნილი ნამუშევრების უმრავლესობა დიდი ძალების შემთხვევებზე ამახვილებს ყურადღებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ასეთ ძალად ძირითადად რუსეთს მოიაზრებენ (Sonmnez, 2016; Fiona, 2004; Rutland, 2008; Smith, 2006; Goldthau, 2008;), რომელიც ევროპის ქვეყნებთან და უკრაინასთან მიმართებაში აქტიურად იყენებს ენერგორესურსებს პოლიტიკურ იარაღად. ყოველივე ამისგან განსხვავებით ნაშრომში ხაზგასმულია პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა/სუსტი სახელმწიფოების ენერგორესურსებისა (გაზის ფაქტორი) და ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას შორის კავშირი. ამასთან, ეს კავშირი განხილულია არა მხოლოდ გარკვეულ კრიზისულ პერიოდში, არამედ ზოგადად, ანუ მაშინაც, როდესაც არ არსებობს ქვეყნებს შორის დაპირისპირება ენერგორესურსების გამო.

4 პატარა სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მცირე ზომისა და სუსტი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდამ აქტუალური გახადა პატარა სახელმწიფოს (small

states) ცნება. თუმცა, პატარა სახელმწიფოების საყოველთაო განსაზღვრება დღემდე არ არსებობს. ავტორთა უმეტესობა ასეთი ქვეყნების განხილვისას ძირითადად რამდენიმე მაჩვენებლებს ეყრდნობა. ერთ-ერთ ასეთი მაჩვენებელია მოსახლეობის რაოდენობა. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ პატარა სახელმწიფოა ის, რომლის მოსახლეობა 1 მილიონზე ნაკლებია (Clarke and Payne, 1987) ხოლო ზოგიერთის აზრით, ეს მაჩვენებელი 23.7 მილიონს (East, 1973), ან 5 მილიონს (Jalan, 1982) უდრის. მოსახლეობის რაოდენობის გარდა, კიდევ ერთი რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება იყოს ფართობი. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ყველა სახელმწიფო, რომლის ფართობიც 65,000 კვ.კმ-ს არ აღემატება, პატარაა (Jalan, 1982), ზოგიერთისთვის კი ფართობის მინიმუმი 40,000 კვ.კმ.-ით განისაზღვრება (Crowards, 2002). ასევეა ეკონომიკური მაჩვენებლების შემთხვევაშიც; ზოგიერთი ავტორისთვის პატარა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტი 3 მილიონ აშშ დოლარს არ აღემატება (Jalan, 1982), ზოგისთვის კი - 2,5 მილიონ აშშ დოლარს (Crowards, 2002). არსებობს ასევე სამხედრო ძალასთან დაკავშირებული კრიტერიუმიც. კერძოდ, ზოგიერთი ავტორის აზრით, ქვეყანა, რომლის სამხედრო დანახარჯები 400 მილიონ აშშ დოლარს არ აღემატება, პატარად შეიძლება ჩაითვალოს (Thorhallsson, 2006).

ზემოხსენებული კრიტერიუმები მხოლოდ რიცხობრივ მახასიათებლებს მოიაზრებს, რაც პატარა სახელმწიფოების სრულყოფილი დეფინიციისთვის არასაკმარისია. მაგალითად, ხშირად გაურკვეველია, რატომ უნდა ჩავთვალოთ 3 მილიონი მოსახლეობის მქონე სახელმწიფო პატარად და 4 მილიონიანი ქვეყანა - დიდად, ან საშუალოდ, როცა მათ თითქმის ერთნაირი მახასიათებლები აქვთ. გარდა ამისა, ხშირად შეიძლება პატარა მოსახლეობის მქონე ქვეყანას უფრო მეტად ძლიერი ეკონომიკა და მეტი ფართობი ჰქონდეს, ვიდრე - დიდი მოსახლეობის მქონეს. ამიტომ პატარა სახელმწიფოს დეფინიციისას რაოდენობრივთან ერთად საჭიროა თვისებრივი მაჩვენებლების განხილვაც. ასეთ თვისებრივ მაჩვენებლად ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს ქცევას, მის თავისებურებებს მიიჩნევს და ასკვნის, რომ პატარა სახელმწიფო არის ის, რომლის მმართველი ძალაც აცნობიერებს, რომ დამოუკიდებლად

საერთაშორისო სისტემაზე გავლენას ვერასდროს მოახდენს (Keohane, 1969). ამდენად, „პატარა სახელმწიფოში“ არა მისი ფიზიკური მონაცემები, არამედ მისი პოლიტიკური სისუსტე იგულისხმება (რონდელი, 2003; ბახტაძე, 2007). უფრო კონკრეტულად: პატარა სახელმწიფოები არიან ისინი, რომლებიც დიდ ძალებთან ურთიერთობაში „პატარები“ არიან (Vital, 1971). ზოგიერთი ავტორის აზრით, სწორედ ამიტომ, რომ პატარა სახელმწიფოები ესწრაფვიან საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობას, რაც მათ დიდ ძალებთან თანაბრობას უზრუნველყოფს (Rothstein, 1968).

ეს ნაშრომი ითვალისწინებს პატარა სახელმწიფოების ზემოხსენებულ თვისებრივ მახასიათებლებს და, ამდენად, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნებს პატარა, ანუ სუსტ სახელმწიფოებად მიიჩნევს, რომლებიც საერთაშორისო სისტემაზე გავლენას ვერ მოახდენენ და დიდ ძალებთან ურთიერთობაში „პატარებად“ რჩებიან.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი პატარა/სუსტი სახელმწიფოებისგან გამოყოფილ განსაკუთრებულ ჯგუფად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს მოიაზრებს, ვინაიდან ისინი ერთგვარი „ისტორიული ექსპერიმენტებია“, რომლებმაც საბჭოთა კავშირში ხელოვნურად შექმნილი განვითარების გეგმებით იცხოვრეს, მარცხი განიცადეს და მხოლოდ 20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყეს თანამედროვე ერი-სახელმწიფოს მშენებლობა (რონდელი, 2003). მათი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ამ სახელმწიფოებმა დაიწყეს დემოკრატიის განვითარება და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება, თუმცა, მეორეს მხრივ, მათ დღემდე თან სდევთ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი პრობლემები-კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ერთპიროვნული მმართველობა, ეთნიკური და რელიგიური ქიშპი, შოვინიზმი, სეპარატიზმი და ა.შ. (რონდელი, 2003).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ცალკე გამოყოფენ ასევე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების მნიშვნელობას, რომელთაც ერთი დიდი რეგიონის - ცენტრალური კავკასიის - ნაწილებად მოიხსენიებენ. აღნიშნული ტერმინი ხაზს უსვამს ამ რეგიონის წევრი ქვეყნების „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის იმ კონცეპტუალურ

იდეას, რომელიც ძირშივე ეწინააღმდეგება რუსულ ევრაზიიზმს“ - მხოლოდ რუსეთის აღიარებად ცენტრალური ევრაზიის სახელმწიფოდ (Papava, 2010:186).

ზომიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ პატარა/სუსტ სახელმწიფოებს საერთაშორისო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (East, 1973). ასეთი ქვეყნები დამოკიდებულნი არიან მათ გარშემო არსებულ სივრცეზე და ამ სივრცეში მომხდარ ცვლილებებზე. ამასთან, პატარა სახელმწიფოები მეგობრულად განწყობილი მეზობლების გარემოშიც ყოველთვის გრძნობენ დიდი ძალების სიახლოვეს და მათ ზეწოლას (Vital, 1971). ამდენად, პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაც საერთაშორისო გარემოს შესაბამისად ყალიბდება (Kropivnik and Jesovnik, 1995). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის შესახებ შექმნილი ნაშრომების დიდი ნაწილი ძირითადად საერთაშორისო სისტემის გავლენაზე და მასში მომხდარ ცვლილებებზე ამახვილებს ყურადღებას (ანალიზის მესამე - საერთაშორისო - დონე).

საერთაშორისო სისტემაში გადარჩენისა და არსებობისთვის პატარა ქვეყნები ძირითადად შემდეგ სტრატეგიას მიმართავენ: 1) ნეიტრალიტეტის გამოცხადება; 2) ალიანსების შექმნა მოკავშირეებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება (Amstrup, 1976; Gartner, 1993). ნეიტრალიტეტი ერთ-ერთი უძველესი სტრატეგიაა, რომელიც პატარა ქვეყნების მიერ გამოიყენება. ხშირად იგი სახელმწიფოს ისტორიის და ტრადიციების ნაწილია და ქვეყნის მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლობის გარანტად აღიქმება. ცნობილია, რომ გეოგრაფიულად „ჩაკეტილი“ ქვეყნები უფრო წარმატებით ახერხებენ ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას (მაგ., მთებით გარშემორტყმული შვეიცარია, ან განიერი მდინარეებით შემოღობილი ჰოლანდია) (Deudney, 2007). ნეიტრალიტეტის გამოცხადებით სახელმწიფოები ცდილობენ საერთაშორისო სისტემაში წარმოქმნილი დაპირისპირებებისგან დისტანცირებას და ამა თუ იმ დიდ ძალასთან მიუმხრომლობას. ეს ყველაფერი საბოლოოდ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების განმტკიცებას უწყობს ხელს (Harden, 1994). თუმცა, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ისე ვითარდება,

რომ პატარა/სუსტ სახელმწიფოებს ნეიტრალიტეტის გამოცხადება აღარ სჭირდებათ (Cox and MacGinty, 1996).

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია მოხდეს პატარა ქვეყნების მიერ თანამოაზრეებთან კოალიციების ან ალიანსების შექმნაც. მრავალწევრიანი კოალიცია თითოეული წევრის უსაფრთხოებას უფრო კარგად უზრუნველყოფს გარე საფრთხისგან. გარდა ამისა, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების წყალობით, პატარა სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს ფინანსური დახმარება და სამხედრო ტრენინგები, რაც მისი უსაფრთხოების სფეროს განვითარებისთვისაა აუცილებელი. თუმცა, ასეთ ორგანიზაციებში წევრობა საფრთხის შემცველიცაა: ხშირად სუპრანაციონალური ორგანოების შექმნა ქვეყნების სუვერენიტეტის შეზღუდვას იწვევს (Amstrup, 1976) და პატარა ქვეყნების „ჩაყლაპვის“ საფუძველი ხდება (რონდელი, 2003). ეს კი, ბუნებრივია, გადარჩენისთვის მებრძოლი პატარა სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

არსებობს სამი ძირითადი მექანიზმი, რომელთა გამოყენებითაც პატარა სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრიანდებიან: 1) ორმხრივი ალიანსი დიდ ძალასთან; 2) სხვა პატარა ქვეყნებთან გაერთიანება; 3) მრავალმხრივი ალიანსი როგორც დიდ ძალებთან, ისე სხვა პატარა სახელმწიფოებთან. პირველი შემთხვევა შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს პატარა ქვეყნისთვის, ვინაიდან დიდ ძალასთან კავშირმა შეიძლება გამოიწვიოს მისი სუვერენიტეტის შეზღუდვა. თუმცა, შესაძლებელია ამ კავშირით პატარა სახელმწიფომ მიიღოს ის სარგებელი, რასაც მის გარეშე ვერ მიიღებდა და, ამის შედეგად, შეიძინოს ე.წ. „წარმოებული ძალა“ (derivative power) საერთაშორისო სისტემაში საკუთარი პოზიციების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას საკუთარი მატერიალური რესურსები არ გააჩნია; ასეთ დროს სახელმწიფო ძალის საფუძველად სწორედ დიდ ძალასთან არსებული ურთიერთობა მიიჩნევა (Long, 2017). მეორე მექანიზმი, რომელიც „კოლექტიური ძალის“ (collective power) წყაროა (Long, 2017), შეიძლება არაეფექტური იყოს, რადგანაც სუსტი სახელმწიფოების ერთობა შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს

რომელიმე დიდი ძალისგან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ. მესამე მექანიზმი, ზოგიერთი ავტორის აზრით, შეიძლება ყველაზე მეტად მისაღები იყოს პატარა სახელმწიფოსთვის, ვინაიდან მრავალი წევრის არსებობა კოალიციაში ამცირებს თითოეული მათგანის სუვერენიტეტის შეზღუდვის საშიშროებას, ხოლო ამ კოალიციაში დიდი ძალის არსებობა საფრთხის დასაბალანსებლად საკმარისია (Rothstein, 1968).

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და ალიანსების შექმნა პატარა სახელმწიფოებისთვის მომგებიანია სამართლებრივი კუთხითაც. პატარა ქვეყნებს ეძლევათ საშუალება საკუთარი უსაფრთხოების პრობლემები საერთაშორისო დონეზე განიხილონ და საერთაშორისო სამართლის ნორმები გამოიყენონ მათ მოსაგვარებლად. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობამ შეიძლება საშუალება მისცეს პატარა ქვეყანას, გახდეს ისეთი პოლიტიკური პროცესების მონაწილე, რომელთა წევრობის საშუალებას მხოლოდ ეს საერთაშორისო ფორმატი იძლევა (Fox, 1969; რონდელი, 2003).

ზოგიერთი ავტორის აზრით, პატარა სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში „სტრატეგიული მანევრირების“ მიხედვით მოქმედებენ, რაც პატარა ქვეყნების მხრიდან საკუთარი სუვერენიტეტის და ავტონომიის განმტკიცების მცდელობას გულისხმობს (საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის გარეშე) დიდ ძალებთან ორმხრივად სასარგებლო გარიგებების წარმოების ხარჯზე (Mehdiyeva, 2011). ასეთ დროს პატარა ქვეყნების „რბილ ძალას“ (“კონკრეტულ-შინაგანი“ ძალა) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო არენაზე თავის დამკვიდრების მიზნით (Chong, 2010). ძალის ელემენტებს შორის კი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები და სიმდიდრე განიხილება (მათ შორის, ენერგორესურსები) (Long, 2017). მაგალითად, ლუქსემბურგის საგარეო პოლიტიკა გავლენიანად და პროაქტიულად მიიჩნევა, რაც ქვეყანაში არსებული სიმდიდრის ხარჯზე ხდება (Hey, 2002), ხოლო ტრინიდადი და ტობაგოს შემთხვევაში წარმატებული საგარეო პოლიტიკა რეგიონის მასშტაბით და აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარების კუთხით გაზის მდიდარი რესურსების შედეგია (Braveboy-Wagner, 2010).

პატარა სახელმწიფოების დიდ ძალებთან ურთიერთობის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულია ე.წ. მიტმასნებისა (bandwagoning) და დაბალანსების ცნებები. დაბალანსება რეალიზმის „ძალთა წონასწორობის თეორიას“ ეფუძნება. ამ თეორიის მიხედვით, ანარქიული საერთაშორისო სისტემა იყოფა რამდენიმე დაპირისპირებულ, თანაბარი ძალის მქონე სახელმწიფოთა ჯგუფებად, რომელთა შორის ძალთა წონასწორობა საერთაშორისო სისტემის წესრიგს და მშვიდობიანობას განაპირობებს (Kegley and Wittkopf, 1997). შესაბამისად, დაბალანსების ტაქტიკა გულისხმობს სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის იმ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ მოწინააღმდეგე ქვეყანას, ან ქვეყნების ჯგუფს ხელი შეეშალოს ისეთ ქმედებებში, რაც საერთაშორისო სისტემაში შექმნილ ბალანსს დაარღვევს (Pape, 2005).

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება პატარა ქვეყნებს დაბალანსების ტაქტიკის გამოყენებისკენ უბიძგოს. ერთ-ერთი მათგანია მოწინააღმდეგის აგრესიული ძალა, ანუ რესურსები და შესაძლებლობები. მათი ზრდა მეტოქე სახელმწიფოსთვის, ან სახელმწიფოთა ჯგუფისთვის პოტენციურ საფრთხეს ნიშნავს. გარდა ამისა, სახიფათო ფაქტორი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის გეოგრაფიული სიახლოვე, რაც მოწინააღმდეგე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ დაბალანსების ტაქტიკის გამოყენების წინაპირობა შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, მაპროვოცირებელ ფაქტორებად ითვლება მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის მაქსიმიზაცია და აგრესიული ინტენციებიც (Walt, 1985).

დაბალანსების საპირისპირო ცნებაა მიტმასნება (bandwagoning). იგი აღნიშნავს პატარა სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგე დიდ ძალასთან პარტნიორული კავშირის დამყარებას და მასზე დამოკიდებულებას (Waltz, 1979). პატარა ქვეყნები მიტმასნებას მიმართავენ მაშინ, როდესაც დაბალანსების შესაძლებლობები არ არსებობს (მაგ., გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე: თუ ისინი მტრებით არიან გარშემორტყმული) (Walt, 1987). გარდა ამისა, სახელმწიფომ შეიძლება მიტმასნების ტაქტიკა აირჩიოს არა მხოლოდ თვითგადარჩენის (ანუ როდესაც სხვა გამოსავალი არ

აქვს და იგი საფრთხეს ნებდება), არამედ სარგებლის მიღების მიზნითაც: ხშირად პატარა სახელმწიფოები თვლიან, რომ დიდ მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობით და მიტმასნებით უფრო მეტი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი. ასეთი სარგებელი შეიძლება გახდეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, სავაჭრო პრეფერენციების მიღება, ამა თუ იმ სფეროში მფარველობა და ა.შ. (Schweller, 1994). გარდა ამისა, პატარა ქვეყნები, რომლებიც გრძნობენ აშკარა საფრთხეს დიდი სახელმწიფოებისგან, ამჯობინებენ ამ ქვეყნებთან მიტმასნებას, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში დიდი ქვეყანა მაინც მოახერხებს სასურველი შედეგის მიღებას ძალისმიერი მეთოდებით (Mearsheimer, 2001). თუმცა, მიტმასნებაც შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხის შემცველი არჩევანი პატარა სახელმწიფოსთვის, ვინაიდან ამით მისი სუვერენიტეტი ნელ-ნელა იზღუდება და ძლიერ მოწინააღმდეგეს ეძლევა შანსი, აგრესიული ქმედების გარეშე „ჩაყლაპოს“ პატარა „მოკავშირე“ (Walt, 1987; რონდელი, 2003).

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემა და მასში მოქმედი აქტორები, უმეტესად კი დიდი ძალები. ამდენად, პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზი ძირითადად სისტემურ (მესამე) დონეზე უნდა მოხდეს. თუმცა, თავად სისტემური მიდგომის ფუძემდებლებიც აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ გარე ფაქტორებზე დაყრდნობით საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება (Waltz, 1979). ამდენად, საჭიროა ანალიზის პირველ (ინდივიდის დონე) და მეორე (სახელმწიფოს დონე) დონეზე არსებული მიდგომების ინტეგრირებაც (Fordham, 2009; Gourevitch, 2002). 20-საუკუნის ბოლოდან უფრო და უფრო გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კვლევისას შიდა ფაქტორებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებებზე მოქმედებენ, ეს გადაწყვეტილებები კი საბოლოოდ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას აყალიბებენ (Elman, 1995). უფრო მეტიც,

ხშირად ქვეყნის შიდა პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები იწვევს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შეცვლას (Doeser, 2011).

საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის შიდა ფაქტორების კავშირის კონტექსტში ზოგიერთი ავტორი კონსტრუქტივიზმის მიდგომას ეყრდნობა და ამტკიცებს, რომ მთავრობის წევრებისა და ელიტის იდეები ქვეყნის იდენტობის შესახებ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკას. ამის მაგალითია საქართველო, რომელიც, რუსეთისგან მომავალი საფრთხის მიუხედავად, ევროპული ინდენტობის იდეას ეყრდნობა და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას ისახავს (Gvalia 2013). ასევე ზოგიერთი პატარა ევროპული ქვეყნის შედეგიან საგარეო პოლიტიკას ნიჭიერი პოლიტიკოსების დამსახურებად თვლიან. ამის მაგალითია ლუქსემბურგის წარმატებაც, რომელსაც ხშირად ყოფილ პრემიერ-მინისტრს ჟან-კლოდ იუნკერს მიაწერენ (Hey, 2002; Hey 2003).

შიდა პოლიტიკურ ფაქტორებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ქვეყნის მმართველი რეჟიმის სტაბილურობის საკითხიც. კერძოდ, ზოგიერთი ავტორის აზრით, პატარა ქვეყნის ნებისმიერი წარმატებული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ქვეყანაში სტაბილური და ეფექტური მმართველობის არსებობის გარეშე. დემოკრატიულ პატარა სახელმწიფოებში ქვეყნის არჩეულ ლიდერებს შეიძლება აკლდეთ კონსოლიდირებული საზოგადოებრივი მხარდაჭერა ამა თუ იმ საგარეო პოლიტიკური ინიციატივის განსახორციელებლად, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოში მმართველი ელიტა, რომელსაც მუდამ მოწინააღმდეგეების მხრიდან გადაყენების ეშინია, ვერ შეძლებს ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის წარმოებას (Bueno De Mesquita and Smith, 2012).

ამდენად, პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზი ხდება როგორც საგარეო (დიდი ძალები; ანალიზის მესამე დონე), ისე შიდა ფაქტორების (ანალიზის მეორე დონე) გათვალისწინებით. თუმცა, ემპირიულ კვლევებში შიდა ფაქტორებზე მსჯელობისას ნაკლებად გვხვდება ეკონომიკური საკითხების, და, მათ

შორის, ენერგორესურსების მნიშვნელობის ხაზგასმა საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. მოცემული ნაშრომი ცდილობს შეავსოს ეს დანაკლისი.

5 სამხრეთ კავკასიის რეგიონი

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოებია. ზოგიერთი ავტორი ამ ქვეყნების (ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების) არსებობას მსოფლიო ძალთა ბალანსში განხორციელებული ცვლილების შედეგად აღიქვამს; 90-იანი წლებისათვის ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა დაინგრა, რის შედეგადაც, საბჭოთა კავშირი დაიშალა და შეიქმნა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო (Zlobin, 2008). ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, როგორც ერთიანი საბჭოთა სივრცის ნაწილებს, არაერთი საერთო მახასიათებელი აქვთ. თუმცა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორიც - ენერგორესურსები. ნაშრომის საკვლევი თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების განსხვავება გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანიზტი) მიხედვით.

ნაშრომში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საერთო მახასიათებლები შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრება:

- პატარა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი (მოსახლეობა, ფართობი, სამხედრო ძალა, მთლიანი შიდა პროდუქტი) და თვისებრივი (დამოუკიდებლად საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის უუნარობა) მაჩვენებლები;
- საერთო გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა (მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა)

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები განსხვავდებიან გაზის ფაქტორის მიხედვით, რომელშიც იგულისხმება ქვემოთმოცემული ფაქტორებიდან ერთ-ერთი, ან რამდენიმე მათგანი:

- გაზის მდიდარი რეზერვები (რაოდენობა);
- ჭარბი გაზის ექსპორტი საზღვარგარეთ;
- გაზის ტრანზიტის შესაძლებლობები.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზი შემდეგი კრიტერიუმით ხორციელდება: რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება და, შესაბამისად, მოსკოვის მიერ შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და პოლიტიკური/ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დისტანცირება (გარაყანიძე, 2019¹).

5.1 საერთო მახასიათებლები

5.1.1 სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოები: რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები

არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოც, სომხეთიცა და აზერბაიჯანიც პატარა ქვეყნებად ითვლება. კერძოდ, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა და ფართობი მცირეა - სომხეთსა და საქართველოში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო აზერბაიჯანში - 9 მილიონი; სომხეთის ფართობი 29 ათასს კვ. კმ-ს არ აღემატება, საქართველოსი - 69 ათასს, ხოლო აზერბაიჯანისა - 86 ათასს (CIA, The World Factbook, 2016). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამხედრო ძალა (სამხედრო ინფრასტრუქტურა, სამხედრო პერსონალი, იარაღი და ა.შ.) სხვა, დიდ სახელმწიფოებთან შედარებით უმნიშვნელოა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის მზარდი სამხედრო ბიუჯეტი (1.6 მილიარდი დოლარი) და განახლებული სამხედრო ტექნიკა სომხეთის მოძველებულ რუსულ ტექნიკასა და საქართველოს მცირე სამხედრო ბიუჯეტთან შედარებით გარკვეულ განსხვავებას ქმნის (სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი 512 ათას ამერიკულ დოლარს არ აღემატება, საქართველოსი კი - 380 ათასს). მცირეა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტიც ერთ სულ მოსახლეზე: სომხეთი -

¹ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკისა და გაზის ფაქტორის კავშირი განხილულია ნაშრომის ავტორის მიერ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის“ N8 (2019) გამოქვეყნებულ სტატიაში. სადოქტორო ნაშრომი მოიცავს ამ სტატიას.

3,936.8 დოლარი; აზერბაიჯანი - 4,131.6 დოლარი; საქართველო - 4,078.3 დოლარი (World Bank, 2017).

რაც შეეხება თვისებრივ მაჩვენებლებს, ამ მხრივ უმთავრესია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლად საერთაშორისო არენაზე გავლენის მოხდენის, ან სტატუს-კვოს შეცვლის უუნარობა. ვერც საქართველო, ვერც სომხეთი და ვერც აზერბაიჯანი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდა რეგიონში სტატუს-კვოს შეცვლას; უფრო მეტიც, ეს ქვეყნები ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ვერ ახერხებდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას, რაც, პირველ რიგში, მოუგვარებელ შიდა კონფლიქტებში აისახება: 21 საუკუნეშიც ყარაბაღის საკითხი, მონაწილე მხარეების სურვილის მიუხედავად, გადაუჭრელ პრობლემად რჩება; ამას ბოლო წლებში გახშირებული სამხედრო შეტაკებებიც მოწმობს (De Waal, 2017). ხოლო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას და, შედეგად, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას უქმნის საფრთხეს (Litra and Chkhikvadze, 2016).

ადვილად სავარაუდოა, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების არსებობა ძირითადად მესამე მხარის, კერძოდ, რუსეთის ინტერესს წარმოადგენს - „ახლო საზღვარგარეთში“ (near abroad) რუსეთის პოლიტიკის მთავარი აზრი სწორედ დესტაბილიზაციის გაღვივება და ამის შედეგად პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის მოპოვებაა (Shaffer, 2009).

5.1.2 გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთშედარების კონტექსტში აუცილებელია, აღინიშნოს ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიის მნიშვნელობაც. სამივე სახელმწიფო სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სამხრეთ კავკასიის ნაწილია. აღნიშნული რეგიონი ერთმანეთთან აკავშირებს ევროპას, აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს, რის გამოც საუკუნეების მანძილზე იგი სავაჭრო და ტრანზიტული თვალსაზრისით მნიშვნელოვან დერეფნად იქცა. სწორედ ამიტომ სამხრეთ კავკასია არაერთი რეგიონული, თუ საერთაშორისო ძალის ინტერესის

საგანს წარმოადგენს. წარსულში რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად სპარსთა, რუსთა და ოსმალეთის იმპერიები იბრძოდნენ, ხოლო დღეისათვის ეს ძალები აშშ-მ, ნატო-მ, ევროკავშირმა, თურქეთმა, ირანმა და რუსეთმა ჩაანაცვლეს. შედეგად, 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუხედავად, საქართველოც, სომხეთიცა და აზერბაიჯანიც (როგორც სამხრეთ კავკასიის ნაწილები) მკვეთრად განიცდიან გარე ძალის გავლენას, რაც ხშირ შემთხვევაში საფრთხის არსებობას გულისხმობს (Bell, 2013).

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი XX საუკუნეში ამ ქვეყნების საბჭოთა კავშირის წევრობა იყო, რომელმაც პოსტსაბჭოთა სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ამ სამ ქვეყანასაც მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. აღსანიშნავია, რომ მთიანი ყარაბაღის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებიც სწორედ ამ მემკვიდრეობის ნაწილია (McDonald and Zanolli, 2008).

გარდა შიდა კონფლიქტისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემებიც შეექმნათ. 90 წლებში ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოებს გაუჭირდათ საბაზრო ეკონომიკაზე გადართვა, რაც კერძო საკუთრებისა და ჯანსაღი კონკურენციის დანერგვასაც გულისხმობდა. არსებულ მძიმე სიტუაციას კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემებიც დაერთო, რომელთა მოგვარება ბოლომდე ვერც დღეს ხერხდება. კორუფციის პრობლემა განსაკუთრებით იგრძნობა სომხეთსა და აზერბაიჯანში; „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2018 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, სომხეთს 100-დან 42 ქულა აქვს და 77-ე ადგილზეა, ხოლო აზერბაიჯანს 30 ქულა აქვს და 126-ე ადგილზეა. საქართველო 56-ე ადგილზეა და 44 ქულა აქვს (Transparency International, CPI 2019).

ტრანსფორმაციის პროცესი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის პრობლემატური იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ახალი და საკმაოდ რთულად

შესასრულებელი ამოცანები აღმოჩნდა (EPRS, 2017). „თავისუფლების სახლის“ მიერ მომზადებულ 2019 წლის ანგარიშში (“Freedom in the World 2019”) სომხეთი და საქართველო „ნახევრად თავისუფალი“ ქვეყნები არიან, ხოლო აზერბაიჯანი - „არათავისუფალი“; ამასთან, სომხეთს 51 ქულა აქვს, საქართველოს 63, ხოლო აზერბაიჯანს 11 (0 ქულა ნიშნავს თავისუფლების უმცირესს მაჩვენებელს, ხოლო 100 ქულა - უდიდესს). აღნიშნული ანგარიში ქვეყნებს აფასებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის დონის მიხედვით (Freedom House, 2019).

5.2 განმასხვავებელი გაზის ფაქტორი

ნაშრომში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შედარებისას, როგორც უკვე აღინიშნა, გაზის ფაქტორი - რეზერვები, ექსპორტის ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები - განიხილება როგორც ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში გარკვეული მნიშვნელობის მქონე ფაქტორი.

5.2.1 რეზერვები

5.2.1.1 აზერბაიჯანი

სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებით აზერბაიჯანი მდიდარია ენერგორესურსებით. არსებული მონაცემებით, აზერბაიჯანის გაზის რეზერვები 1.3 ტრილიონ კუბურ მეტრს უტოლდება (BP Statistical Review of World Energy, 2019). თუმცა, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ეს ქვეყანაც, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოები რუსულ გაზზე იყო დამოკიდებული, რომელსაც ძირითადად „მოზდოკი-მახაჩკალა-კაზი მაგომედის მილსადენით“ იღებდა.² სიტუაცია შეიცვალა 2000-იანი წლებიდან, როდესაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახალი საბადოების აღმოჩენა და დამუშავება დაიწყო.

აზერბაიჯანის გაზის რესურსების ძირითადი ნაწილი კასპიის ზღვის ოფშორულ საბადოებში მოიპოვება. მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა „შაჰ-დენიზის“ საბადოს (რეზერვი: 50-100 მილიარდი კუბური მეტრი გაზი) ენიჭება, რომელიც

² ამასთან, 70-იან წლებში სამხრეთ კავკასია გაზს ირანიდანაც იღებდა, სამაგიროდ საბჭოთა კავშირი ე.წ. "სვოპ-კონტრაქტით" ევროპაში რუსულ გაზს როგორც ირანულს ყიდოდა და ამონაგებს ირანს ურიცხავდა.

დღეისათვის აზერბაიჯანული გაზის მოპოვებისა და ექსპორტის ძირითადი წყაროა. აღნიშნული საბადო 2006 წლიდან ფუნქციონირებს საერთაშორისო კონსორციუმის მიერ, რომელსაც ბრიტანული კომპანია BP ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს აშშ-ის მთავრობამ აღნიშნული ირანული კომპანია NIOC არ შეიყვანა სანქცირებული ირანული ორგანიზაციების სიაში, რადგან იგი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განვითარებაში მონაწილეობს. ევროკავშირის ინიციატივით შექმნილი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივით, „შაჰ-დენიზის“ საბადოს მეორე ფაზის ათვისების შემდეგ (2019-2020) იგეგმება ჯამში 16 მილიარდი კუბ. მეტრი აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი, საიდანაც 10 მილიარდი კუბ. მეტრი ევროპაში ტრანსპორტირდება, 6 მლრდ. კი თურქეთს მიეწოდება (U.S. Energy Information Administration -EIA, 2016).

აზერბაიჯანის გაზით მდიდარ საბადოებს მიეკუთვნება ასევე „უმიდი“ (აღნიშნული სიტყვა აზერბაიჯანულად „იმედს“ ნიშნავს), რომელიც „უმიდ-ბაბეკის“ კომპლექსის ნაწილია. იგი დედაქალაქ ბაქოსგან 70 კმ.-ის დაშორებით, კასპის ზღვის სამხრეთით 170 მეტრ სიღრმეზე მდებარეობს. გეოლოგიური სამუშაოები „უმიდზე“ აზერბაიჯანული „სოკარის“ მიერ 2010 წლიდან დაიწყო. 2014 წელს ცნობილი გახდა, რომ „უმიდის“ დამუშავება არაერთ ტექნოლოგიურ სირთულესთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, დიდ თანხებს მოითხოვს. ამ მიზნით აზერბაიჯანულმა „სოკარმა“ დაიწყო არაერთ ევროპულ კომპანიასთან მოლაპარაკებები. „სოკარის“ გეგმების მიხედვით, „უმიდიდან“ გაზის წარმოება 2022-2023 წლებში უნდა დაიწყოს. საბადოდან მოპოვებულმა გაზმა „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს (Israfilbayova,2018). მსგავსი ტექნოლოგიური პრობლემები დაკავშირებულია მეზობელ „ბაბეკის“ საბადოსთანაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეზერვები თავდაპირველად დაახლოებით 400 მილიარდ კუბ. მეტრად შეფასდა (Karayianni, 2017).

„უმიდისა“ და „ბაბეკისგან“ განსხვავებით აზერბაიჯანულმა „სოკარმა“ უკვე იპოვა ევროპელი პარტნიორი კიდევ ერთი დიდი საბადოს - „აბშერონის“ განვითარებისთვის. „აბშერონი“ 2011 წელს აღმოაჩინეს. იგი ბაქოსგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 კმ-ში

მდებარეობს (500 მეტრ სიღრმეზე) და დაახლოებით 270 კვ.კმ-ის ტერიტორიას მოიცავს. „სოკარის“ ინფორმაციით, საბადოს რეზერვები 350 მილიარდი კუბ. მეტრს უტოლდება. 2009 წელს „სოკარსა“ და ფრანგულ „ტოტალს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება „აბშერონის“ პროექტის პირველი და მეორე ფაზების განვითარების შესახებ. შეთანხმების შედეგად, ორივე კომპანია პროექტის 50%-იანი მონაწილე გახდა. „აბშერონზე“ გაზის წარმოება 2020 წლიდან არის დაგეგმილი. პირველი ფაზის ფარგლებში მოსალოდნელია წლიურად 1.5 მილიარდი კუბ. მეტრი გაზის წარმოება, ხოლო მეორე ფაზის განვითარების შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი 4 მილიარდ კუბ. მეტრამდე უნდა გაიზარდოს. აზერბაიჯანის ხელისუფლება „აბშერონის“ საბადოს ათვისების შედეგად გაზის ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდას ელის (Mackenzie, 2018).

5.2.1.2 სომხეთი

აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთს საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნია. მათი იმპორტი ძირითადად რუსეთიდან ხორციელდება. შედეგად, სომხეთში იმპორტირებული გაზის დაახლოებით 83% რუსულია. ყოველწლიურად სომხეთს დაახლოებით 2 მილიარდ კუბ.მეტრამდე რუსული გაზი გასული საუკუნის 70-იან წლებში ექსპლუატაციაში შესული 1200 მმ-იანი „ჩრდილოეთ კავკასია-ტრანსკავკასიის“ (მოზდოვი-თბილისი-ერევანი) მაგისტრალური მილსადენის მეშვეობით მიეწოდება, რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის (Arka, 2018).

სომხეთში ბუნებრივი გაზის ბაზარი მთლიანად რუსული „გაზპრომის“ შვილობილი, ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურის მქონე „გაზპრომ სომხეთის“ მიერაა მონოპოლიზირებული. ასევე „გაზპრომს“ ეკუთვნის ირან-სომხეთის მილსადენის (აღნიშნული მილსადენის სიგრძე 140 კმ-მდეა; იგი 2007 წლიდან ფუნქციონირებს; მისი დაგეგმილი მაქსიმალური გამტარუნარიანობა 2.3 მილიარდი კუბ. მეტრია წელიწადში) სომხური ნაწილიც. რუსეთის ზეწოლის შედეგად, სომხურმა მხარემ აღნიშნული მილსადენის დიამეტრი დაგეგმილი 1420 მმ-დან 700 მმ-მდე შეამცირა, ხოლო მისი გამტარუნარიანობა 1.1 მილიარდ. კუბ. მეტრი გახდა, რის

შედეგადაც, მომავალში ირანის გაზის სომხეთის გავლით დასავლეთისკენ ექსპორტი ტექნიკურად გართულდება. შედეგად, „გაზპრომს“ ევროპის გაზით მომარაგების კუთხით კონკურენტი არ გამოუჩნდება და სომხეთსაც ალტერნატიული მიწოდების წყარო არ გაუჩნდება (Socor, 2007). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ყოველწლიურად სომხეთის მიერ იმპორტირებული ირანული გაზის რაოდენობა თანდათან იკლებს. მაგალითად, 2017 წელს მხოლოდ 380 მილიონ კუბ. მეტრამდე ირანული გაზის იმპორტი განახორციელდა (Neftegaz.ru, 2018).

5.2.1.3 საქართველო

სომხეთის მსგავსად ენერგორესუსების სიმდიდრით არც საქართველო გამოირჩევა. ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ მცირე რაოდენობის ნავთობისა და გაზის მოპოვებაა შესაძლებელი. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგად, აღმოჩენილ იქნა 16 ნავთობის, 1 გაზ-ნავთობის და 1 გაზის საბადოები; გარდა ამისა ბოლო წლებში არაერთმა უცხოურმა კომპანიამ დაიწყო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე ახალი გაზის საბადოების აღმოჩენის მიზნით („ფრონტერა“ „კანარგო“), თუმცა, მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია (Transparency International Georgia, 2008).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება; იმპორტირებული გაზი ქვეყნის მთლიანი ენერგორესურსის დაახლოებით 45%-ს წარმოადგენს (Margvelashvili and Mukhigulishvili, 2011). აზერბაიჯანის გაზის საბადოების ამუშავებამდე საქართველოს ენერგორესურსებით მომარაგება ძირითადად რუსეთიდან („ჩრდილოეთ კავკასია-ტრანსკავკასიის მილსადენი“) ხორციელდებოდა, რაც, პოლიტიკური სიტუაციის გამო, ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ აყენებდა. დღეისათვის კი საქართველოს მთავარი ენერგოპარტნიორი აზერბაიჯანია. ყოველწლიურად ხდება დაახლოებით 2,6 მილიარდი კუბ. მეტრი აზერბაიჯანული გაზის იმპორტი საქართველოში, აქედან 813 მილიონი კუბ. მეტრი თურქეთში ტრანზიტის სანაცვლოდ მიღებული ბუნებრივი აირია. „ყაზახი-საგურამოს

მილსადენის“ გარდა (იგი საბჭოთა პერიოდში აშენდა; დღეისათვის მისი მეშვეობით საქართველო მცირე რაოდენობის გაზს იღებს მეზობელი აზერბაიჯანიდან), აზერბაიჯანული გაზი საქართველოსა და თურქეთს 692 კმ. სიგრძის „სამხრეთ კავკასიის გაზსადენით“ მიეწოდება, რომლის 248 კმ-იანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ამავე ტერიტორიის გავლით იგეგმება აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი („სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების ფარგლებში) ევროპის მიმართულებით (U.S. Energy Information Administration - EIA, 2016).

აზერბაიჯანიდან იმპორტირებული გაზის გარდა (ხშირად აზერბაიჯანული გაზი ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს მეზობელ ქვეყანაში არსებულ მოთხოვნას; არსებული ცნობებით, ბოლო წლებში “ყაზახის გაზსადენით” საქართველო ყოველდღიურად 6 მლნ კუბ. მეტრს, ხოლო „სამხრეთ კავკასიის გაზსადენით“ კი 2.9 მლრდ. კუბ. მეტრ ბუნებრივი აირს იღებს) საქართველო პერიოდულად (თუმცა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და არა რეგულარულად) რუსეთიდანაც იღებდა გაზის რესურსებს. კერძოდ, რუსეთსა და საქართველოს შორის აქამდე არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, სომხეთში ექსპორტირებული რუსული გაზის 10%-ს (დაახლოებით 200 მილიონი კუბ. მეტრი) საქართველო იღებდა. დროდადრო რუსული მხარე აყენებდა მოთხოვნას, რომლის საფუძველზეც, ტრანზიტის სანაცვლოდ საქართველო არა გაზს, არამედ ფინანსურ ანაზღაურებას (რაოდენობა უცნობია) მიიღებდა. 2016 წელს გამართული მოლაპარაკებების შედეგად, გადაწყდა, რომ მომავალში საქართველო გარკვეულწილად დააკმაყოფილებდა რუსეთის მოთხოვნებს და მიიღებდა ფინანსურ სარგებელს ტრანზიტული გაზის ნაცვლად, რუსეთს კი საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რაოდენობის გაზი ფასდაკლებით (1000 კუბ. მეტრ გაზზე 185 დოლარი 215 დოლარის ნაცვლად) უნდა მიეყიდა ქართული მხარისათვის (The Jamestown Foundation, 2018). ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის მიერ ინიცირებული წინადადება საქართველოსთვის წამგებიანი გამოდგა, ვინაიდან თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი „ჩრდილოეთ კავკასია-ტრანსკავკასიის გაზსადენის“ სიგრძეს (დაახლოებით 225 კმ.), ტრანზიტის სანაცვლოდ მიღებული

საფასური მაინც მცირე იქნება (რა ფასიც არ უნდა შეეთავაზებინა რუსულ „გაზპრომს“ ქართული მხარისთვის). ტრანზიტის სანაცვლოდ აღებული ფინანსური ანაზღაურება მაინც არ იქნება საკმარისი იმ რაოდენობის გაზის შესაძენად, რასაც საქართველო ტრანზიტის სანაცვლოდ იღებდა.

5.2.2 ექსპორტი - აზერბაიჯანი

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანი ახორციელებს გაზის ექსპორტს. როგორც უკვე აღინიშნა, აზერბაიჯანში მოპოვებული გაზის ექსპორტი „ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენით“ (იგივე „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“) საქართველოსა და თურქეთში ხორციელდება; ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნული გაზსადენის გამტარუნარიანობის 22 მილიარდ კუბ. მეტრამდე გაზრდისათვის, რამაც მომავალში აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს (U.S. Energy Information Administration - EIA, 2016).

„სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება ტრანსანატოლიური (TANAP) და ტრანსადრიატიკული (TAP) მილსადენების მშენებლობის პროექტები (იხ. დანართი N1), რომელთა საშუალებით აზერბაიჯანული გაზი ჯერ თურქეთს (16 მლრდ. კუბ. მეტრი), შემდეგ კი ევროკავშირის ქვეყნებს (6 მლრდ. კუბ.მეტრი) უნდა მიეწოდოს. კერძოდ, TANAP წარმოადგენს 1841 კმ. სიგრძის მშენებარე მილსადენს, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის“ ერთგვარი გაგრძელება იქნება. მისი მიზანია აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირება საბერძნეთამდე. 8.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების მილსადენის მშენებლობის იდეა 2011 წელს გახმოვანდა, 2015 წელს კი თურქეთის პრეზიდენტმა - რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა TANAP-ის მშენებლობის დაწყება ოფიციალურად გამოაცხადა. მილსადენის თავდაპირველი გამტარუნარიანობა 16 მილიარდი კუბ. მეტრი იქნება, ხოლო მომავალში იგეგმება მისი 23 მილიარდ კუბ. მეტრამდე გაზრდაც. მილსადენის მშენებლობის პროექტში აზერბაიჯანული „სოკარის“ (58%) გარდა ჩართულები არიან თურქული „ბოტაში“ (30%) და ბრიტანული BP (12%) (Gut, 2018). რაც შეეხება TAP-ს, იგი წარმოადგენს 800 კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენის

პროექტს, რომელმაც საბერძნეთის (დაახლოებით 550 კმ.) და ალბანეთის (215 კმ.) ტერიტორიების გავლით ადრიატიკის ზღვა უნდა გადაკვეთოს (მაქსიმუმ 800 მეტრის სიღრმეზე) და იტალიას (8 კმ.) დაუკავშირდეს. მილსადენი TANAP-ის ერთგვარი გაგრძელებაა, რომელიც თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე დაუკავშირდება TANAP-ს. TAP-ის საწყისი გამტარუნარიანობა იქნება 10 მილიარდი კუბ. მეტრი წელიწადში, რომელიც სამომავლოდ შეიძლება გაორმაგდეს (Jewkes, 2017).³ აღსანიშნავია, რომ TAP-ის წყალობით შესაძლებელი ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ევროპული პროექტის - ბულგარეთისა და საბერძნეთის დამაკავშირებელი გაზსადენის (IGB) მშენებლობაც. კერძოდ, 2021 წლიდან ბულგარეთი ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდ კუბ. მეტრ აზერბაიჯანულ გაზს („შაჰ დენიზი 2“) მიიღებს, რაც ამ ქვეყნის მთლიანი მოხმარების დაახლოებით 30%-ის დაკმაყოფილებას ნიშნავს. 182 კმ სიგრძის (150 კმ-ზე მეტი ბულგარეთის ტერიტორიაზე) IGB მილსადენი (დიამეტრი 813 მმ) საბერძნეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ. კომოტინიდან აიღებს სათავეს და ბულგარეთის სამხრეთ-ცენტრალურ ქალაქ სტარა-ზაგორაში დასრულდება. IGB გაზსადენის თავდაპირველი ყოველწლიური გამტარუნარიანობა 3 მლრდ. კუბ. მეტრი იქნება, სამომავლოდ კი შესაძლებელია აღნიშნული მაჩვენებლის 5 მლრდ. კუბ.მეტრამდე გაზრდაც (Zeynalova, 2018).

ევროპის გარდა, აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი სხვა რეგიონებშიც ხდება. მაგალითად, აზერბაიჯანსა და ირანს შორის არსებობს ე.წ. „სვოპ“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, აზერბაიჯანი ირანის ჩრდილოეთ პროვინციებს გაზით ამარაგებს, სანაცვლოდ კი ირანის გაზი აზერბაიჯანის ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას მიეწოდება. ამისათვის გამოიყენება საბჭოთა პერიოდში აშენებული 1474 კმ. სიგრძის „კაზი მაგომედ-ასტარა-აზადანის გაზსადენი“. გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში აშენებული 240 კმ. სიგრძის „კაზი მაგომედ-მოზდოკის“ გაზსადენი (მისი მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 1 მილიარდი კუბ. მეტრია) გამოიყენება აზერბაიჯანული გაზის (მცირე რაოდენობა) რუსეთში ექსპორტისათვის. (IBP, 2008).

³ „სამხრეთ კავკასიის მილსადენის“, TANAP-ისა და TAP-ის მარშრუტები ასახულია დანართი N1-ზე

აზერბაიჯანულმა „სოკარმა“ ასევე წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები პაკისტანის მხარესთან თხევადი ბუნებრივი აირის ექსპორტის შესახებ. კერძოდ, დაიგეგმა დაახლოებით 140,000 კუბ. მ. აზერბაიჯანული თხევადი გაზის ტრანსპორტირება პაკისტანის პორტ ქასიმში ქ. კარაჩის მახლობლად. აღსანიშნავია, რომ „სოკარს“ უკვე გარკვეული წარმატებული გამოცდილება აქვს თხევადი გაზის ექსპორტში; 2017 წლიდან აზერბაიჯანული კომპანია ბუნებრივი აირით ამარაგებს მალტის თერმულ სადგურს (Abbasova, 2017).

აზერბაიჯანის თხევად გაზთან დაკავშირებული პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 2010 წელს ინიცირებული აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ურთიერთ დამაკავშირებელი პროექტი AGRI (იხ. დანართი N2), რომელსაც „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში განიხილავენ. იგი ითვალისწინებს ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიარდი კუბ. მეტრი აზერბაიჯანული თხევადი გაზის ტრანსპორტირებას სანგაჩალის ტერმინალიდან (აზერბაიჯანი) ყულევის ტერმინალის (საქართველო) გავლით (ამ შემთხვევაში ყულევში გაზის გამათხევადებელი ტერმინალი უნდა აშენდეს) რუმინეთის კონსტანტას ტერმინალში და იქიდან კი - უნგრეთში (110 კმ-იანი „არად-სცეგედის მილსადენით“) და სხვა მეზობელ ევროპულ ქვეყნებში. 2012 წელს ჩატარდა აღნიშნული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (Newsbase, FSUOGM, 2019). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი AGRI-ის პროექტის მიმართ, ვინაიდან მისი განხორციელება უახლოეს მომავალში არარეალურია, რადგან არ არსებობს საკმარისი გაზის რაოდენობა (მით უფრო, რომ აზერბაიჯანი გაზის ექსპორტის სხვა პროექტებსაც ახორციელებს) და ასევე პრობლემატურია პოტენციური ინვესტორების მოძიებაც, რომლებიც AGRI-ის პროექტს დააფინანსებდნენ.

5.2.3 ტრანზიტი

5.2.3.1 აზერბაიჯანი

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი განიხილება არა მხოლოდ გაზის მწარმოებელი ქვეყანა, არამედ კასპიის ზღვის რეგიონის გაზის რესურსების დასავლეთში

ტრანსპორტირების დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის მიხედვით, თურქმენეთის და ყაზახეთის გაზის ექსპორტი ევროპაში ზღვისქვეშა „ტრანს-კასპიური მილსადენის“ (იხ. დანართი N3) მეშვეობით აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით უნდა განხორციელდეს (Jarosiewicz, 2015). სწორედ ამიტომ იყო კასპიის ზღვის მოსაზღვრე რუსეთისთვის მნიშვნელოვანი, რომ არ დაეშვა კასპიის ზღვის სტატუსის პრობლემის იმგვარად გადაჭრა, რომ აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შეძლებოდათ კასპიის ზღვის ენერგორესურსების დამოუკიდებლად ექსპორტირება. აღსანიშნავია, რომ დღემდე ლეგალურად კასპიის ზღვას არც ზღვის (ოკეანეზე გაუსვლელიობის გამო) და არც ტბის (ზომის, წყლის შემადგენლობისა და ფსკერის თავისებურების გამო) სტატუსი არ ჰქონია, ამიტომ არანაირი საერთაშორისო კანონი მასზე არ ვრცელდებოდა.

წლების მანძილზე რუსეთის მიერ კასპიის ზღვაზე წყლისქვეშა მილსადენის პროექტის საწინააღმდეგოდ ოფიციალურ მიზეზად გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები სახელდებოდა, თუმცა, თავად „გაზრპომმა“ არაერთი გაზსადენი ააშენა სხვადასხვა ზღვების ქვეშ (მაგალითად, „ჩრდილოეთის ნაკადი“, რომელიც ბალტიის ზღვის გავლით რუსულ გაზს აწვდის გერმანიას და „ცისფერი ნაკადი“, რომლის მეშვეობითაც, რუსული გაზი თურქეთს მიეწოდება). გარდა ამისა, რუსეთი და ირანი იხსენიებდნენ 1921 და 1940 წწ. სსრკ-ირანის კასპიის ხელშეკრულებებსაც, რომლთა მიხედვით, ნებისმიერი გაზსადენის აშენება კასპიის ზღვაზე ორი ქვეყნის ნებართვას საჭიროებდა.

2018 წლის ზაფხულში კასპიის ზღვის ქვეყნებს (რუსეთი, ირანი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი) შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, კასპიის ზღვას განსაკუთრებული წყლის სტატუსი მიენიჭა. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ მოსაზღვრე ხუთივე ქვეყანას აქვს უფლება ააშენოს წყალქვეშა მილსადენი, თუმცა, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ დანარჩენი მოსაზღვრე/მეზობელი ქვეყნების თანხმობის საფუძველზე, რომლის სექტორებსაც ეს მილსადენი გადაკვეთს (Garibov, 2018). ეს კი ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი და თურქმენეთი თავისუფლად შეძლებენ „ტრანს-კასპიური

მილსადენის“ პროექტის განხორციელებას, ვინაიდან მათ რუსეთის (და ირანის, რომელსაც ასევე ამბიციები აქვს, მომავალში საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტი მოახდინოს ევროპაში იმ შემთხვევაში, თუ მოიხსენება თეირანისთვის დაწესებული საერთაშორისო სანქციების პრობლემა) თანხმობა აღარ დასჭირდებათ. არსებული ცნობებით, მოსკოვმა თანხმობა განაცხადა კასპიის ზღვაზე მილსადენების (ე.ი. „ტრანს-კასპიური მილსადენის“) მშენებლობაზე იმის სანაცვლოდ, რომ არ მომხდარიყო კასპიის ტერიტორიაზე „გარე ძალის“ (პირველ რიგში აშშ) სამხედრო ბაზების გახსნა, რაც ასევე ჩადებულია 2018 წლის ზაფხულის ხელშეკრულებაში.

5.2.3.2 საქართველო

აღსანიშნავია, რომ საქართველო აზერბაიჯანისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი სახელმწიფოა, რაც, პირველ რიგში, სწორედ ენერგეტიკის სექტორში, კერძოდ, კი გაზის სფეროში არსებული თანამშრომლობითაა განპირობებული. „სამხრეთ კავკასიის დერეფნის“ გაზის პროექტებში საქართველო აზერბაიჯანზე არანაკლებ როლს თამაშობს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყველა მილსადენი, რომელმაც აზერბაიჯანული გაზის დასავლეთისკენ ექსპორტი უნდა განახორციელოს, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენს“, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს გაზით მომარაგების წყაროს, არამედ ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო ხაზს ევროპისკენ.

5.3 განსხვავებული შედეგი - განსხვავებული საგარეო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა მთავარი კრიტერიუმის - რუსეთის მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ/საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების - გათვალისწინებით.

5.3.1 სომხეთი - ქვეყანა გაზის რეზერვების/ექსპორტის/ტრანზიტის გარეშე

სამხედრო თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად დიდ ძალებზე, კერძოდ კი რუსეთზე, სომხეთია დამოკიდებული (მით უფრო რომ

სომხეთს სხვა სამხედრო პარტნიორი არ ჰყავს). ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მოსკოვი აქტიურად ამარაგებს იარაღით სომხეთს. აღსანიშნავია ასევე სომხეთის ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო 102-ე ბაზის მნიშვნელობაც, რომელიც მთლიანად სომხეთის ბიუჯეტიდან იფარება (Grigoryan, 2017)⁴. რუსეთისგან შეძენილი იარაღი და სამხედრო ბაზაც აქტიურად გამოიყენება ყარაბაღის საზღვარზე არსებულ შეტაკებებში⁵.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მჭიდროდ რუსეთთან რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში სომხეთი თანამშრომლობს. ჯერ კიდევ 90-იან წლებში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი თვის შემდეგ, სომხეთი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას“ - დსთ-ს (იგი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა) - შეუერთდა, რომელიც რუსეთის მთავრობის ინიციატივით შეიქმნა. ოფიციალურად აღნიშნული რეგიონული ორგანიზაციის დანიშნულება პოსტსაბჭოთა ქვეყნების „ცივილური დაშლის ხელშეწყობა“ (წევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული დიალოგის გაღრმავება) იყო, თუმცა, ზოგიერთი ავტორის აზრით, რეალურად იგი რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ პოლიტიკას და საბჭოთა კავშირის საზღვრების აღდგენას ემსახურება (Kramer, 2014).

რუსეთ-სომხეთის სამხედრო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ადგილი ოდკბ-ს ფარგლებში თანამშრომლობას უკავია. ოდკბ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც რუსეთის ინიციატივით 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. თავდაპირველად მასში სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი და

⁴ რუსეთის სამხედრო ბაზები სომხეთის გარდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც არსებობს: 3500 სამხედრო პერსონალიანი მე-4 სამხედრო ბაზა სამხ.ოსეთში და 4500 პერსონალიანი მე-7 სამხედრო ბაზა აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა, სომხეთისგან განსხვავებით, მათი არსებობა და ფუნქციონირება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული არ არის.

⁵ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში, ერთის მხრივ, სწორედ მოსკოვის შუამდგომლობით მოეწერა ხელი 1994 წელს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას, თუმცა, მეორეს მხრივ, რუსული მხარე ყველანაირად უწყობს ხელს ყარაბაღის კონფლიქტის დაუსრულებლობას. აღნიშნული კონფლიქტი რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ პოლიტიკისა (გავლენა მოიპოვოს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე და არ დაუშვას მათი დასავლეთისკენ „გადახრა“) და დასავლეთთან კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად რჩება.

უზბეკეთი გაერთიანდნენ; მოგვიანებით მათ აზერბაიჯანი, საქართველო და ბელორუსიაც შეუერთდნენ. თუმცა, საბოლოოდ აზერბაიჯანმა, საქართველომ და უზბეკეთმა აღნიშნული ორგანიზაცია დატოვეს. ორგანიზაციის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობის გამყარება, რაც ასევე გულისხმობს საფრთხის შემთხვევაში სამხედრო დახმარების გაწევას. 2012 წლის 16 იანვრიდან სომხეთის პრეზიდენტის მიერ ოფიციალურად დამტკიცდა ქვეყნის აღნიშნულ რეგიონულ ორგანიზაციაში მუდმივი წარმომადგენლობა. 2015 წელს კი სომხეთმა ოდკბ-ს ხუთ წლიანი თავმჯდომარეობა ჩაიბარა (Asbarez, 2018).

რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის სფეროში არსებულ თანამშრომლობას, რომელიც ასიმეტრიულია და ძირითადად რუსეთის ინტერესებს ემსახურება. როგორც უკვე აღინიშნა, სომხეთს არც ნავთობი და არც გაზი არ გააჩნია. აღნიშნული რესურსების იმპროტი ძირითადად რუსეთიდან ხორციელდება (ინტერვიუ ლიანა ჯერვალიმესთან, 2019). ეს ენერგოდამოკიდებულება ხშირად მოსკოვის წინაშე წლობით დაგროვებულ ვალებში აისახება ენერგო-დავალიანების სანაცვლოდ კი სომხეთს რუსეთისთვის არაერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური ობიექტის გადაცემა მოუწია - გაზის და ნავთობის ინფრასტრუქტურა, ქვეყნის უდიდესი ცემენტის ქარხანა, რაზდანის ელექტროსადგური, რომელიც ქვეყნის ელექტრომომარაგების 40%-ს უზრუნველყოფს და ა.შ. (Danielyan, 2003). თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების გამო სომხეთს საკუთარი საგარეო პოლიტიკის შეცვლაც მოუწია, რაც ყველაზე ნათლად 2013 წელს გამოჩნდა, როდესაც ქვეყნის მთავრობამ უარი თქვა, ხელი მოეწერა ევროკავშირთან „ასოციაციის ხელშეკრულებაზე“ („ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)“ ჩათვლით) და სანაცვლოდ რუსეთის მიერ ინიცირებული საბაჟო კავშირის (ამჟამად ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, რომელიც 2015 წლიდან ფუნქციონირებს; მასში რუსეთთან და სომხეთთან ერთად ყაზახეთი, ყირგიზეთი და ბელორუსია არიან გაწევრიანებული) წევრობა არჩია.

სომხეთის პრორუსული არჩევანი, გარკვეულწილად, მოულოდნელი იყო, ვინაიდან ბოლო წლებში ევროპასა და სომხეთს შორის თანამშრომლობა უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ჯერ კიდევ 1996 წელს მოეწერა ხელი სომხეთსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას“ (PCA); გარდა ამისა, სომხეთი ევროკავშირის მიერ 2004 წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებული „სამეზობლო პოლიტიკისა“ და 2009 წელს ინიცირებული „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის წევრი ქვეყანაც გახდა, ხოლო 2010 წლიდან დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები „ასოცირების ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში სომხეთში ევროკავშირის დახმარებით არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რომელთა წყალობით ქვეყანამ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მაგალითად, „მსოფლიოში პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, 2014 წელს სომხეთი რეგიონის ლიდერი იყო (World press freedom index, 2014).

ამდენად, ევროკავშირის დახმარებით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სომხეთმა საბოლოოდ პრორუსული საბაჟო კავშირის წევრობა აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია სავარაუდოდ სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობის შეზღუდვას და საბოლოოდ რუსეთის დიდი ხნის სწრაფვას ემსახურება - აღადგინოს ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრები და დასავლეთის მიერ აღიქმებოდეს თანაბარ პარტნიორად.

სომხეთის პრორუსული საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელი დარჩა 2018 წელს ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ პაშინიანის გამარჯვება სწორედ რუსეთის მთავრობის მხრიდან აღმოჩენილი დახმარებით მოხერხდა (Pinchuk and Osborn, 2018).

სომხეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანი შეიძლება ქვეყანაში ენერგორესურსების, კერძოდ გაზის, არ არსებობით და ამის შედეგად, რუსეთზე ენერგო დამოკიდებულებით აიხსნას. როგორც ცნობილია, რუსეთი ხშირად იყენებს ენერგორესურსებს საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Fiona, 2004; Rutland,

2008). იგივე მოხდა სომხეთის შემთხვევაშიც: მას შემდეგ, რაც სომხეთმა ევროკავშირთან დაახლოება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა, რუსულმა მხარემ რამდენჯერმე გააფრთხილა სომხეთის პრეზიდენტი, რომ ქვეყნის პროევროპული კურსი რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობას საფრთხეს შეუქმნიდა. მართლაც, 2013 წლის ზაფხულში, „ადმოსავლეთის პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსკოვმა მოკავშირე სომხეთს გაზის ფასი გაუძვირა. შედეგად, სომეხი მოსახლეობისთვის გაზი 18%-ით გაძვირდა, ელექტროენერგია კი - 26%-ით (ვინაიდან სომხეთის ელექტროენერჯის ერთი მესამედი გაზის თბოელექტროსადგურებიდან გენერირდება); ახალი ტარიფებით, სომხეთს ათასი კუბ. მ. რუსული გაზის სანაცვლოდ 180 დოლარის ნაცვლად 270 დოლარი უნდა გადაეხადა (Armenpress, 2013). ეს ყველაფერი უკვე არსებულ ვალებს დაემატებოდა და ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა, მით უფრო, რომ არ არსებობდა ალტერნატიული მიწოდების წყარო; სომხეთ-ირანის მილსადენის სომხური ნაწილი უკვე „არმროსგაზზე“ იყო გასხვისებული სომხეთის მთავრობის მიერ. ამ კომპანიის თითქმის 80%-ს კი რუსული „გაზპრომი“ ფლობს (Socor, 2007). ამიტომ ალტერნატიული ირანული გაზის შესყიდვა მთლიანად რუსეთის მიერ გაკონტროლდებოდა, ან არასდროს არ განხორციელდებოდა (ინტერვიუ მარიამ ვალიშვილთან, 2019). სწორედ ამიტომ იყო, რომ სომხეთში ირანის ელჩის, მოკამედ რაისის შეთავაზებას ირანული გაზის უფრო დაბალ ფასად შეძენის შესახებ სომხეთის მხარისგან პასუხი არ მოჰყოლია. სომხეთის მთავრობა ხვდებოდა, რომ ნებისმიერი ფასის და პირობების შემთხვევაში ირანთან თანამშრომლობა გაზის სფეროში უკვე შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, ირანი, როგორც გაზის მთავარი მიმწოდებელი არც დასავლეთისთვის იქნებოდა მისაღები თუ გავითვალისწინებთ თეირანის წინააღმდეგ აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს. ამიტომაც იყო, რომ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ალტერნატიულ იდეას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ირანული გაზით ევროპის ალტერნატიული მომარაგება სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე

გამავალი მილსადენით, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია (ინტერვიუ მარიამ ვალიშვილთან, 2019).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სომხეთის პრორუსული არჩევანისა და „მიტმასნების“ პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ენერგოუსაფრთხოება და, კერძოდ, გაზის სფეროში არსებული პრობლემები იყო. 2013 წელს „ასოცირების შეთანხმებაზე“ უარის თქმით და რუსეთთან გარიგებით სომხეთმა საბოლოოდ დაკარგა საგარეო პოლიტიკის დაბალანსების შესაძლებლობა (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეყანას სხვა არჩევანი არც ჰქონია. ბუნებრივი აირის გამვირებას გაცილებით სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ გაზის როლს სომხეთის ეკონომიკაში. ბუნებრივია, ეკონომიკურ კრიზის „გადადინების ეფექტი“ ექნებოდა პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სოციალურ სფეროზე და ა.შ. ამას კარგად აცნობიერებდა სომხეთის მთავრობაც. 2013 წელს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა აღიარა, რომ საბაჟო კავშირზე/ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირზე უარის თქმის შემთხვევაში ქვეყანას დაემუქრებოდა სერიოზული საფრთხე, ვინაიდან იგი ვერ შეძლებდა, გადაეხადა 300 მილიონ დოლარამდე დაგროვებული რუსული ბუნებრივი აირის ვალი. მსგავსი განახცადი გაკეთდა ქვეყნის პრეზიდენტის მიერაც; სერჟ სარგსიანმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ვერ დაუშვებდა გაზის ფასის თითქმის გაორმაგებას, რასაც ელექტროენერჯის ფასის ზრდაც მოყვებოდა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი საბაჟო კავშირის არჩევა იყო (Ter-Matevosyan, Drnoian, Mkrtchyan and Yepremyan, 2017). ეს განცხადებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სომხეთის შემთხვევაში გაზი იქცა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

სომხეთის პრორუსულმა პოლიტიკამ გარკვეული შედეგი (ეკონომიკური სარგებელი) გამოიღო (ხშირად ძლიერი სახელმწიფოები ხშირად გარკვეულ „წამახალისებლებს“ გასცემენ პატარა სახელმწიფოების მოკავშირეობის სანაცვლოდ: ტერიტორიული მთლიანობის გარანტია, სავაჭრო ხელშეკრულებები, ეკონომიკური

სარგებელი და ა.შ. (Mearsheimer, 2001)): საბაჟო კავშირთან შეერთების შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, სომხეთმა რუსულ გაზზე ფასდაკლება მოიპოვა - 2013 წლიდან დან 270 დოლარის ნაცვლად 1000 კუბ. მ. რუსული გაზის ფასი 189 დოლარი გახდა (Gevorgyan, 2014). თუმცა, რეალურად სომეხი მოსახლეობისთვის გაზის ფასი უფრო ძვირი დარჩა, ვინაიდან რუსული ბუნებრივი აირის ფასი საზღვარზე მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხეთის მომხმარებლისთვის დადგენილი ფასისაგან, რაც საშუალოდ 220-240 დოლარია 1000 კუბ. მეტრზე (ინტერვიუ მარიამ ვალიშვილთან, 2019). ამის მიუხედავად, იმჟამინდელი სომხეთის მთავრობა მაინც ცდილობდა რუსეთთან ალიანსისა და პრორუსულ ორგანიზაციებში წევრობის გადაწყვეტილება სწორედ გაზის ფასით გაემართლებინა; პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი იმედის თვალთ შეჰყურებდა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, რომელიც 2025 წლისათვის ყველა წევრ ქვეყანას თანაბარ ფასსა და მიწოდების პირობებს ჰპირდებოდა; ეს კი, ს. სარგსიანის აზრით, სომხეთის ეკონომიკის გადარჩენას ნიშნავდა, ვინაიდან ამ ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა სწორედ გაზია (Kopelevich, 2017).

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მახასიათებელი პრორუსული ორიენტაციაა, რაც ამ პატარა სახელმწიფოსთვის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი არჩევანია, ვინაიდან რეალიზმის თეორიის განმარტებით, პატარა სახელმწიფოები ირჩევენ დიდ ძალებთან ალიანსს მაშინ, როდესაც დიდ ძალასთან დაპირისპირების შედეგად არსებული დანაკარგები სარგებელს აღემატება და როდესაც არ არსებობს დიდი ძალების დაბალანსების და კოალიციების შექმნის საშუალება, მით უფრო, თუ პატარა სახელმწიფო მოწინააღმდეგეებითაა შემოსაზღვრული (Mearsheimer, 2001). იგივე შეიძლება ითქვას სომხეთის შემთხვევაშიც, რომელსაც კარგად ესმის რუსეთთან დაპირისპირების და მის წინააღმდეგ კოალიციების შექმნის შესაძლო დანაკარგები (პირველ რიგში, ენერგო დამოკიდებულების გათვალისწინებით); ასევე სომხეთი ვერ თანამშრომლობს მეზობლებთან, უფრო მეტიც, მათთან სამხედრო, თუ დიპლომატიურ დაპირისპირებაშია (აზერბაიჯანი და თურქეთი); სომხეთისთვის ასევე შეუძლებელია

მეორე დიდი ძალის/საფრთხის - თურქეთის (მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1991 წელს სომხეთის დამოუკიდებლობა ცნო, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს; თურქეთი ყარაბაღის საკითხში აზერბაიჯანის პოზიციას იზიარებს; გარდა ამისა, სომხეთი დღემდე ადანაშაულებს თურქეთს 1915 წლის სომეხთა გენოციდში (ოსმალთა იმპერიის პერიოდში)) წინააღმდეგ კოალიციების შექმნაც, ვინაიდან რეგიონის ყველა ქვეყანა, მათ შორის, რუსეთიც, მჭიდროდ თანამშრომლობს ანკარასთან.

5.3.2 საქართველო - ქვეყანა გაზის ტრანზიტის შესაძლებლობებით

მეზობელი სომხეთისგან განსხვავებით, საქართველო სამხედრო თვალსაზრისით მეზობელ რუსეთზე დამოკიდებული არ არის, მით უფრო, რომ ჩრდილოელი მეზობელი პირდაპირ მონაწილეობდა საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთისა (20 ს-ის 90-იანი წწ.) და სამხრეთ ოსეთის (2008 წლის 5 დღიანი ომი) სამხედრო კონფლიქტებში. საქართველოში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების იმპორტი ძირითადად დასავლეთიდან ხორციელდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეზობლებს შორის ყველაზე მწირი სამხედრო ბიუჯეტი სწორედ საქართველოს აქვს; ქვეყანა ძირითადად თავდაცვითი შეიარაღების და ტექნიკის (საბრძოლო მანქანები, მსუბუქი თუ მძიმე შეიარაღება) შესყიდვას აწარმოებს (ბასილაია, 2015).

განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო დიდი ძალებისთვის, განსაკუთრებით, აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებისთვის საქართველო მნიშვნელოვანია არსებული და დაგეგმილი ენერგოპროექტების კონტექსტში, რომელთა საბოლოო მიზანი ევროპის ქვეყნების რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება და, გარკვეულწილად, რუსეთის გავლენის დაბალანსებაა. ამ პროექტებს ხშირად ევროპის „ალტერნატიული მომარაგების“ წყაროდ მოიხსენიებენ, რაც რუსეთის გაღიზიანებას და დასავლეთთან დაპირისპირებას - ე.წ. „მილსადენების ცივ ომს“- განაპირობებს (Papava and Tokmazishvili, 2010:104).

საქართველოს ტერიტორიის გავლით ხდება აზერბაიჯანული გაზის თურქეთში ტრანსპორტირება („სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“); მომავალში კი „სამხრეთის გაზის

დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში სწორედ საქართველოს გავლით უნდა განხორციელდეს აზერბაიჯანული („ტანაპისა“ და „ტაპის“ პროექტები) და თურქმენული („ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტი) გაზის ევროპაში ექსპორტი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის კი ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამდენად, რაც მეტად იქნება დატვირთული სამხრეთის გაზის კორიდორი (და ევროკავშირზე ორიენტირებული სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა), ბუნებრივია, მით მეტი იქნება ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ინტერესი, უზრუნველყოფილ იქნას სტაბილურობა და უსაფრთხოება (მათივე ინტერესებიდან გამომდინარე) რეგიონში (ინტერვიუ ლიანა ჯერვალიმესთან, 2019). 2000-იან წლებში სწორედ ამიტომ იყო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, გამხდარიყო აზერბაიჯანის პარტნიორი (ე.ი. გაზის იმპორტიორი) და განთავისუფლებულიყო რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისაგან. მართალია, რუსეთის, როგორც მთავარი მიმწოდებლის, ჩანაცვლება აზერბაიჯანით საქართველოსთვის ეკონომიკური კუთხით და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაბიჯად არ შეიძლება ჩაითვალოს (რეალურად არ მომხდარა იმპორტის დივერსიფიკაცია, მოხდა მხოლოდ ერთი მიმწოდებლის ჩანაცვლება მეორეთი), თუმცა, საქართველოსთვის ეს ნაბიჯი, პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი (ინტერვიუ მარიამ ვალიშვილთან, 2019). სწორედ საგარეო პოლიტიკური ინტერესების გამო არ დაინტერესდა ასევე საბოლოო ჯამში საქართველო ექსპორტის დივერსიფიკაციის იმ შესაძლებლობით, სადაც მიმწოდებლად ირანი განიხილებოდა („სამხრეთის გაზის დერეფნის“ ალტერნატიული ვარიანტი); თეირანთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ კურსს ვერ დაემთხვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ გაზის ექსპორტის დივერსიფიკაცია ნებისმიერი პატარა სახელმწიფოსთვის საინტერესოა.

საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკა და მზარდი სატრანზიტო როლი ეწინააღმდეგება საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის - რუსეთის ინტერესებს „ახლო საზღვარგარეთში“. რუსეთი ყველა ხერხით ცდილობს შეინარჩუნოს მონოპოლია ევროპის ენერგორესურსებით მომარაგებაზე (რაც მოსკოვს პოლიტიკური მიზნების

განხორციელებაში ეხმარება) და ეწინააღმდეგება მისი გვერდის ავლით ალტერნატიული გზების შექმნას. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის რუსული სამხედრო თვითმფრინავების სამიზნეები საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენები იყვნენ. ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტების წინაშე არსებული რისკები.

უნდა აღინიშნოს, რომ ენერგორესურსების გამო საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრობლემები 2008 წლის ომამდეც ჰქონდა. ჯერ კიდევ 20 საუკუნის მიწურულს, როდესაც გადაწყდა აზერბაიჯანული ენერგორესურსების საქართველოს გავლით დასავლეთისკენ ექსპორტირების საკითხი, რუსეთმა დაიწყო საქართველოს მთავრობის დადანაშაულება პანკისის ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიელი ტერორისტების დახმარებაში. საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რუსეთის ეს ბრალდება სხვა არაფერი იყო, თუ არა მცდელობა, პრობლემები შეექმნა მილსადენების პროექტებისთვის და საქართველოს სატრანზიტო იმიჯისთვის (Blum, 2002). საქართველოსთვის კი ამ პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კუთხითაც. პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, პროდასავლური ენერგოპროექტების წყალობით „ქვეყანა ენერგეტიკულად დამოუკიდებელია. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა კი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საფუძველია“ (აქ, პირველ რიგში, რუსეთისგან დამოუკიდებლობა იგულისხმება). ამიტომ, პრეზიდენტის აზრით, საქართველოს მთავრობას დიდი ყურადღება უნდა დაეთმო მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და დასავლელი პარტნიორების ნდობის გამყარებისათვის (წამალაშვილი, 2002).

საქართველოს მონაწილეობა აშშ-ის მხარდაჭერით შექმნილ ენერგეტიკულ ინიციატივებში ნიშნავდა საქართველოს მთავრობის პროდასავლურ პოლიტიკასა და, ამდენად, რუსეთის ინტერესების დაბალანსებას (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019), მით უფრო, რომ რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - იგორ ივანოვის განცხადებით, ენერგოპროექტების ხელშეწყობით აშშ მხოლოდ ცდილობდა „გაემეკებინა

რუსეთი იმ ტერიტორიებიდან, სადაც მოსკოვს ისტორიული ინტერესები ჰქონდა“ (Blum, 2002:3).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველო გახდა აშშ-ის მიერ ინიცირებული ენერგოპროექტების წევრი და აგრძელებს პროდასავლურ პოლიტიკასაც, რაც, პირველ რიგში, ევროკავშირთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან (ნატო) მჭიდრო თანამშრომლობაში გამოიხატება. ეს თანამშრომლობა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA), ხოლო 2004 წლიდან საქართველო გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ოფიციალური წევრი. გარდა ამისა, საქართველო ევროკავშირის არაერთი რეგიონული ინიციატივის მონაწილეა („შავი ზღვის სინერგია“ 2007 წ., „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ 2009 წ.). სწორედ ამ ინიციატივების ფარგლებში მოეწერა ხელი 2013 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებას“, (AA) რომლის ნაწილიცაა “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება” (DCFTA), ხოლო 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობენ.

ჯერ კიდევ 2002 წლის ნატო-ს პრადის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად დააფიქსირა თავისი სურვილი, გამხდარიყო ალიანსის წევრი, ხოლო 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, ნატო-ს მხრიდან გაკეთდა საპასუხო ოფიციალური განახცადი-ალიანსი მიიჩნევს, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. გარდა, ამისა 2004 წლიდან საქართველო არის ნატო-ს პირველი პარტნიორი, ვისთანაც ალიანსმა შექმნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP-Individual Partnership Action Plan). ამ გეგმის ფარგლებში შეიქმნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრიც. დღეისათვის საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში/სამშვიდობო მისიებშიც; მაგალითად, საქართველო არის რიგით მეორე კონტრიბუტორი ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. გარდა ამისა, ქვეყანა მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ნატო-ს ანტიტერორისტულ ოპერაციაში

(Active Endeavour), რომლის განხორციელების იდეა გაჩნდა 2001 წელს აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ.

ამდენად, საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, რაშიც ენერგორესურსების, მათ შორის გაზის, ტრანზიტორის ფუნქციაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ტრანზიტის საკითხის მნიშვნელობა ხაზგასმულია ასევე ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებში. კერძოდ „2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში“ აღნიშნულია, რომ „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. შექმნილ ვითარებაში პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას, ინსტიტუციური დემოკრატიის შემდგომ კონსოლიდაციას, მოსახლეობის კეთილდღეობასა და საერთო ევროპულ ოჯახში, ასევე, გლობალური მასშტაბით საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.“ (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2011) კი ზახს უსვამს სატრანზიტო როლის მნიშვნელობას უსაფრთხოების კუთხით და აღნიშნავს, რომ „საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას. ამ მიზნით იგი მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში.“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევრო-ატლანტიკური კურსი ხშირად ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის და იდენტობის ფაქტორებთანაა დაკავშირებული, რაც საქართველოს „ევროპულ ოჯახში დაბრუნებას“ გულისხმობს (Nodia, 1998; Kakachia, 2013). სწორედ ამ კონტექსტში იყო საქართველოსთვის გარდამტეხი და უმნიშვნელოვანესი, განთავისუფლებულიყო რუსულ გაზზე

დამოკიდებულებისაგან, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მთავარ მომმარაგებლად რუსული „გაზპრომი“ დარჩებოდა, საქართველო ვერ შეძლებდა აქტიური პროდასავლური საგარეო პოლიტიკის წარმოებას და, მეზობელი სომხეთის მსგავსად, ვერც „ასოცირების ხელშეკრულებას“ მოაწერდა ხელს 2013 წელს (თუნდაც რუსეთის მხრიდან გაზის გადაკეტვის, ან ფასის გაძვირების შედეგად); ისევე როგორც სომხეთი, საქართველოც მოექცეოდა ჩრდილოელი მეზობლის ზეწოლის ქვეშ, გამხდარიყო რუსეთის მიერ შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ბოლო წლებში საქართველოს ტრანზიტორის ფუნქციას საგარეო პოლიტიკის კონტექსტში არამხოლოდ ევროატლანტიკურ ინტეგრაციას უკავშირებენ. 2015 წლიდან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყანას ესაჭიროება გაზის დამატებითი რაოდენობის იმპორტი. ამ მიზნით კი არ გამოირიცხება რუსულ მხარესთან თანამშრომლობაც - ანუ საქართველო, გაზთან დაკავშირებული ინტერესებიდან გამომდინარე, ითანამშრომლებს ქვეყანასთან, რომელმაც არაერთხელ შეუქმნა გაზით მომარაგების პრობლემები მეზობლებს. 2019 წელს აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმაც, რომელმაც იმპორტის დივერსიფიცირების აუცილებლობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთისთვის მნიშვნელოვან კომერციულ ინტერესს არ წარმოადგენს და ამიტომ მომავალში „გაზპრომთან“ თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს საფრთხეს არ შეუქმნის (REGinfo, 2019). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისთვის გაზით ვაჭრობას არა კომერციული, არამედ უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის მაგალითზე უკვე არაერთხელ გამოჩნდა. საქართველომ ეს თავის თავზეც გამოსცადა 2006 წელს, როდესაც ზამთრის დასაწყისში „გაზპრომმა“ გაზის მიწოდება შეუწყვიტა საქართველოს მილსადენზე მომხდარი აფეთქებების მომიზეზებით. საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, სწორედ მოსკოვის ორგანიზებული იყო „ეს ენერგოსაბოტაჟი“ და მას

მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა - პასუხი საქართველოს ევროატლანტიკურ საგარეო კურსზე (Chivers, 2006). ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის პოზიცია გასაგებია ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ნებისმიერი ქვეყნისთვის არასახარბიელოა ერთ მიმწოდებელზე დამოკიდებულება (ამ შემთხვევაში აზერბაიჯანზე), თუმცა, მეორეს მხრივ, ამის გამო რუსულ „გაზპრომთან“ თანამშრომლობის გაღრმავება და გაზის იმპორტის გაზრდა საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზანს - ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. სწორედ ამიტომ ცდილობენ სხვა პროდასავლური ორიენტაციის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც რუსული გაზის იმპორტის შემცირებას: მაგ., უკრაინა, რომელმაც უარი თქვა შედარებით იაფ რუსულ გაზზე და ბუნებრივ აირს ევროკავშირის ქვეყნებისგან გაცილებით ძვირად ყიდულობს, ან მოლდოვა, რომელიც სულ უფრო აქტიურად ცდილობს გაზარდოს რუმინეთიდან იმპორტირებული გაზის რაოდენობა, რომ ამით დააბალანსოს რუსული გაზის იმპორტი.

5.3.3 აზერბაიჯანი - ქვეყანა გაზის რეზერვებით/ექსპორტით/ტრანზიტით

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი სამხედრო შესაძლებლობები აზერბაიჯანს აქვს. ქვეყანა არაერთ პარტნიორ სახელმწიფოსთან თანამშრომლობს, რაც ამ ქვეყნის ერთ რომელიმე ძალაზე დამოკიდებულებას გამორიცხავს. მდიდარი ენერგორესურსების წყალობით, ბაქომ სამხედრო ძალის გაუმჯობესება შეძლო; ნავთობისა და გაზის სექტორიდან მიღებული შემოსავლის წყალობით, ბოლო წლებში ქვეყნის წლიურმა სამხედრო ბიუჯეტმა თითქმის 2 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც უტოლდება სომხეთის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტს (SIPRI Fact Sheet, 2017). 2005 წელს დაარსდა აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროც, რომლის ძირითადი დანიშნულება მოძველებული საბჭოთა ტექნიკის განახლება წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი აზერბაიჯანის ენერგორესურსების დანიშნულებად სწორედ სამხედრო ძალის გაზრდასა და, ამის შედეგად, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებას მიიჩნევს (Shahbazov, 2017). ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას ენერგორესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და

ექსპორტის (ენერგორესურსების ექსპორტი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 95%-ს შეადგენს) შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვეყნის ენერგორესურსები, მათ შორის, გაზის ინდუსტრია მთლიანად სახელმწიფოს მიერ კუთვნილი კომპანია „სოკარის“ მიერ კონტროლდება; არსებული კანონმდებლობით ენერგო სექტორის პრივატიზაცია დაუშვებელია (EBRD, 2014). გარდა ამისა, აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტში განსაკუთრებითაა ხაზგასმული აზერბაიჯანის, როგორც ენერგორესურსებით მდიდარი სახელმწიფოს როლი რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბით ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების კონტექსტში; ქვეყნის ენერგოინფრასტრუქტურაზე (მათ შორის მილსადენებზე,) განხორციელებული ნებისმიერი სახის შეტევა კი ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ განიხილება (აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2007). ეს ყველაფერი კი ხაზს უსვამს გაზის რესურსების სტრატეგიულ მნიშვნელობას სახელმწიფო დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო სფეროში აზერბაიჯანი აქტიურად თანამშრომლობს როგორც რუსეთთან, ისე ისრაელთან, აშშ-სთან, ევროკავშირთან და თურქეთთან. რამდენიმე წლის წინ თურქეთის მიერ ნახიჭევანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის გახსნის შესახებ ინფორმაციაც გავრცელდა, თუმცა, აზერბაიჯანის მთავრობის განცხადებით, ქვეყანა არასდროს არ უმასპინძლებს უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს საკუთარ ტერიტორიაზე. 2012 წელს დაიხურა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი უცხოური ბაზა - რუსეთის მიერ მართული გაბალას რადიოსალოკაციო სადგური, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან ფუნქციონირებდა. აღსანიშნავია, რომ თავად აზერბაიჯანის კონსტიტუციაც გამორიცხავს ქვეყნის ტერიტორიაზე რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის არსებობას; ამასთან, 2011 წელს ქვეყანა „მიუმხრობლობის მოძრაობის“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 120 ქვეყანას აერთიანებს) წევრიც გახდა, რაც ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაერთიანებას ეწინააღმდეგება (Kucera, 2016).

მეზობელი სომხეთისგან განსხვავებით აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური კურსი, შეიძლება ითქვას, ნაკლებად განიცდის გარე ძალების გავლენას (თუ არ ჩავთვლით ყარაბაღის საკითხს). სამხედრო ძალის მაქსიმიზაციის გარდა, აზერბაიჯანმა ასევე მოახერხა ძლიერი მეზობლის (რუსეთის) ექსპანსიონისტური პოლიტიკისგან განთავისუფლება - მიუხედავად, მოსკოვის მცდელობისა, აზერბაიჯანს საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეუცვლია და პრორუსულ რეგიონულ ინიციატივებში არ გაწევრიანებულა. უფრო მეტიც, თუ სომხეთი ნებისმიერი რუსული ინიციატივის ერთგული წევრი გახდა, 1999 წელს აზერბაიჯანმა დატოვა რუსეთის მიერ ინიცირებული „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“; 2009 წელს რუსული მხარის აქტიური მცდელობის მიუხედავად, ბაქომ აღნიშნული ორგანიზაციის წევრობაზე ისევ უარი განაცხადა; 2011 წელს აზერბაიჯანმა ასევე ხელი არ მოაწერა დსთ-ის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას (TENGRINEWS, 2011); მოგვიანებით კი, თავი აარიდა საბაჟო კავშირის შეთანხმებასაც. ევრაზიული განვითარების ბანკის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აზერბაიჯანის მოსახლეობის მხოლოდ 38% ემხრობოდა აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ვინაიდან უმრავლესობა რუსეთში მოკავშირის ნაცვლად მოწინააღმდეგეს ხედავდა (Nalbandov, 2016). სანაცვლოდ, აზერბაიჯანი ისეთი ორგანიზაციის - სუამ-ის (GUAM) წევრი გახდა, რომელიც რეგიონში რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ შეიქმნა. სუამ-ში აზერბაიჯანთან ერთად პოსტსაბჭოური საქართველო, უკრაინა და მოლდოვაც გაწევრიანდნენ. უფრო მეტიც, აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო არენაზე რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგესთან - დასავლეთთან თანამშრომლობის კუთხითაც; ამ მხრივ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის სამხედრო დახმარება კოსოვოსა და ავღანეთში განხორციელებულ ნატო-ს ოპერაციებში, ხოლო 2009 წელს აზერბაიჯანი ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ერთ-ერთი მთავარი წევრი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ნაბიჯების მიუხედავად, აზერბაიჯანს არც ევროკავშირთან და არც ნატო-სთან (ისევე, როგორც პრორუსულ ორგანიზაციებთან)

თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ინტერესი არ გამოუხატავს. მართალია, აზერბაიჯანი ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი გახდა, თუმცა, უარი თქვა აღნიშნული ინიციატივის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე - „ასოცირების ხელშეკრულებაზე“ „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA)“ შეთანხმების ჩათვლით. ასევე, მართალია, აზერბაიჯანი ნატო-ს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP)“ დაუკავშირდა, თუმცა, ქვეყნის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მეზობელი საქართველოსგან განსხვავებით, ბაქოს საბოლოო მიზანი ნატო-ში გაწევრიანება არა არის.

აზერბაიჯანის მეტ-ნაკლებად მიუმხრობელი საგარეო პოლიტიკური კურსის ანალიზისას ზოგიერთი ავტორი ხაზს უსვამს ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობას (Vera, 2012). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანიც, საქართველოც და სომხეთიც ერთი და იგივე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნაწილები არიან, ამიტომ თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს, შეუძლებელი იქნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სრულიად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსების ახსნა.

გეოგრაფიული ფაქტორის გარდა, ზოგიერთი ავტორი აზერბაიჯანის მიერ რეგიონული ალიანსებისგან დისტანცირების ფაქტს სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებით ხსნის (Aslanli, 2010). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის ფაქტორის არ არსებობის გარეშე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანი დიდი მეზობლის ლიდერობით შექმნილი ორგანიზაციების აქტიური წევრი იქნებოდა, ვინაიდან, როგორც უკვე გამოჩნდა, ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანებული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მნიშვნელოვანწილად ხდებიან რუსეთზე დამოკიდებული, პირველ რიგში, ეკონომიკური კუთხით (რაც საბოლოოდ პოლიტიკურ დამოკიდებულებას ნიშნავს). აზერბაიჯანს კი მდიდარი ენერგორესურსები (ქვეყნის ბიუჯეტის 95%) აძლევს საშუალებას განთავისუფლდეს რუსეთზე დამოკიდებულებისგან.

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა ქვეყნის მდიდარი ენერგორესურსების (მათ შორის გაზი) არსებობით შეიძლება აიხსნას. აღსანიშნავია, რომ ბაქოს ყოველთვის კარგად ესმოდა საკუთარი ენერგოპოტენციალის მნიშვნელობა დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებულ კონკურენციაში და ცდილობდა საერთაშორისო აქტორების ინტერესები საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებისთვის გამოეყენებინა. 90-იანი წლებიდან, როდესაც აზერბაიჯანის მთავრობამ შეიმუშავა ახალი ენერგეტიკული სტრატეგია, რუსეთი აქტიურად გამოხატავდა დაინტერესებას ამ ქვეყნის ენერგოსექტორით და ცდილობდა, არ დაეშვა აზერბაიჯანის ენერგოინდუსტრიაში დასავლური კომპანიების გავლენის ზრდა. რუსული სახელმწიფო ენერგო კომპანიები „გაზპრომი“ და „როსნეფტი“ დღემდე აქტიურად ინტერესდებიან აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის მზარდი რეზერვებით (მაგალითად, „როსნეფტსა“ და „სოკარს“ შორის არსებობს 2014 წლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კომპანიები საერთო ძალებით შეეცდებიან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახალი საბადოების აღმოჩენას; ხოლო „გაზპრომი“ და „სოკარი“ გაზის სფეროში თანამშრომლობენ (Menzel, 2003)). თუმცა, ბაქომ მოახერხა, რომ არა მხოლოდ რუსული, არამედ დასავლური ინვესტიციების წყალობით მოეხდინა აზერბაიჯანის უდიდესი საბადოების (მათ შორის „შაჰ-დენიზი“) განვითარება და სტრატეგიული მილსადენების („სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“, მაგალითად) მშენებლობა; აღნიშნული პროექტების განვითარებაში მთავარი როლი ბრიტანულმა BP-მ, ამერიკულმა „შევრონმა“, ნორვეგიულმა „სტატოილმა“ და სხვა დასავლურმა კომპანიებმა შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მჭიდრო თანამშრომლობისა დასავლურ კომპანიებთან, აზერბაიჯანი მაინც არ გამხდარა ევროკავშირის მიერ შემუშავებული არც ერთი ენერგეტიკული ფორმალური პლატფორმის წევრი - მეზობელი საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანი არ გაწევრიანებულა არც "ენერგეტიკულ გაერთიანებაში" (Energy Community) და არც "ენერგეტიკულ ქარტიაში" (Energy Charter).

ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის - ჰეიდარ ალიევის განცხადებით, ენერგოპროექტებს „აქვთ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა და ეს მდგომარეობს

იმაში, რომ, ჯერ ერთი, მიდის მჭიდრო ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიას, ევროპასა და დასავლეთს შორის, და მეორეც, ეს ნავთობისა და გაზის მილსადენები წარმოადგენენ უსაფრთხოების, სტაბილურობის და მშვიდობის არსებით გარანტიას“ ("ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობა", 2001) მონაწილე ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით აზერბაიჯანისთვის, რომელმაც სწორედ საკუთარი ენერგორესურსების გამოყენებით შეძლო დასავლეთის დაინტერესება და რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება.

ჰეიდარ ალიევის მსგავსად, აზერბაიჯანის ამჟამინდელი პრეზიდენტი - ილჰამ ალიევიც აღიარებს, რომ 90-იან წლებში ენერგორესურსები გახდა დასავლეთსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის საფუძველი; „საუკუნის კონტრაქტის“ (1994 წელს აზერბაიჯანსა და დასავლური კომპანიებისგან შემდგარ კონსორციუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც აქტიურად ლობირებდნენ აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების ლიდერები) გარეშე აზერბაიჯანი ვერ მოახერხებდა წარმატებულ ქვეყნად გარდაქმნას (Trend, 2019). ილჰამ ალიევი ასევე ხაზს უსვამს ევროპის გაზით მომარაგების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ისინი აზერბაიჯანისთვის არა მხოლოდ ენერგეტიკული, არამედ, ზოგადად, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინიციატივებია; სწორედ ისინი განაპირობებენ აზერბაიჯანის თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელსაც საერთაშორისო არენაზე სანდრო და საჭირო პარტნიორის იმიჯი აქვს. იგივე პოზიცია გამოხატა აზერბაიჯანის ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ელდარ მამედიაროვმაც, რომელმაც 2019 წლის ივლისშიც გაიმეორა, რომ „აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში ძალიან დიდ როლს ენერგოდიპლომატია თამაშობს; 90-იანი წლებიდან ქვეყნის დიპლომატიის მთავარი მიმართულება ენერგეტიკა იყო და დღემდე აზერბაიჯანი ამ მიმართულების ერთგულია“ (Moscow-Baku, 2019).

მიმდინარე და დაგეგმილი საერთაშორისო ენერგოპროექტების განვითარებას არა მხოლოდ აზერბაიჯანისთვის, არამედ დასავლეთისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აშშ-ის ხელშეწყობით შემუშავებული ევროკავშირის „სამხრეთის

გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში (აზერბაიჯანის ენერგო პოტენციალი კი ამ ინიციატივაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს) უნდა მოხდეს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ევროპის ქვეყნების განთავისუფლება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისაგან, მით უფრო, რომ ევროკავშირში გაზზე მოთხოვნა და, შესაბამისად, იმპორტი უფრო და უფრო იზრდება. „შაჰ დენიზის“ მეორე ფაზის ათვისების შემდეგ, იგეგმება 10 მლრდ. კუბ. მ. აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირება ევროპის მიმართულებით; ამ მიზნით ამჟამად ხორციელდება „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის“ გამტარუნარიანობის გაზრდისა და საქართველოს ტერიტორიაზე ორი სტაციონარული წნევის გამზრდელი კომპრესორის მშენებლობის სამუშაოები. ევროპის „შაჰ-დენიზის“ გაზით მომარაგება შეამცირებს რუსეთის გავლენას ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე; მით უფრო, რომ მოსკოვი, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთარ რესურსებს ხშირად პოლიტიკურ იარაღად იყენებს (მაგალითად, 2006 და 2009 წწ. რუსეთ-უკრაინის გაზის საკითხების ირგვლივ არსებულ დაპირისპირებას თითქმის შეეწირა ევროპის ენერგო მომარაგება). ამის მაგალითი იყო ის ფაქტიც, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთ დღიან ომში საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი“ რუსული სახმედრო ავიაციის სამიზნეს წარმოადგენდა. ამდენად, რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისგან განთავისუფლება დასავლეთისთვის პოლიტიკურ განთავისუფლებას უდრის.

დასავლეთის დაინტერესება აზერბაიჯანის მდიდარი ენერგო პოტენციალით განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ ხშირად ევროკავშირიცა და აშშ-ც აზერბაიჯანში არსებულ მძიმე დემოკრატიულ ვითარებაზე თვალს ხუჭავენ მაშინ, როცა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ამ კუთხით არაერთხელ გამხდარან დასავლეთის მწვავე კრიტიკის საგანი. სწორედ ამ დაინტერესების და საკუთარი ენერგეტიკული და, ამდენად, პოლიტიკური მნიშვნელობის (როგორც დასავლეთისთვის, ისე რუსეთისთვის) გაცნობიერების შედეგად, ბაქოს პოლიტიკა შედარებით მოქნილია, ვიდრე მისი მეზობელი სომხეთისა ან/და საქართველოსი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში აზერბაიჯანს შედარებით მეტი ლავირების საშუალება აქვს; მას შეუძლია აწარმოოს მიუმხრობელი და მოქნილი საგარეო პოლიტიკა, ანუ არ გაწევრიანდეს მეზობელი დიდი ძალის მიერ შექმნილ სამხედრო, პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში. აზერბაიჯანს მდიდარი ენერგორესურსების წყალობით რუსეთის ენერგო „მფარველობა“ არ სჭირდება, ამდენად, არ არსებობს ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტი, რასაც მოსკოვი წარმატებით იყენებს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში.

6 ცენტრალური აზიის რეგიონი

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების მსგავსად, ცენტრალური აზიის ქვეყნებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოებია. ამიტომ, აღნიშნულ ქვეყნებს ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სხვა რეგიონის წარმომადგენლებს, არაერთი საერთო მახასიათებელი აქვთ. თუმცა, მათ შორისაც აღინიშნება განმასხვავებელი ფაქტორი - მდიდარი გაზის რესურსები, რომელიც ცენტრალური აზიის რეგიონში თურქმენეთს, ყაზახეთსა და უზბეკეთს (მათ შედარებით ნაკლები რაოდენობით, ვიდრე თურქმენეთს) გააჩნია.

სამხრეთ კავკასიის მსგავსად, ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოების საერთო მახასიათებლებიც შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრება: პატარა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი (მოსახლეობა, ფართობი, სამხედრო ძალა, მთლიანი შიდა პროდუქტი) და თვისებრივი (დამოუკიდებლად საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის უუნარობა) მაჩვენებლები;

1. საერთო გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა (მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა).

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები განსხვავდებიან გაზის ფაქტორის მიხედვით, რომელშიც იგულისხმება ქვემოთმოცემული ფაქტორებიდან ერთ-ერთი, ან რამდენიმე მათგანი:

1. გაზის მდიდარი რეზერვები (რაოდენობა);
2. ჭარბი გაზის ექსპორტი საზღვარგარეთ;
3. გაზის ტრანზიტის შესაძლებლობები.

ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზი შემდეგი კრიტერიუმით ხორციელდება: რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება და, შესაბამისად, მოსკოვის მიერ შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და პოლიტიკური/ეკონომიკური რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დისტანცირება (Garakanidze, 2019⁶).

6.1 საერთო მახასიათებლები

6.1.1 ცენტრალური აზიის რეგიონის პატარა სახელმწიფოები: რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები

ცენტრალური აზიის რეგიონის ყველა ქვეყანა ნაშრომში განიხილება როგორც პატარა სახელმწიფო, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზეა პატარა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები.

გარკვეული რაოდენობრივი მახასიათებლების, კერძოდ, ტერიტორიის და მოსახლეობის შემთხვევაში უნდა აღნიშნოს, რომ ცენტრალური აზიის რეგიონის ყველა სახელმწიფოს ფართობი და მოსახლეობა ისეთი მცირე არ არის, როგორც სხვა პატარა ქვეყნებისა. კერძოდ, თუ თურქმენეთის (5 მილიონი ადამიანი), ყირგიზეთისა (5 მილიონი ადამიანი) და ტაჯიკეთის (8 მილიონი ადამიანი) მოსახლეობა მცირეა, უზბეკეთსა (29 მილიონი ადამიანი) და ყაზახეთში (18 მილიონი) შედარებით მეტი ადამიანი ცხოვრობს; ასევე განსხვავდება ამ ქვეყნების ფართობებიც: თურქმენეთი - 488,100 კვ.კმ, ყირგიზეთი - 199,951 კვ.კმ, ტაჯიკეთი - 144,100 კვ.მ, უზბეკეთი- 447,400, ხოლო ყაზახეთი - 2,724,900 კვ.კმ. (CIA, The World Factbook, 2017).

ცენტრალური აზიის ხუთივე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მახასიათებელი - სამხედრო ძალა (სამხედრო ინფრასტრუქტურა,

⁶ ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკისა და გაზის ფაქტორის კავშირი განხილულია ნაშრომის ავტორის მიერ 2019 წლის დეკემბერში CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში. სადოქტორო ნაშრომი მოიცავს ამ სტატიას.

სამხედრო პერსონალი, სამხედრო ბიუჯეტი, იარაღი და ა.შ.) დიდ სახელმწიფოებთან შედარებით უმნიშვნელოა. უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთსა (2.4 მილიარდი დოლარი) და უზბეკეთს (2 მილიარდი დოლარი) ცენტრალურ აზიაში ყველაზე დიდი მოცულობის სამხედრო ბიუჯეტი აქვთ, მაშინ, როდესაც თურქმენეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის სამხედრო ბიუჯეტი მილიარდ დოლარსაც ვერ აღწევს; უზბეკეთი და ყაზახეთი (106 ათასი ჯარისკაცი ყაზახეთში; 76 ათასი - უზბეკეთში; ტაჯიკეთი - 14 ათასი; ყირგიზეთი - 23 ათასი; თურქმენეთი - 30 ათასი) ლიდერობენ სამხედრო პერსონალის რაოდენობის მხრივაც (ValdaiClub, 2018).

მცირეა ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტიც: 2017 წლის მონაცემებით, თურქმენეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 7,355.8 დოლარს, ყაზახეთისა - 8,837.5, ყირგიზეთის - 1,219.8, უზბეკეთის - 1,504.2, ხოლო ტაჯიკეთის - 801.0 (World Bank, 2017).

მართალია, ცენტრალური აზიის ქვეყნების ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ემთხვევა პატარა ქვეყნებისთვის დამახასიათებელ მაჩვენებელს, თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ „პატარა სახელმწიფოებზე“ მსჯელობისას უმთავრესი მნიშვნელობა არა რაოდენობრივ (ფართობი, მოსახლეობა, სამხედრო ძალა, მთლიანი შიდა პროდუქტი) მაჩვენებლებს, არამედ თვისებრივ მახასიათებლებს ეთმობა (Baker 1959; Rothstein 1968). ცენტრალური აზიის რეგიონის შემთხვევაში თვისებრივი მაჩვენებლებიდან უმთავრესია აღნიშნული ხუთი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლად საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენისა და სტატუს-კვოს შეცვლის უუნარობა-სისუსტე. უფრო მეტიც, ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე არსებული სტატუს-კვო და მასთან დაკავშირებული კონფლიქტებიც გარე ძალის ჩარევის შედეგია და მის გარეშე ვერ გვარდება (Sari, 2013).

6.1.2 გეოგრაფია, ისტორია, პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა

ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ურთიერთშედარებისას საერთო მახასიათებლებად მოიაზრება ასევე ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა,

ისტორიული წარსული და ამჟამინდელი მძიმე პოლიტიკური, თუ ეკონომიკური მდგომარეობა, რაც პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობად შეიძლება ჩაითვალოს.

ცენტრალური აზიის რეგიონში იგულისხმება ტერიტორია კასპიის ზღვიდან ჩინეთის დასავლეთ საზღვრამდე და რუსეთის სამხრეთი საზღვრიდან ავღანეთამდე. აღნიშნული ტერიტორია ხუთ სახელმწიფოს მოიცავს: ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს და უზბეკეთს. საბჭოთა პერიოდში ამ ქვეყნებს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ისინი ევრაზიის კონტინენტის შუაში მდებარეობენ) შუა აზიას უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ დღემდე კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ცენტრალური აზიის რეგიონის ზუსტი საზღვრები და დასახელება, თუმცა, ხუთივე სახელმწიფოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას არაერთი ავტორი უსვამს ხაზს (კუბლაშვილი, 2013; Lakatos, 2014; Masoud, 2014).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს პრობლემები შეექმნათ პოლიტიკური განვითარების კუთხით. დემოკრატიის განმტკიცების ნაცვლად (რასაც ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერები ფორმალურად მიელტვოდნენ), წლების მანძილზე აღნიშნული რეგიონის ხუთივე ქვეყანა უფრო და უფრო ავტორიტარული ხდებოდა. ცენტრალური აზიის ქვეყნების დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები „თავისუფლების სახლის“ ყოველწლიურ ანგარიშებშიც ჩანს. მაგალითად, 2019 წლის ანგარიშში (“Freedom in the World 2019”) მხოლოდ ყირგიზეთი აღმოჩნდა „ნახევრად თავისუფალი“ (100-დან 38 ქულა), დანარჩენი ოთხი ქვეყანა კი- „არათავისუფალი“ (თურქმენეთი - 2 ქულა, უზბეკეთი - 9, ტაჯიკეთი - 9, ყაზახეთი - 22) (Freedom House, 2019).

ცენტრალური აზიის ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის მოუძაადებლობა აისახა როგორც ამ ქვეყნების პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შედეგად, ცენტრალური აზიის ხუთი სახელმწიფო 90-იან წლებში მუდმივად ხვდებოდა მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების ჩამონათვალში (Kashanov and Hussaimov, 2001).

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2018 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, თურქმენეთს მხოლოდ 19 ქულა აქვს და 165-ე ადგილზეა, ყაზახეთს - 34 ქულა აქვს და 113-ე ადგილზეა, ყირგიზეთს 30 ქულა აქვს და 126-ე ადგილი უკავია, ტაჯიკეთს და უზბეკეთს 25 ქულა აქვთ (თითოეულს) და 153-ე ადგილი უკავიათ (Transparency International, CPI 2019).

6.2 განმასხვავებელი გაზის ფაქტორი

როგორც უკვე აღინიშნა, ცენტრალური აზიის ხუთივე სახელმწიფო ერთი რეგიონის ნაწილია და მათი გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება მსგავსია, თუმცა, განსხვავდება მათი მდგომარეობა ბუნებრივი რესურსების კუთხით. ეს განსხვავება ყველაზე უკეთ გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) მიხედვით გამოიხატება. ნაშრომი სწორედ გაზის ფაქტორს გულისხმობს იმ მნიშვნელოვან გარემოებად, რაც ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის განსხვავებულობას (კერძოდ, გაზით მდიდარი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის მოქნილობას) მნიშვნელოვანწილად განაპირობებს.

6.2.1 რეზერვები

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ენერგორესურსების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის, პრობლემა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წარმოიქმნა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ხუთივე სახელმწიფო ძირითადად რუსეთზე იყო დამოკიდებული და არ სჭირდებოდათ საკუთარი ენერგოსაფრთხოების თავად უზრუნველყოფა. იაფი გაზი რუსეთის მიერ კუთვნილი მილსადენებით თავისუფლად მიეწოდებოდა ცენტრალურ აზიის ქვეყნებს და ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკების მამოძრავებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. თუმცა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც საკუთარი გაზის პოტენციალი არ გააჩნდათ, მომარაგების მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ხოლო მათ, ვისაც საკუთარი რესურსები ჰქონდათ, დაიწყეს გაზის მოპოვების, წარმოების და ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

6.2.1.1 ყირგიზეთი

გაზომარაგების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ყირგიზეთისთვის. დღეისათვის ქვეყანა დაახლოებით 1.9 მილიარდ კუბ. მ. ბუნებრივ აირს მოიხმარს. აქედან მხოლოდ 3%-ის (დაახლოებით 30 მილიონი კუბ. მ.) მოპოვება ხდება ქვეყნის ტერიტორიაზე, დანარჩენი კი იმპორტირებულია (Banks, 1993). წარსულში ყირგიზეთი გაზს თურქმენეთიდან უზბეკეთის გავლით იღებდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშხაბადმა საკუთარი გაზის ფასი ჯერ საგრძნობლად გაუძვირა მეზობელს, საბოლოოდ კი გაზის იმპორტი თურქმენეთიდან საერთოდ შეწყდა, ვინაიდან ღარიბი ყირგიზეთის ნაცვლად, თურქმენეთი საკუთარი გაზის მიყიდვას მდიდარი და დიდი ქვეყნებისთვის ამჯობინებს.

ყირგიზეთში იმპორტირებული გაზის მნიშვნელოვანი ნაწილი უზბეკეთიდან შედის დაახლოებით 684 კმ. სიგრძისა და 22 მლრდ. კუბ. მ. გამტარუნარიანობის მქონე „ბუხარა-ტაშკენტი-ბიშკეკი-ალმაატის“ მილსადენის მეშვეობით, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. 2000-2013 წლებში უზბეკეთმა პოლიტიკური მიზეზების და საფასურის გადაუხდელობის გამო გაზის მიწოდება არაერთხელ შეუწყვიტა მეზობელს (Aminjonov, 2016). მაგალითად, 2005 წელს ყირგიზეთი გაზის გარეშე დარჩა იმიტომ, რომ მთავრობამ ანდიჯანის მეამბოხეების ყირგიზეთიდან დეპორტაცია არ მოახდინა და გაეროს დაეხმარა მათ ევაკუაციაში (Saidzimova, 2005). გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრობლემატური რჩება უზბეკეთ-ყირგიზეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რაც არაერთხელ გამხდარა ორ მეზობელ ქვეყანას შორის დაპირისპირების მიზეზი; უზბეკეთი კი ხშირად თავის უკმაყოფილებას ყირგიზეთის სამხრეთ რეგიონებისთვის გაზის შეწყვეტით გამოხატავს.

უზბეკეთის მსგავსად, პრობლემები შეიქმნა მეორე მიმწოდებელ მეზობელთან-ყაზახეთთანაც, რომელიც ყირგიზეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებს ამარაგებს გაზით; ყირგიზეთი მხარე ვერ ახერხებდა ყაზახური გაზის საფასურის გადახდას, რამაც მიწოდებასთან დაკავშირებული შეფერხებები გამოიწვია (TENGRINEWS, 2012).

უზბეკეთთან და ყაზახეთთან არსებული პრობლემები წლების მანძილზე ყირგიზეთში მძიმე ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზები იყო, ვიდრე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გარანტორი „გაზპრომი“ გახდებოდა. 2014 წლიდან კი ყირგიზეთის მთავარი პარტნიორი გაზის სფეროში რუსული „გაზპრომია“, რომელიც ყირგიზეთის გაზგამანაწილებელი სისტემის ერთპიროვნული მფლობელია (კომპანია „გაზპრომ ყირგიზეთის“ მეშვეობით, რომლის 100%-იანი მეპატრონეც რუსული კომპანიაა). აღსანიშნავია, რომ მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლების უუნარობისა და გაზის მიწოდებლებთან დაგროვილი ვალების გამო ყირგიზეთის მთავრობამ რუსულ კომპანიას გაზის მთლიანი ინფრასტრუქტურა სიმბოლურ ფასად, 1 დოლარად მიჰყიდა (Peyrouse, 2015). გარდა ამისა, ჯერ კიდევ 2007 წლის შეთანხმებით, რუსულმა კომპანიამ მიიღო ლიცენზიები ყირგიზეთის სამხრეთით მდებარე კუგარტისა (ცნობილია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით 17.3 მილიარდი კუბ.მ. გაზის მოცულობის საბადო არსებობს) და მაილუ-სუუს რაიონებში გაზის გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების წარმოების შესახებ (Jafarova, 2013).

6.2.1.2 ტაჯიკეთი

ენერგოუსაფრთხოების პრობლემა აქტუალურია ტაჯიკეთისთვისაც. საკუთარი გაზის რეზერვების არ არსებობის გამო, ისტორიულად, ტაჯიკეთის ერთადერთ და მთავარ მიწოდებელ ქვეყანად უზბეკეთი იქცა, თუმცა, ტაშკენტმა გადაუხდელობის მიზეზით (ტაჯიკური მხარის აზრით კი, ძირითადად, პოლიტიკური მიზეზებით) გაზის მიწოდება არაერთხელ შეუწყვიტა მეზობელს. ბოლო ასეთი ინციდენტის დროს, 2012 წელს მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობები იმდენად დაიძაბა, რომ პრეზიდენტი ისლამ კარიმოვის თქმით, შექმნილი სიტუაცია „არა მხოლოდ დამაბულობის, არამედ საომარი მოქმედებების მიზეზიც“ შეიძლება გამხდარიყო (Ashurov, 2014). ამის შემდეგ ტაჯიკეთი ექვსი წლის მანძილზე უზბეკური გაზის გარეშე დარჩა. მიწოდების აღდგენა მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგად, მხოლოდ 2018 წლის აპრილიდან მოხერხდა (The Tashkent Times, 2018).

დღეისათვის უზბეკური გაზი ტაჯიკეთს ისევ „მუზრაბად-დუმანბეს მილსადენით“ მიეწოდება, რომლის გამტარუნარიანობაც საათში 125,000 კუბ. მეტრს უდრის. ახალი შეთანხმების მიხედვით, 2018 წელს ტაჯიკეთისთვის მიწოდებული გაზის რაოდენობა 126 მილიონი კუბ. მეტრი უნდა ყოფილიყო. თუმცა, რეალურად 2018 წელს ტაჯიკეთმა დაახლოებით 54 მილიონი კუბ. მეტრი უზბეკური გაზი შეიძინა. მომავალში ტაჯიკური მხარე ყოველწლიურად 200 მილიონ კუბ. მ.-ზე მეტი გაზის იმპორტს გეგმავს. ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ახალი შეთანხმებით, გაზის ფასი 1000 კუბ. მეტრზე 120 დოლარს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული საფასური გაცილებით დაბალია, ვიდრე გასულ წლებში ტაჯიკეთის მიერ უზბეკეთისთვის გადახდილი თანხები (მაგ., 2010 წლის ბოლოს ტაჯიკეთი 1000 კუბ. მ. უზბეკურ გაზში 254 დოლარს იხდიდა; 2012 წელს კი გაზის საფასური 300 დოლარამდეც გაიზარდა, რამაც ტაჯიკეთის მიერ იმპორტირებული უზბეკური გაზის რაოდენობის მკვეთრად შემცირება გამოიწვია) (Caravanserai, 2019).

უზბეკეთის არასტაბილური მომარაგების გამო, ტაჯიკეთმა გასულ წლებში დაიწყო ალტერნატიული მიმწოდებლების ძებნა. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობად განიხილებოდა ავღანეთი. 2000-იანი წლებიდან დაიწყო საუბარი ავღანეთი-ტაჯიკეთის მილსადენის აშენებაზე, რომელსაც შეეძლო წელიწადში დაახლოებით 1.2 მილიარდი კუბ. მ. გაზის ტრანსპორტირება ავღანეთის კუთვნილ ამუდარიას რეგიონის ნაწილიდან ტაჯიკეთის ტერიტორიაზე, თუმცა, აღნიშნული პროექტი მხოლოდ მოლაპარაკებების დონეზე დარჩა უმეტესად ფინანსების არ არსებობის გამო; წინასწარი შეფასებით, ორი ქვეყნის დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობის პროექტის განხორციელებას (ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის გარეშე) დაახლოებით 110 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციები დასჭირდებოდა (Wardak, 2017).

უშედეგო აღმოჩნდა კანადური „ტეტის პეტროლიუმის“, ფრანგული „ტოტალისა“ და ჩინური CNPC-ის მიერ „ბოხტარის“ დეპოზიტის (მდებარეობს ტაჯიკეთის სამხრეთ-დასავლეთით ავღანეთის საზღვართან) განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაოებიც მიუხედავად იმისა, რომ „ტეტის პეტროლიუმის“ პირველადი ცნობებით,

აღნიშნული 35 ათასი კვ.კმ.-იანი დეპოზიტი მნიშვნელოვან გაზის რეზერვებს შეიცავდა და მას ტაჯიკეთის, როგორც გაზის მწარმოებლის, მნიშვნელობის გაზრდა შეეძლო.

ყირგიზეთის მსგავსად, ტაჯიკეთიც აქტიურად თანამშრომლობს რუსულ „გაზპრომთან“. რუსულ კომპანიასთან თანამშრომლობა 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც ტაჯიკეთის მთავრობამ „გაზპრომთან“ 25 წლიანი თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსულ კომპანიას ეკისრება ტაჯიკეთის მთელ ტერიტორიაზე სამძებრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და გაზის ინფრასტრუქტურის აღდგენა/გაუმჯობესება. შედეგად, 2008 წლიდან რუსულმა კომპანიამ მოიპოვა ლიცენზიები რენგანის (ქ. დუშანბედან 20 კმ.), სარგაზონის (ქ. დუშანბედან 70 კმ.) და სხვა ტაჯიკური დეპოზიტების გეოლოგიური გამოკვლევებისთვის. აღნიშნულ პროექტებში რუსული ინვესტიციების რაოდენობამ 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა. თუმცა, „გაზპრომის“ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს მნიშვნელოვანი შედეგები ჯერ-ჯერობით არ მოჰყოლია (Asia-Plus, 2018).

6.2.1.3 თურქმენეთი

ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან გაზის ყველაზე მდიდარი რესურსით თურქმენეთი გამოირჩევა. არსებული მონაცემებით, თურქმენეთში დაახლოებით 61.5 მლრდ. კუბ. მეტრი გაზის წარმოება ხდება ყოველწლიურად, თუმცა, რეზერვები 19.5 ტრილიონი კუბ. მეტრს უტოლდება (BP Statistical Review of World Energy, 2019). უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გაზის პოტენციალი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგიონული მასშტაბით, არამედ მსოფლიო დონეზე: ბოლოს წლების სტატისტიკის მიხედვით, თურქმენეთი გაზის რეზერვების მხრივ მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში (მსოფლიო გაზის რეზერვის 9.4%) რუსეთის (39 ტრილიონი კუბ. მეტრი), ირანის (32 ტრილიონი კუბ. მეტრი) და ყატარის (25 ტრილიონი კუბ.მეტრი) შემდეგ (BP Statistical Review of World Energy, 2019).

თურქმენეთში გაზის წარმოება გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. თუმცა, 90-იან წლებში აღნიშნულ ქვეყანაში წარმოებული გაზის რაოდენობა მინიმუმამდე (მაგ., 13 მილიარდი კუბ. მეტრი 1998 წელს) დაეცა, ვინაიდან აღარ არსებობდა მოთხოვნა

პოსტსაბჭოთა რეგიონის ქვეყნებში გაზის ექსპორტზე. დღეისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეში თურქმენეთი წარმოების მხრივ მეორე ადგილზეა რუსეთის შემდეგ, თუმცა, განსხვავება ორი ქვეყნის მაჩვენებლებს შორის დიდია (რუსეთი-669 მილიარდი კუბ. მეტრი) (BP Statistical Review of World Energy, 2019).

თურქმენეთის ტერიტორიაზე ორასამდე მოქმედი გაზისა და ნავთობის საბადოა. ქვეყნის მდიდარი გაზის რეზერვების ერთ-ერთი მთავარი წყარო კი „გალკინიშის“ (იგივე „სამხრეთ იოლოტანი-ოსმანი“) საბადოა, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს (აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს ასევე „მინარასა“ და „იაშლარის“ გაზის საბადოებიც). იგი 2006 წელს აღმოაჩინეს. არსებული ცნობებით, „გალკინიშის“ საბადოზე დაახლოებით 4-14 ტრილიონ კუბ. მეტრი გაზის მოპოვებაა შესაძლებელი. ეს მონაცემები აღნიშნულ საბადოს მსოფლიოში 10 უდიდეს საბადოებს შორის აქცევს (მსოფლიო რეიტინგში ყველაზე დიდი გაზის საბადოა ირანისა და ყატარის საზღვარზე მდებარე „სამხრეთ პარსი“; მას რუსეთის ტერიტორიაზე არსებული გაზის საბადოები მოსდევს) (Aliyeva, 2018). თურქმენეთის მთავრობამ „გალკინიშის“ განვითარების შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა საერთაშორისო კომპანიებთან. აღნიშნული კონტრაქტების ღირებულება ჯამში 10 მილიარდ აშშ. დოლარს აღწევს (RFE/RL, 2009).

„გალკინიშის“ საბადოს აღმოჩენამდე თურქმენეთის ყველაზე დიდ საბადოდ „დაულეტაბადი“ ითვლებოდა, რომელიც თურქმენეთი-ირანის საზღვრის მახლობლად აჰალის პროვინციაში მდებარეობს. იგი საბჭოთა პერიოდიდან ფუნქციონირებს; აღნიშნული საბადოდან მიღებული გაზის წარმოება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. არსებული ცნობებით, „დაულეტაბადის“ რეზერვები 1.4 ტრილიონ კუბ. მეტრს უტოლდება (Pannier, 2008).

თურქმენეთის გაზის რეზერვების წყაროს მიეკუთვნებიან ასევე ბაგთიარლიკის (ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე მდინარე ამუ-დარიას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია) არეალში განთავსებული საბადოები. აღნიშნული ტერიტორიის დამუშავება თურქმენეთის მთავრობისა და ჩინური CNPC-ის მეშვეობით მოხდა,

რომლებმაც დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ. დოლარის ინვესტიცია განახორციელეს ბაგთიარლიკის პროექტში. არსებული მონაცემებით, ბაგთიარლიკის ტერიტორიაზე ყოველწლიურად დაახლოებით 25-30 მილიარდი კუბ.მეტრი გაზის მოპოვება ხდება (ძირითადად „სამან-დეპეს საბადოს“ წყალობით, რომელიც უდიდესია ბაგთიარლიკის ტერიტორიაზე მოქმედი 17 საბადოთაგან; მისი რეზერვები დაახლოებით 80 მილიარდ კუბ. მეტრს უტოლდება) (Turkmeninform, 2009).

6.2.1.4 უზბეკეთი

ცენტრალური აზიის ენერგორესურსებით მდიდარ ერთ-ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს უზბეკეთი. ქვეყანაში გაზის რესურსებით მდიდარი ხუთი რეგიონია - ბუხარა, უსტურტი, ჰისარი, ფერგანა და სურხანდარია (Aliyeva, 2018b). არსებული ცნობებით, უზბეკეთის გაზის რეზერვები 1.2 ტრილიონ კუბ. მეტრს შეადგენს; ყოველწლიური წარმოება კი 56.6 მლრდ. კუბ. მეტრია (BP Statistical Review of World Energy, 2019). მართალია, აღნიშნული მაჩვენებლებით უზბეკეთი ჩამორჩება მეზობელ თურქმენეთს, თუმცა, ქვეყანას აქვს საკმარისი რესურსი, უზრუნველყოს საკუთარი მოხმარება და განახორციელოს ჭარბი გაზის ექსპორტი საზღვარგარეთ.

დღეისათვის უზბეკეთის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ნავთობისა და გაზის საბადო ფუნქციონირებს. გაზის რესურსების ერთ-ერთი წყაროა საბადო „გაზლი“, რომელიც მდებარეობს ქვეყნის სამხრეთით ბუხარას რეგიონში. იგი 1961 წლიდან ამუშავდა. თავდაპირველად „გაზლის“ რეზერვები 0.5 ტრილიონ კუბ. მეტრ გაზად შეფასდა, თუმცა, წარმოებასთან ერთად აღნიშნული მაჩვენებელი თანდათან შემცირდა. 2013 წელს უზბეკეთის მთავრობამ დაახლოებით 30 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო სახელმწიფო კომპანია „უზბეკნეფტგაზს“ „გაზლის“ საბადოს ინფრასტრუქტურის განახლებისათვის. აღნიშნული პროექტის მიზანია „გაზლის“ საბადოდან წელიწადში 5 მილიარდ კუბ. მეტრამდე გაზის მოპოვება (Aliyeva, 2018b).

უზბეკეთის მთავრობამ 2004 წლიდან რამდენიმე ხელშეკრულება გააფორმა რუსულ „ლუკოილთან“ „კანდიმის“ ჯგუფის დეპოზიტების (6 საბადო ბუხარას რეგიონში) განვითარებისთვის. აღნიშნულ ტერიტორიაზე (431 კვ. კმ. ფართობზე)

მომავალში უნდა მოხდეს დაახლოებით 8 მილიარდი კუბ. მეტრის წარმოება (Brelsford, 2018). 2008 წლიდან „ლუკოილი“ ჩართულია ასევე დასავლეთ „გისარის“ საბადოს დამუშავების პროექტში, რის შედეგადაც აღნიშნული დეპოზიტიდან წელიწადში დაახლოებით 5 მილიარდი კუბ. მეტრი გაზის მოპოვებაა შესაძლებელი (The Tashkent Times, 2017).

გაზის სექტორში უზბეკეთი რუსული კომპანიების გარდა დასავლეთთანაც თანამშრომლობს. მაგალითად, „უზბეკნეფტგაზმა“ ამერიკულ „ჯენერალ ელექტრიქთან“ ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, ორი კომპანია ერთობლივი ძალისხმევით მოახდენს უზბეკეთის გაზის სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციას, ხოლო ამერიკული „ექსონ მობაილი“ ფერგანას ხეობაში არსებული გაზისა და ნავთობის საბადოების დამუშავებაში მიიღებს მონაწილეობას (Murphy, 2018). გარდა ამისა, 2017 წელს „უზბეკნეფტგაზმა“ აზერბაიჯანულ „სოკართან“ და ბრიტანულ BP-სთან მემორანდუმები გააფორმა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული კომპანიები უზბეკეთის ტერიტორიაზე გაზისა და ნავთობის საბადოების ძებნა-დამუშავებაში მიიღებენ მონაწილეობას. 2019 წელს უზბეკეთის მთავრობამ აზერბაიჯანულ და ბრიტანულ ინვესტორებს უსტიურტის რეგიონში მდებარე სამი დეპოზიტის (არალომორსკი, სამსკოკოსბულაკი და ბაიტერეკი) დამუშავება შესთავაზა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2018 წლის ოქტომბერში უზბეკეთის პრეზიდენტის პარიზში ვიზიტის ფარგლებში განიხილებოდა ფრნაგული კომპანია „ტოტალის“ შესაძლო ინვესტიციები უზბეკეთის გაზის სექტორში (Newsbase, Energo 2018).

6.2.1.5 ყაზახეთი

ცენტრალურ აზიაში ენერგორესურსებით მდიდარი კიდევ ერთი ქვეყანაა ყაზახეთი. წლების მანძილზე აღნიშნული სახელმწიფო ძირითადად ნავთობის მდიდარი რესურსების კონტექსტში განიხილებოდა, თუმცა, ბოლო პერიოდში ყაზახეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზის წარმოებაც: ყოველწლიურად დაახლოებით 27 მლრდ. კუბ. მეტრამდე (BP Statistical Review of World Energy, 2019).

არსებული ცნობებით, ყაზახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 1 ტრილიონი კუბ. მეტრი გაზის რეზერვებია (BP Statistical Review of World Energy, 2019). ბუნებრივი აირის რესურსი ძირითადად ქვეყნის დასავლეთით, კასპიის ზღვის რეგიონშია კონცენტრირებული. ერთ-ერთი უდიდესი ოფშორული საბადო, საიდანაც გაზის (ნავთობთან ერთად) მოპოვება ხდება, არის 2000 წელს აღმოჩენილი „კაშაგანი“, რომელიც კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი რეზერვები დაახლოებით 1 ტრილიონ გაზს მოიცავს. თუმცა, აღნიშნული საბადოდან მოპოვებული ბუნებრივი აირი შეიცავს დიდი რაოდენობით წყალბადის სულფიდსა და ნახშირორჟანგს. ამიტომ რეალიზაციამდე ხდება მოპოვებული გაზის გაწმენდა, რაც დამატებით ძალისხმევასა და ხარჯებთანაა დაკავშირებული. დამატებით ხარჯებთან ასოცირდება ის ფაქტიც, რომ „კაშაგანის“ რესურსები რთული მოსაპოვებელია, ვინაიდან ისინი წყლის ზედაპირიდან დაახლოებით საკმაოდ ღრმად (4 კმ.) მდებარეობენ. ყველა ამ ხარჯს „კაშაგანის“ ოპერატორი კომპანიები ბოლომდე ვერ ფარავენ. აღსანიშნავია, რომ გაზის გაწმენდის გარდა, „კაშაგანს“ უფრო სერიოზული პრობლემებიც უკავშირდება: საბადოს ამოქმედებიდან ცოტა ხნის შემდეგ მოხდა წარმოების მთლიანად შეჩერება მილებიდან „ბინძური გაზის“ (წყალბადის სულფიდი და ნახშირორჟანგი) გაჟონვის შედეგად. ამ და სხვა ტექნიკური მიზეზების გამო „კაშაგანის“ საბადოდან ენერგორესურსების მოპოვება წლების მანძილზე შეწყვეტილი იყო, ხოლო ოპერატორ კომპანიებს ყაზახეთის გარემოს დაცვის სამინისტრომ 700 მილიონ დოლარზე მეტი ჯარიმის გადახდა დააკისრა მიყენებული ეკოლოგიური ზარალის სანაცვლოდ (Farchy, 2014).

ყაზახეთის ტერიტორიაზე ასევე 1979 წელს აღმოჩენილი ერთ-ერთი უდიდესი ნავთობისა და გაზის საბადო „ყარაჩაგანაკი“, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. არსებული მონაცემებით, აღნიშნული საბადოს რეზერვები შეიძლება 1 ტრილიონამდე კუბ. მეტრ გაზს უტოლდებოდეს (Uatkhanov, 2018).

ყაზახეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს კიდევ ერთი დიდი საბადო „თენგიზი“, რომელიც 1979 წელს აღმოაჩინეს. არსებული მონაცემებით, მისი რეზერვები 1 ტრილიონ კუბ. მეტრ გაზს აჭარბებს. ენერგორესურსებით მდიდარ დიდ საბადოებს

მიეკუთვნებიან ასევე „იმაშევსკოე“ (მდებარეობს ყაზახეთი-რუსეთის საზღვარზე; მისი რეზერვები დაახლოებით 128 მილიარდი კუბ. მეტრი გაზს მოიცავს; ოპერატორები არიან ყაზახური „კაზმუნაიგაზი“ და რუსული „გაზპრომი“) და „ხვალინსკოე“ (მდებარეობს კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში; მისი რეზერვები დაახლოებით 127 მილიარდი კუბ. მეტრი გაზია; ოპერატორები: ყაზახური „კაზმუნაიგაზი“ და რუსული „ლუკოილი“) (Nurshayeva, 2016).

6.2.2 ექსპორტი

ცენტრალური აზიის გაზის რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, არა მხოლოდ უზრუნველყონ საკუთარი შიდა მოხმარება, არამედ მოახდინონ რესურსების ექსპორტი საზღვარგარეთ, რაც, თავის მხრივ, ამ ქვეყნების შემოსავლის ზრდის წყაროცაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქმენეთი, რომელიც, მეზობლებთან შედარებით, ყველაზე დიდი რაოდენობის გაზს ჰყიდის საზღვარგარეთ. ექსპორტიორები არიან ასევე უზბეკეთიცა და ყაზახეთიც, თუმცა, თურქმენეთთან შედარებით მათ მიერ ექსპორტირებული გაზის რაოდენობა შედარებით ნაკლებია.

6.2.2.1 თურქმენეთი

ოფიციალური ცნობებით, გაზის ექსპორტი თურქმენეთის მთლიანი ექსპორტის თითქმის 90%-ს შეადგენს (OECD, 2019). საერთაშორისო მასშტაბით წლების მანძილზე თურქმენული გაზის მომხმარებელი სამი სახელმწიფო იყო: ირანი, რუსეთი და ჩინეთი. ამჟამად კი თურქმენული გაზის ძირითადი მომხმარებელი ჩინეთია. თურქმენული გაზის ექსპორტის დაახლოებით 83% სწორედ ჩინეთში ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირია (OECD, 2019). ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია „ცენტრალური აზია-ჩინეთის მილსადენი“ (იხ. დანართი N4), რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს თურქმენული გაზის 7000 კმ.-ზე მეტ მანძილზე ტრანსპორტირება ჩინეთის მიმართულებით (Chen and Fazilov, 2018). 2012 წლის „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტზე პეკინში მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2020 წლისათვის თურქმენეთიდან ჩინეთში

იმპორტირებული გაზის რაოდენობა წლიურად 65 მილიარდ კუბ. მეტრამდეც შეიძლება გაიზარდოს (Parkhomchik, Simsek and Nurbayev, 2016).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად თურქმენული გაზის ძირითადი საერთაშორისო მომხმარებელი ჩინეთია. ამრიგად, თურქმენეთის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ჩინეთისგან გაზის ექსპორტის სანაცვლოდ მიღებული თანხები რჩება. ცნობილია, რომ 1000 კუბ. მეტრი თურქმენული გაზის სანაცვლოდ ჩინეთი დაახლოებით 185 დოლარს იხდის, თუმცა, აღნიშნული თანხა თურქმენეთის შემოსავალს მნიშვნელოვნად არ ზრდის, ვინაიდან აშხაბადმა ჩინეთის მთავრობისგან მილიარდობით დოლარის კრედიტები აიღო გაზის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. შედეგად, ჩინეთში გაზის ექსპორტის სანაცვლოდ აღებული თანხა ისევ ჩინური ვალუტის გადახდას ხმარდება (Manukov, 2017).

ათწლეულების მანძილზე თურქმენული გაზის ერთადერთი მომხმარებელი რუსეთი იყო, რომელიც ბუნებრივ აირს ტრადიციულად „ცენტრალუზი აზია-ცენტრის მილსადენით“ იღებდა (იხ. დანართი N5). გაზის მიწოდება შეჩერდა ამ ორ სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი პრობლემების გამო. მხოლოდ 12 წლის ჩავარდნის შემდეგ, 2018 წლის ბოლოს, გაკეთდა განცხადებები „გაზპრომის“ მიერ თურქმენული გაზის იმპორტის შესაძლო განახლების შესახებ (Deahl, 2018). 2019 წლის აპრილში თურქმენეთმა ისევ დაიწყო გაზის ექსპორტი რუსეთში, თუმცა, ექსპორტირებული გაზის რაოდენობა 40 მლრდ. კუბ. მეტრის (2008 წლამდე) ნაცვლად 5 მლრდ. კუბ. მეტრი გახდა (Slav, 2019).

თურქმენული გაზის კიდევ ერთი ყოფილი მომხმარებელი ქვეყანაა ირანი. აშხაბადისთვის 90-იანი წლების ბოლოს ირანში გაზის ექსპორტი ნიშნავდა რუსეთზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის პირველ მცდელობას. თურქმენეთის ტერიტორიიდან ირანში გაზის ტრანსპორტირება ორი მარშრუტით დაიწყო: 200 კმ.-იანი „კორპეჟე-კურტ-კუისა“ და 182 კმ. სიგრძის „დაულეტაბად-სარახ-ხანგირანის“ მილსადენებით. ყოველწლიურად ირანი დაახლოებით 8-9 მილიარდ კუბ. მეტრ თურქმენულ გაზს იღებდა. 2017 წლის დასაწყისში კი აშხაბადმა სრულიად შეუწყვიტა

გაზის მიწოდება მეზობელს. ოფიციალურ მიზეზად ირანის მიერ გადაუხდელი დაახლოებით 1.8 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის გაზის საფასური დასახელდა. (Hryniuk, 2018).

არსებული იმპორტიორების გარდა თურქმენეთის მთავრობა აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს თურქმენული გაზის შესაძლო ახალ მომხმარებლებთან. ერთ-ერთი ასეთი პოტენციური მომხმარებელი შეიძლება გახდეს ევროკავშირი იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში დაგეგმილი 5 მილიარდი აშშ. დოლარის ღირებულების „ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტი. აღნიშნული მილსადენი მხოლოდ 300 კმ. სიგრძის იქნება და მისი გამტარუნარიანობა წელიწადში დაახლოებით 30 მილიარდი კუბ. მეტრს მიაღწევს. „ტრანს-კასპიური მილსადენის“ დახმარებით მოხდება გაზის ტრანსპორტირება თურქმენეთისა და ყაზახეთის საბადოებიდან ევროპაში აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გავლით, მით უფრო, რომ უკვე არსებობს ამ სამი ტრანზიტორი ქვეყნის დამაკავშირებელი „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“ და ხორციელდება TANAP და TAP პროექტები, რომლებიც ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და აზერბაიჯანის გაზის ევროპაში ექსპორტს უზრუნველყოფენ (Karayianni, 2018). გარდა ამისა, უკვე არსებობს ასევე „აღმოსავლეთ-დასავლეთის მილსადენიც“ თურქმენეთის ტერიტორიაზე, რომელიც თურქმენეთის მთავრობამ 2015 წელს ააშენა ქვეყნის აღმოსავლეთით მოპოვებული გაზის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებისათვის. აღნიშნული გაზსადენი დაგეგმილ „ტრანს-კასპიურ მილსადენს“ უნდა დაუკავშირდეს (Putz, 2015).

აღსანიშნავია, რომ თურქმენეთიდან კასპიის ზღვაზე წყალქვეშა მილსადენის გაყვანის იდეა აშშ-ის მიერ ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაჟღერდა. 1999 წელს თურქმენეთის მთავრობამ ამერიკულ კომპანიებთან „ჯენერალ ელექტრიკ-თან და „ბექტელის ჯგუფთან“ - დაიწყო მოლაპარაკებები მომავალი გაზსადენის მიზანშეწონილობის და წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატარებლად. 2011 წელს კი ევროკავშირმა ევროკომისიას პირდაპირი მანდატი მიანიჭა

თურქმენეთთან და აზერბაიჯანთან „ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებისათვის. თუმცა, აღნიშნული ინიციატივა ირანისა და რუსეთის მხრიდან გამოთქმული პროტესტის შედეგად (კონკრეტული ინვესტიციების არ არსებობასთან ერთად) გაურკვეველი დროით მაინც გადადებულია. წლების მანძილზე რუსეთიცა და ირანიც „ტრანს-კასპიური მილსადენის“ წინააღმდეგ კასპიის ზღვის სტატუსის გადაუწყვეტელობის საკითხს და ეკოლოგიურ პრობლემებს წარმატებით იყენებდნენ.

თურქმენეთი მოიაზრება კიდევ ერთი მასშტაბური ენერგოპროექტის - თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის“ (TAPI) გაზსადენის მთავარ დონორად. 1814 კმ. სიგრძის მილსადენით, რომლის გამტარუნარიანობა დაახლოებით 33 მილიარდი კუბ. მეტრი იქნება წელიწადში, უნდა მოხდეს „გალკინიშის“ საბადოდან (მას შემდეგ, რაც დასრულდება ამ საბადოს განვითარების მესამე ფაზა) გაზის ტრანსპორტირება ავღანეთის, პაკისტანის და ინდოეთის ტერიტორიებზე. შესაბამისად, ავღანეთი ყოველწლიურად მიიღებს დაახლოებით 5 მილიარდ კუბ. მეტრ თურქმენულ გაზს, პაკისტანი და ინდოეთი კი - 14 მილიარდ კუბ. მეტრს (თითოეული) (Jorgic, 2018).

მართალია, 2015 წელს TAPI-ის თურქმენული ნაწილის მშენებლობა უკვე დაიწყო, თუმცა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, მოახერხებენ, თუ - არა პროექტის მონაწილე მხარეები 10 მილიარდ აშშ დოლარამდე ინვესტიციების მოზიდვას. გარდა ამისა, გადასაჭრელია ავღანეთში უსაფრთხოების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებიც (Najafizada, 2018).

6.2.2.2 უზბეკეთი

თურქმენეთის გარდა ცენტრალური აზიის რეგიონში ბუნებრივი აირის ექსპორტს ახორციელებს უზბეკეთიც. ცნობილია, რომ ამჟამად ქვეყანაში მოპოვებული გაზის დაახლოებით 20% ექსპორტზე გადის საერთაშორისო მასშტაბით. უზბეკური გაზის მთავარი მომხმარებლები არიან რუსეთი და ჩინეთი, თუმცა, უზბეკეთი ასევე ახორციელებს გაზის ექსპორტს მეზობელ შედარებით პატარა ქვეყნებში - ყაზახეთში (სამხრეთ რეგიონები - დაახლოებით 3 მლრდ. კუბ.მ.), ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში,

რომელთათვისაც უზბეკეთი ერთადერთი მომმარაგებელია (ჯამში დაახლოებით 2 მლრდ. კ.მ. წლიურად (Xabar.uz, 2018).

წლების მანძილზე უზბეკური გაზი რუსეთს ორი მარშრუტით მიეწოდება- „ბუხარა-ურალისა“ და „ცენტრალური აზია-ცენტრის“ მილსადენების დახმარებით. კერძოდ, „ბუხარა-ურალის“ გაზსადენი უზბეკეთის ბუხარის რეგიონის „გაზლის“ საბადოდან გაზს ყაზახეთის ტერიტორიის გავლით რუსეთის სამხრეთ რეგიონებს აწვდის. აღნიშნული მილსადენის მშენებლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მისი წლიური მაქსიმალური გამტარუნარიანობა 8 მილიარდი კუბ. მეტრია. რაც შეეხება მეორე მარშრუტს, „ცენტრალური აზია-ცენტრის მილსადენი“ უზბეკეთის დასავლეთ ტერიტორიას გაივლის (კუნგრადისა და ხივას რაიონები) და რუსეთის სამხრეთ რეგიონებს უკავშირდება. 2017 წელს რუსულმა „გაზპრომმა“ უზბეკეთის სახელმწიფო კომპანია „უზბეკნეფტეგაზთან“ (აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიის საქმიანობა უზბეკეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 15%-ს ქმნის) ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 2018-2023 წწ. ყოველწლიურად რუსულმა მხარემ 4 მილიარდი კუბ. მეტრი უზბეკური გაზი უნდა შეიძინოს. ცნობილია, რომ უზბეკეთისგან შეძენილი გაზით „გაზპრომი“ ყირგიზეთის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას აპირებს, რისი ვალდებულებაც ყირგიზეთის მთავრობის წინაშე 2014 წლიდან აიღო (Gorokhov, 2017).

რუსეთის მიერ უზბეკეთისგან გაზის შეძენის ერთ-ერთი მთავარი მოტივია დააბალანსოს უზბეკური გაზის ექსპორტი ჩინეთში, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. უზბეკეთის ხელისუფლება გეგმავს, რომ 2020 წლიდან ჩინეთში ექსპორტირებული უზბეკური გაზის რაოდენობა 10 მილიარდი კუბ. მეტრს მიაღწევს (Xabar.uz, 2018).

უზბეკეთის მიერ გაზის ექსპორტი მეზობელ ყირგიზეთსა და ყაზახეთში „ბუხარა-ტაშკენტი-ბიშკეკი-ალმაატის მილსადენით“ ხორციელდება. დღეისათვის აღნიშნული გაზსადენის დახმარებით დაახლოებით 1 მილიარდ კუბ. მეტრი უზბეკური გაზი ყაზახეთის სამხრეთ რეგიონებს, ხოლო 0.7 მილიარდი კუბ. მეტრი ყირგიზეთის

ჩრდილოეთ ტერიტორიებს მიეწოდება (Aminjonov, 2016b). რაც შეეხება ტაჯიკეთს, მრავალწლიანი დაძაბულობის შემდეგ 2018 წლიდან უზბეკური გაზის ტრანსპორტირება ტაჯიკეთში „მუზრაბად-დუშანბეს მილსადენით“ ისევ ხორციელდება (Putz, 2018).

6.2.2.3 ყაზახეთი

ცენტრალური აზიის გაზის ექსპორტიორ ქვეყნებს შორისაა ყაზახეთიც. ყაზახური გაზის მთავარი მომხმარებლები ჩინეთი და რუსეთი არიან. კერძოდ, რუსეთი ყაზახეთიდან გაზს იღებს „ცენტრალური აზია-ცენტრის მილსადენის“ მეშვეობით, რომლის ორი შენაკადი ყაზახეთის დასავლეთ ტერიტორიაზე ერთიანდება და რუსეთის სამხრეთისკენ მიედინება. აღნიშნული გაზსადენით ხდება ასევე ყაზახეთის ჩრდილოეთ რეგიონების გაზით მომარაგება. 2017 წელს „კაზმუნაიგაზსა“ და „გაზპრომს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ყოველწლიურად რუსულმა მხარემ 12.8 მილიარდი კუბ. მეტრი გაზი უნდა შეისყიდოს ყაზახეთისგან (Kanunnikova, 2017).

წლების მანძილზე რუსეთი ყაზახური გაზის ერთადერთი იმპორტიორი იყო. თუმცა, 2017 წელს ყაზახეთმა დაასრულა „ცენტრალური აზია-ჩინეთის“ ყაზახური მონაკვეთის მშენებლობა (ქვეყნის სამხრეთით მდებარე „ბეინეუ-ბოზოი-შიმკენტის გაზსადენი“), რომელმაც ცენტრალური აზიის ამ ქვეყანას საშუალება მისცა, დაეწყო გაზის ექსპორტი ჩინეთში. ამჟამად ყოველწლიურად დაახლოებით 5 მილიარდი კუბ. მეტრი ყაზახური გაზის ტრანსპორტირება ხორციელდება ჩინეთში. 2018 წლის ოქტომბერში ყაზახურმა „ყაზტრანსგაზმა“ ჩინელ კოლეგებთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ახლო მომავალში ჩინეთი ყოველწლიურად 10 მილიარდ კუბ. მეტრ ყაზახურ გაზს მიიღებს. ამ მიზნით მოხდა „ბეინეუ-ბოზოი-შიმკენტის გაზსადენის“ გამტარუნარიანობის 10 მლრდ. კუბ. მეტრიდან 15 მლრდ. კუბ. მეტრამდე გაზრდაც (ჩინეთის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 700 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 15 წლიანი სესხის წყალობით). სწორედ ეს მილსადენი უერთდება ყაზახეთის საზღვართან „ცენტრალური აზია-ჩინეთის გაზსადენს“. შედეგად, ყოველწლიურად მოხდება 10 მილიარდი კუბ. მეტრის ექსპორტი ჩინეთში, ხოლო 5 მილიარდი კუბ. მეტრი გაზით მომარაგდება ყაზახეთის სამხრეთი რეგიონები.

„ყაზტრანსგაზის“ განცხადებით, ჩინეთში ექსპორტის ზრდის შედეგად ყაზახური მხარის სარგებელი ყოველწლიურად 2 მილიარდ აშშ დოლარამდე იქნება, ვინაიდან 1000 კუბ.მეტრი ყაზახური გაზის ფასი ჩინეთისთვის დაახლოებით 200 აშშ დოლარია (Rodova, 2018).

6.2.3 ტრანზიტი

ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიდან ტრანზიტორებად უზბეკეთი და ყაზახეთი მოიაზრებიან, რომლებიც თურქმენული და რუსული გაზის ექსპორტის პროექტებში არიან ჩართული. მართალია, არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც, მომავალში ტაჯიკეთის ტერიტორიაც უნდა იქნას გამოყენებული თურქმენული გაზის ჩინეთში ექსპორტისათვის („ცენტრალური აზია-ჩინეთის“ D შენაკადის პროექტი), თუმცა, აღნიშნული მილსადენი ჯერ-ჯერობით ისევ არ აშენებულა.

6.2.3.1 უზბეკეთი

თურქმენეთიდან გაზი ჩინეთს „ცენტრალური აზია-ჩინეთის მილსადენის“ 530 კმ-იანი C უზბეკური შენაკადის საშუალებითაც მიეწოდება, რომლის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდა. მისი წლიური მაქსიმალური გამტარუნარიანობა 25 მილიარდი კუბ. მეტრია. ამჟამად იგი ყოველწლიურად დაახლოებით 14 მილიარდი კუბ. მეტრი თურქმენული (იგი ერთ-ერთი შენაკადია თურქმენეთი-ჩინეთის გაზსადენისა) და 5 მილიარდი კუბ. მეტრი უზბეკური გაზის ექსპორტირებას უზრუნველყოფს ჩინეთში. გარდა ამისა, უზბეკეთზე უნდა გაიაროს „ცენტრალური აზია-ჩინეთის“ D შენაკადმაც, რომლის უზბეკური ნაწილის (დაახლოებით 210 კმ) მშენებლობა ჯერ კიდევ 2014 წელს დაიგეგმა „უზბეკნეფტეგაზისა“ და ჩინური CNPC-ის მიერ (Michel, 2016). მისი წყალობით, თურქმენული გაზის წლიური ექსპორტი ჩინეთში ჯამში 65 მლრ. კუბ. მეტრამდე უნდა გაიზარდოს.

უზბეკეთის გავლით ხდება (გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან) ასევე თურქმენული გაზის ექსპორტი რუსეთის ტერიტორიაზე „ცენტრალური აზია-ცენტრის“ გაზსადენის მეშვეობით (Deahl, 2018).

6.2.3.2 ყაზახეთი

ყაზახეთის ტერიტორია უზბეკეთთან ერთად არის თურქმენული გაზის ჩინეთში ექსპორტირების პროექტის ნაწილი. კერძოდ, „ცენტრალური აზია-ჩინეთის მილსადენის“ ყაზახური ნაწილის მშენებლობა 2009 წელს დასრულდა და მას შემდეგ უზრუნველყოფს დაახლოებით 14 მლრდ. კუბ. მეტრი თურქმენული გაზის ჩინეთში ტრანსპორტირებას (Michel, 2016). გარდა ამისა, ყაზახეთის გავლით ხდება თურქმენული და უზბეკური გაზის რუსეთისკენ ექსპორტიც. უზბეკური გაზის ორივე მარშრუტი რუსეთისკენ - „ბუხარა-ურალისა“ და „ცენტრალური აზია-ცენტრის“ მილსადენები - სწორედ ყაზახეთის ტერიტორიაზე გადის.

6.3 განსხვავებული საგარეო პოლიტიკა

ცენტრალური აზიის რეგიონით არაერთი დიდი ძალაა დაინტერესებული. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი იგი მაინც რუსეთისთვისაა, რომელიც „ახლო საზღვარგარეთში“ საკუთარი გავლენის გაძლიერების კუთხით ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტ სახელმწიფოებთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენიჭებს. ამ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და, ზოგადად, რეგიონში რუსეთის დომინირების აუცილებლობა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (2000 წ.) რუსეთის მთავრობის მიერ არაერთხელ იქნა ხაზგასმული; მაგალითად, 2002 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო რუსეთის გავლენის გაზრდა ცენტრალურ აზიაში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ამას „სხვა“ გააკეთებდა; ეს კი რუსეთის პოზიციების შესუსტებას ნიშნავდა საერთაშორისო არენაზე (Jonson, 2004:98). ამდენად, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებზე გავლენის გაძლიერებას რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნაშრომში მოცემულია ცენტრალური აზიის პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისგან და, შესაბამისად, მოსკოვის მიერ შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და

პოლიტიკური/ეკონომიკური რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დისტანცირების კუთხით. ამ კონტექსტში ხაზგასმულია გაზის ფაქტორის მნიშვნელობა.

6.3.1 ქვეყნები რეზერვების/ექსპორტის/ტრანზიტის გარეშე

ცენტრალური აზიის რეგიონის პატარა/სუსტი სახელმწიფოები, რომელთაც არც გაზის რეზერვები და არც ექსპორტის/ტრანზიტის საშუალებები აქვთ, რუსეთის აქტიურ გავლენას განიცდიან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით. ისინი მოსკოვის მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებშიც წევრიანდებიან, ვინაიდან, რუსეთზე დამოკიდებულების გამო, სხვა არჩევანი თითქმის არ აქვთ. ქვემოთ მოცემულია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის განხილვა.

6.3.1.1 ტაჯიკეთი

ცენტრალური აზიის რეგიონში ენერგორესურსებით ღარიბ ქვეყნებს შორისაა ტაჯიკეთი (ასევე ექსპორტისა და ტრანზიტის შესაძლებლობების გარეშე), რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც დიდ ძალაზე - რუსეთზე დამოკიდებული დარჩა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით. ტაჯიკეთი საკუთარი უსაფრთხოებისა და განვითარების „გარანტად“ სწორედ რუსეთს აღიქვამს. თუმცა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა არათანაბარია და იგი ძირითადად რუსეთის გავლენის გამლიერებას ემსახურება.

რუსეთის მიერ ტაჯიკეთის სამხედრო „მფარველობა“ მრავალმხრივ ფორმატში ოდკბ-ს ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითადი სამხედრო კონტრიბუტორი კი სწორედ რუსეთია. აღსანიშნავია, რომ ტაჯიკეთი ოდკბ-ს იმ წევრთაგან ერთ-ერთია, რომლებმაც პირველებმა მოაწერეს ხელი 1992 წელს „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას“(TASS, 2018).

ტაჯიკეთის ოდკბ-ს წევრობისა და რუსეთის სამხედრო გავლენის კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ორგანიზაციის ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების (KSOR) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - რუსეთის 201-ე

სამხედრო ბაზის - ტაჯიკეთის ტერიტორიაზე არსებობას. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს მან „სამხედრო ბაზის“ სტატუსი მიიღო შეთანხმების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, რუსეთს სანაცვლოდ დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა ტაჯიკეთის ენერგოსექტორში (Baigin, 2009).

ტაჯიკეთი 1991 წლიდან დსთ-ის აქტიური წევრია. გაწევრიანების დღიდან ქვეყანამ დსთ-ის ფარგლებში ათასობით ოფიციალურ დოკუმენტს მოაწერა ხელი. ორგანიზაციის წევრებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობა ტაჯიკეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რაც ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებშიც ნათლად არის გაცხადებული (ტაჯიკეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, 2015).

რუსეთის გავლენა ტაჯიკეთზე იგრძნობა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ სფეროშიც. ცენტრალური აზიის ეს სახელმწიფო 2001-2014 წლებში რუსეთის ლიდერობით შექმნილი ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების წევრი იყო (აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2014 წლამდე იარსება; მისი გაგრძელება კი ევრაზიული ეკონომიკური კავშირი გახდა). 2014 წლიდან კი რუსეთი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ტაჯიკეთის მთავრობასთან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ბოლო პერიოდში ასევე ცნობილი გახდა, რომ მოსკოვი ტაჯიკეთისთვის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში დამკვირვებლის სტატუსსაც განიხილავს (Panfilova, 2018). რახმონის მთავრობის მიერ აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა. ტაჯიკეთის მთავრობას ესმის, რომ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვას ნიშნავს. სწორედ ამიტომ ქვეყნის მთავრობა ყველანაირ საბაბს ეძებს, რომ ინტეგრაციის პროცესი შეაჩეროს. თავდაპირველად პრეზიდენტი რახმონი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანების წინაპირობად ყირგიზეთის წევრობას ასახელებდა, რათა ტაჯიკეთს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან საერთო საზღვარი ჰქონოდა. თუმცა, ყირგიზეთის გაწევრიანების შემდეგაც ტაჯიკეთი არ ჩქარობს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესვლას; ამის მაგივრად

ქვეყნის მთავრობამ ჩინეთთან დაიწყო მოლაპარაკებები ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ (Popov, 2017). გარდა ამისა, ყაზახეთს გარკვეულ იმედებს აძლევს „ცენტრალური აზია-ჩინეთის მილსადენის“ დაგეგმილი D შენაკადიც, რომელმაც ტაჯიკეთის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს (დაახლოებით 400 კმ.). აღნიშნული მილსადენი ტაჯიკეთს მნიშვნელოვან ტრანზიტორ ქვეყნად აქცევდა და საშუალებას მისცემდა საგარეო პოლიტიკა მხოლოდ რუსეთისკენ არ ჰქონოდა მიმართული. ეს კარგად ესმის, თავის მხრივ, მოსკოვსაც, რომელმაც უკვე არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, გახდეს აღნიშნული მილსადენის პროექტის წევრი და გაიღოს საჭირო თანხებიც, რაც ტაჯიკეთის რუსეთზე დამოკიდებულების გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

რუსეთის ტაჯიკეთზე მზარდი გავლენისა და ტაჯიკი ხალხის უმრავლესობის მზადყოფნის გათვალისწინებით (ევრაზიის განვითარების ბანკის მიერ 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვებით, ტაჯიკეთის მოსახლეობის 68% მხარს უჭერს ქვეყნის გაწევრიანებას ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში (Eurasianet, 2017)) ადვილად სავაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ცენტრალური აზიის ეს სახელმწიფოც, ყირგიზეთისა და ყაზახეთის მსგავსად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდება.

ტაჯიკეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება განსაკუთრებული მოულოდნელობა არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ ცენტრალური აზიის ამ ქვეყნის რუსეთზე დამოკიდებულებას ეკონომიკური კუთხით, განსაკუთრებით ენერგოსექტორში. კერძოდ, ტაჯიკეთის პრორუსულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების საკითხი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქვეყნის ენერგოსაფრთხოებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაჯიკეთი დამოკიდებულია მეზობელი უზბეკეთიდან იმპორტირებულ გაზზე, რაც, გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქვეყანას. არსებობს შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ დროს უზბეკეთი ისევ შეუწყვეტს გაზის მიწოდებას მეზობელს (პოლიტიკური, ფინანსური თუ სხვა რაიმე მიზეზით), ასეთ დროს კი ტაჯიკეთის ალტერნატივად მხოლოდ რუსული გაზი რჩება; 2012-2017 წლებში,

როდესაც უზბეკური გაზის იმპორტი ვერ ხორციელდებოდა, ტაჯიკეთი სწორედ რუსეთიდან და ყაზახეთიდან იღებდა თხევად გაზს (Chorshanbiev, 2017). რუსული გაზის იმპორტი დღემდე აქტიურად ხორციელდება, ვინაიდან უზბეკური ბუნებრივი აირი ძირითადად მხოლოდ ქარხნებს მიეწოდება, მოსახლეობა კი ისევ რუსული თხევადი გაზით მარაგდება.

ტაჯიკეთის ენერგო სექტორში ერთადერთი აქტიურად მოქმედი საერთაშორისო კომპანია სწორედ რუსული „გაზპრომი“⁷, რომელმაც 2003 წელს ტაჯიკეთის მთავრობასთან ხელმოწერილი ხელშეკრულებით თავის თავზე აიღო ტაჯიკეთის ენერგოსაფრთხობის უზრუნველყოფის ვალდებულება (მათ შორის ახალი მილსადენების მშენებლობა და გაზის მიწოდების უზრუნველყოფა). გარდა ამისა, „გაზპრომი“ პირობა დადო, რომ ტაჯიკეთში ნავთობისა და გაზის საბადოებს განავითარებდა, თუმცა, მცირეხნიანი სამუშაოების შემდეგ განაცხადა, რომ ქვეყანაში გაზი არ არის (Mirsaidov, 2018). ადვილად სავარაუდოა, რომ „გაზპრომისთვის“ ტაჯიკეთის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის აღმოჩენა რუსეთის გეოპოლიტიკურ გათვლებში არ შედიოდა, ვინაიდან მოსკოვისთვის ბევრად უფრო სასურველია გაზით ღარიბი ტაჯიკეთის „პატრონობა“ და დახმარება, ვიდრე ტაჯიკეთის დეპოზიტების განვითარება და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების დაინტერესების გამოწვევა ტაჯიკეთის ენერგოსექტორით. ტაჯიკი პოლიტოლოგების აზრით, „გაზპრომი“ მხოლოდ მოჩვენებითად მუშაობდა ტაჯიკეთში საბადოების აღმოსაჩენად, ვინაიდან „რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპანიები მხოლოდ მაშინ აქტიურდებიან, როდესაც მათ პოლიტიკური მისია აქვთ დაკისრებული“; შესაბამისად, ტაჯიკეთი მათთვის ბევრად საინტერესო იქნებოდა გეოლოგიური თვალსაზრისით და ინვესტიციების კუთხით, თუ დუშანბე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობას დააჩქარებდა, „მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება ტაჯიკეთში ნავთობი და გაზი“, თვლიან ტაჯიკი ექსპერტები (Mirsaidov, 2018).

⁷ ამჟამად ტაჯიკეთში არსებული ბიზნეს კლიმატის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და კორუფციის გათვალისწინებით, ძნელად სავარაუდოა, რომ ქვეყანა ახლო მომავალში შეძლებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ენერგოსექტორში.

ტაჯიკეთში გაზის საბადოების აღმოჩენა და განვითარება რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას უპირისპირდება იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ტაჯიკეთს მიეცემოდა შანსი, გამხდარიყო როგორც დასავლური, ისე ჩინური კომპანიების მასპინძელი და, რა თქმა უნდა, მათი დახმარებით დაეწყო გაზის ექსპორტი ჩინეთში (როგორც ეს ტაჯიკეთის მეზობლებმა გააკეთეს). ეს კი ქვეყანას ნაკლებად დამოკიდებულს გახდიდა რუსეთზე და მოსკოვსაც ზეწოლის ნაკლები შესაძლებლობები ექნებოდა დუმანბზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტაჯიკეთისთვის ჩინური სახელმწიფო კომპანიების დამკვიდრება ქვეყანაში უფრო ნაკლები საფრთხის მომტანი იქნებოდა სუვერენიტეტის შელახვის მხრივ, ვიდრე რუსულ „გაზპრომთან“ თანამშრომლობა, ვინაიდან ჩინეთის მთავრობა, რუსეთისგან განსხვავებით, საკუთარ სახელმწიფო კომპანიებს ცენტრალური აზიის „ვასალიზაციისთვის“ ნაკლებად იყენებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რუსულმა „გაზპრომმა“ მხოლოდ მცირე ფართობზე დაიწყო სამძებრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარა ტაჯიკეთში, რის გამოც პრეზიდენტ რახმონისა და ტაჯიკეთის ენერჯეტიკის სამინისტროს კრიტიკის ობიექტი არაერთხელ გახდა (Chorshanbiyev, 2008).

მეორეს მხრივ, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება ტაჯიკეთის რუსულ გაზზე წვდომას უფრო იაფსა და მარტივს გახდის, მით უფრო, რომ 2025 წლისთვის იგეგმება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი გაზის ბაზრის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში სტანდარტების ჰარმონიზაციას, კონკურენტუნარიანი ფასების დაწესებას გაზზე და თანაბარ წვდომას ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ტერიტორიაზე არსებულ გაზის ინფრასტრუქტურაზე (Russell, 2017). ამდენად, ერთიანი გაზის ბაზრის საკითხი ტაჯიკეთის პრორუსულ ინიციატივაში გაწევრიანების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ის, რაც ათწლეულების მანძილზე ტაჯიკეთის ენერგოუსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ აყენებდა, შესაძლებელია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობითა და რუსეთის მფარველობით მოგვარდეს. გაზის მიწოდების სტაბილიზაციისათვის ეს ერთადერთი გამოსავალია, ვინაიდან უზბეკეთის და რუსეთის

გარდა სხვა ალტერნატივა გაზის სექტორში დუმანბესთვის არც არსებობს; თურქმენული გაზის ძირითადი მომხმარებლები დიდი სახელმწიფოები არიან; გარდა ამისა თურქმენული გაზის ფასი ტაჯიკეთისთვის საკმაოდ მაღალი იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ტაჯიკეთი არის გაზის რესურსებით ღარიბი ცენტრალური აზიის პატარა/სუსტი სახელმწიფო (ექსპორტისა და ტრანზიტის შესაძლებლობების გარეშე), რომელიც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დიდ ძალაზე - რუსეთზე. ამ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტაჯიკეთის ენერგოსაფრთხოების საკითხს, ვინაიდან, როგორც გამოჩნდა, ტაჯიკეთს რუსეთის გარეშე არ შეუძლია საკუთარი ქვეყნის გაზით მომარაგების უზრუნველყოფა. „გაზპრომის“ დახმარების გარეშე ქვეყანა უძლურია მთავარი მომწოდებლის - უზბეკეთის პირისპირ, რომელიც, თავის მხრივ, გაზს აქტიურად და წარმატებით იყენებს საგარეო პოლიტიკური მიზნების აღსრულებისათვის. ამდენად, ასეთ ვითარებაში რუსეთთან ალიანსი და ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ტაჯიკეთისთვის ერთადერთ გამოსავლად რჩება.

6.3.1.2 ყირგიზეთი

ცენტრალურ აზიაში გაზის რესურსებით ღარიბი კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელსაც ასევე არ აქვს ექსპორტისა და ტრანზიტის საშუალებებიც, ყირგიზეთია. მეზობელი ტაჯიკეთის მსგავსად, ყირგიზეთიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დიდ ძალაზე - რუსეთზე როგორც სამხედრო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და ენერგეტიკული კუთხით. ჯერ კიდევ 90-იან წლებში ყირგიზეთის იმდროინდელი პრეზიდენტი აკაიევი აცხადებდა, რომ არ გრძნობდა საკუთარი ძლიერი არმიის ყოლის აუცილებლობას, ვინაიდან ნებისმიერი საფრთხე რეგიონული მოკავშირეების ძალისხმევით შედეგად შეიძლებოდა აღმოფხვრილიყო (Bugubaev, 2013). ამ „რეგიონულ მოკავშირეებში“ კი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი იგულისხმებოდა. შედეგად, ყირგიზეთი დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა 90-იან წლებში რუსეთის ლიდერობით

შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებს: დსთ-სა და ოდკბ-ს, რომელთა აქტიურ წევრად დღემდე რჩება.

ყირგიზეთი 1991 წელს დსთ-ში გაწევრიანდა და ამის შემდეგ აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში. ქვეყანა მასპინძლობს დსთ-ის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო წვრთნებს; ხოლო 2016 წელს კი ყირგიზეთი დსთ-ის თავმჯდომარე ქვეყანა იყო (Naymushin, 2018).

ყირგიზეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა მრავალმხრივ ფორმატში უმთავრესად ოდკბ-ს ფარგლებში ხორციელდება. ყირგიზეთმა რუსეთის ინიციატივას- „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას“ ჯერ კიდევ 1992 წელს ტაშკენტში მოაწერა ხელი, ხოლო 2003 წლიდან იგი ოდკბ-ს ერთ-ერთი აქტიური წევრი ქვეყანაა. 2019 წლიდან ყირგიზეთი ოდკბ-ს თავმჯდომარე ქვეყანაა (Syrekanyan, 2018).

ოდკბ-ს საერთაშორისო წვრთნებში მნიშვნელოვანი როლი უკავია ყირგიზეთის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ბაზას, რომელიც დედაქალაქ ბიშკეკიდან 20 კმ-ის დაშორებით ქ. კანტში მდებარეობს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს არის რუსეთის პირველი საჰაერო ბაზა საზღვარგარეთ. იგი ამავდროულად ოდკბ-ს ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების (KSOR) ნაწილია (REGNUM, 2006).

ტაჯიკეთის მსგავსად, რუსეთი ყირგიზეთშიც არ გამორიცხავს მომავალში საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობის (და ე.ი.გავლენის) კიდევ უფრო გაზრდას. წლების მანძილზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყირგიზეთმა შეიძლება რუსეთის ახალ სამხედრო ბაზას უმასპინძლოს. ამის ძირითად მიზეზად ავღანეთიდან მომავალი ტერორიზმის საფრთხისგან ყირგიზეთის დაცვის აუცილებლობა სახელდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამხედრო ბაზის იდეა მოსკოვის მიერ იმ პერიოდში იქნა ინიცირებული, როდესაც ყირგიზეთის ტერიტორიაზე აშშ-ის მანასის ბაზა არსებობდა (ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერისათვის 2001-2014 წლებში მანასის აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტი, რომელიც რუსეთის ზეწოლის შედეგად, ყირგიზეთი მხარის მოთხოვნით დაიხურა). ყირგიზეთში ახალი სამხედრო

ბაზის გახსნით კი რუსეთი დააბალანსებდა აშშ-ის გავლენას მთელს რეგიონში. 2014 წლის შემდეგ, როდესაც მანასის ბაზა დაიხურა და რუსეთს ცენტრალურ აზიაში „კონკურენტი“ გაუქრა, ახალი სამხედრო ბაზის იდეა ყირგიზური მხარის მიერ უფრო ხშირად მოიხსენიება, ვიდრე - რუსეთის მთავრობის მხრიდან. აშკარაა, რომ აშშ-ის დაბალანსების საჭიროების გაქრობის შემდეგ მოსკოვი აღარ ჩქარობს ყირგიზეთში დამატებით სამხედრო ბაზაზე ფინანსების დახარჯვას.

რუსეთის გავლენა მნიშვნელოვნად იგრძნობა ყირგიზეთის ეკონომიკაზეც. საერთო საბჭოთა წარსულიდან (მსგავსი ეკონომიკები, ინფრასტრუქტურა და ა.შ.) გამომდინარე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ყირგიზეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი რუსეთი დარჩა. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ყირგიზეთი რუსეთის ლიდერობით შექმნილი ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების და საბაჟო კავშირის წევრი გახდა, ხოლო 2015 წლიდან კი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა (INTERFAX, 2018).

ყირგიზეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და ამ ქვეყნის რუსეთის ლიდერობით შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ენერგოუსაფრთხოების საკითხებთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყირგიზეთს არ გააჩნია საკუთარი გაზის რესურსი და ამიტომ ძირითადად იმპორტირებულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული. პოლიტიკური დამაბულობისა და იმპორტირებული გაზის საფასურის გადაუხდელობის გამო მიმწოდებელ ქვეყნებთან (უზბეკეთი და ყაზახეთი) არსებული პრობლემების შედეგად, ნათელი გახდა, რომ ყირგიზეთს დამოუკიდებლად არ შეეძლო საკუთარი ენერგოუსაფრთხოების დაცვა. ამიტომ 2014 წელს ყირგიზეთის მთავრობამ გაზის სექტორი სიმბოლური ფასის სანაცვლოდ მთლიანად რუსულ „გაზრომს“, ე.ი. რუსეთის მთავრობას დაუთმო. რუსეთი კი, როგორც ცნობილია, გაზს საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისთვის წარმატებით იყენებს და, ამდენად, აღნიშნული შეთანხმება მისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. გაზის სექტორის გადაბარების სანაცვლოდ ყირგიზეთის

მთავრობამ რუსული მხარისაგან მიიღო დაპირება, რომ არ დაუშვებდა გაზის მიწოდების შეწყვეტას ყირგიზეთისთვის (რაც, თავის მხრივ, ხშირად ქვეყანაში სოციალური არეულობის მიზეზი ხდებოდა); ამასთან, გაზის მიმწოდებელ ქვეყნებთანაც არა ყირგიზეთის მთავრობა, არამედ უკვე „გაზპრომი“ დაიწყებდა მოლაპარაკებებს, რაც უზბეკეთსა და ყაზახეთს აიძულებდათ შედარებით დამთმობი პოზიცია დაეჭირათ ყირგიზეთისთვის გაზის მიწოდების საკითხში. შედეგად, 2016 წელს „გაზპრომმა“ მოახერხა ყირგიზეთისთვის იმპორტირებული გაზის ფასის შემცირება 150 დოლარამდე (1000 კუბ.მეტრზე). გარდა ამისა, „გაზპრომსა“ და ყირგიზეთის მთავრობას შორის გაფორმებული 25 წლიანი ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ რუსული კომპანია დაახლოებით 600 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებდა ყირგიზეთის გაზის სექტორის მოდერნიზაციისთვის, რომელიც ძირითადად საბჭოთა პერიოდისაა და მოძველებულია. ამასთან, „გაზპრომმა“ სრულად დაფარა ყირგიზეთის 41 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დავალიანება გაზის მიმწოდებელი მეზობელი ქვეყნების წინაშე. ამ ყველაფრის სანაცვლოდ ყირგიზეთმა უზრუნველყო „გაზპრომის“ ექსკლუზიური უფლება ბუნებრივი აირის იმპორტზე ყირგიზეთის მომხმარებლებისათვის და ასევე სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლობა მესამე ქვეყანაში გაზის გატანის ტარიფების დადგენაში (Peyrouse, 2015).

„გაზპრომთან“ ხელშეკრულება ყირგიზეთში არაერთმა ექსპერტმა გააკრიტიკა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხესთან გააიგივა. მაგალითად, „ცენტრალური აზიის ამერიკული უნივერსიტეტის“ პოლიტოლოგები თვლიან, რომ პრეზიდენტ ალმაზბეკ ატამბაევის მთავრობამ თავად გადასცა მოსკოვს გეოპოლიტიკური ზეწოლის ძალიან სერიოზული ბერკეტი, რითაც რუსეთს დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმა შეუსრულა - ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ცდილობდა „გაზპრომი“ ყირგიზეთის გაზის სექტორზე კონტროლის მოპოვებას, თუმცა, ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო 2012 წლამდე ვერ მოხერხდა ყირგიზეთის მთავრობასთან შეთანხმების მიღწევა. ერთი მხრივ, ყირგიზეთი თითქოს გაზის პრობლემის გამო „მიეყიდა“ რუსეთს იმიტომ, რომ გარე ძალისგან - უზბეკეთისგან

განთავისუფლებულიყო, თუმცა, თავადვე აირჩია სხვა, უფრო საშიში გარე ძალა, რომელიც უფრო წარმატებით იყენებს გაზს პოლიტიკურ იარაღად. ეს ყველაფერი კი ყირგიზეთის რუსეთთან „ვასალიზაციის“ საფრთხეს ქმნის (Maxala.org, 2013). თუმცა, თავად პრეზიდენტ ატამბაევის აზრითაც, ყირგიზეთს ისედაც „რუსეთის გარეშე ცალკე მომავალი არ აქვს“ (Knews, 2012).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ყირგიზეთის მიერ რუსეთის ლიდერობით შექმნილ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება უფრო აუცილებლობა იყო, ვიდრე - არჩევანი. ყირგიზეთს რუსეთის გარდა სხვა ალტერნატივა არც ჰქონია. ამასვე მოწმობს პრეზიდენტ ატამბაევის მიერ 2014 წლის ოქტომბერში გაკეთებული კომენტარი ყირგიზეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როდესაც მან განახცადა, რომ მთავრობას უწევდა „ორი ბოროტებიდან (გაწევრიანება და არ გაწევრიანება) უფრო ნაკლები ბოროტება“ აერჩია, ვინაიდან სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობდა (TASS, 2014); მით უფრო, რომ აშშ-ის აქტიურობა ცენტრალური აზიის რეგიონში ბოლო პერიოდში მანასის ბაზის დახურვის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა. რუსეთი კი ისევ დაინტერესებული იყო „ახლო საზღვარგარეთში“ საკუთარი გავლენის გაძლიერებით. მოსკოვმა, თავის მხრივ, წარმატებით გამოიყენა გაზის ფაქტორი ყირგიზეთის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გასაწევრიანებლად (როგორც ეს სომხეთის შემთხვევაშიც მოხდა).

ამრიგად, ყირგიზეთი არის ცენტრალური აზიის გაზის რესურსებით, ექსპორტისა და ტრანზიტის შესაძლებლობებით ღარიბი სახელმწიფო, რომელიც რუსეთზეა დამოკიდებული და მოსკოვის იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენას განიცდის. ნათელია, რომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკონომიკური გადარჩენა ყირგიზეთის მთავრობას მხოლოდ მოსკოვის ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების - ოდკბ-სა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობის შედეგად წარმოუდგენია.

6.3.2 ქვეყნები რეზერვებით/ექსპორტით/ტრანზიტით

ცენტრალური აზიის ის პატარა/სუსტი სახელმწიფოები, რომელთაც ან გაზის მდიდარი რეზერვები, ან/და ექსპორტის, ან/და ტრანზიტის საშუალებები აქვთ, ახერხებენ, განთავისუფლდნენ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენისაგან და, ამდენად, არც მოსკოვის მიერ შექმნილი სამხრედო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები ხდებიან. ქვემოთ მოცემულია თითოეული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხილვა.

6.3.2.1 თურქმენეთი

ცენტრალურ აზიაში თურქმენეთი გაზის ყველაზე დიდ რეზერვებს ფლობს. მისი საგარეო პოლიტიკაც მეზობელი ქვეყნებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუ გაზით მდიდარი უზბეკეთი საჭიროებისამებრ იცვლის საგარეო პოლიტიკურ პრინციპებს, თურქმენეთი არის ცენტრალური აზიის ის სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საგარეო პოლიტიკური კურსი არასდროს შეუცვლია. ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად კომპონენტებად რჩება „პოზიტიური ნეიტრალიტეტისა“ და „ღია კარის პოლიტიკის“ პრინციპები. კერძოდ, „პოზიტიური ნეიტრალიტეტი“ ნიშნავს თურქმენეთის დამოუკიდებლობის აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით, რაც ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას გულისხმობს, და მიუმხრობლობას - ანუ თურქმენეთი საერთაშორისო არენაზე არსებულ ნებისმიერ კონფლიქტში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს. რაც შეეხება „ღია კარის პოლიტიკას“, იგი გულისხმობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობასა და ექსპორტის განვითარებას (Anceschi, 2008). ამ მხრივ ქვეყნის მდიდარ ენერგორესურსებს, კერძოდ კი გაზს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის პრეზიდენტის გურბანგული ბერდიმუხამედოვის თქმით, ენერგორესურსების რაციონალური გამოყენება, ინვესტორების მოზიდვა და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრიორიტეტია (Turkmenportal, 2018).

„პოზიტიური ნეიტრალიტეტის“ ცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის არ გაწევრიანება მულტინაციონალურ ორგანიზაციებში. ამდენად, თურქმენეთი

შორს არის დიდი ძალების მიერ შექმნილი სამხედრო, თუ ეკონომიკური ალიანსებისგან. მართალია, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე თურქმენეთიც შეუერთდა დსთ-ის შექმნის ინიციატივას, თუმცა, ქვეყანამ 1993 წელს ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი და 1995 წელს ეს გაერომაც აღიარა (Meredov,2005). ამიტომ დსთ-ის ქარტიის რატიფიცირება თურქმენეთის მხრიდან არ მომხდარა.

თურქმენეთი შორს არის არა მხოლოდ მოსკოვისგან და რუსეთის ლიდერობით შექმნილი ორგანიზაციებისგან, არამედ დასავლეთისგანაც. მართალია, ქვეყანამ „ტერორის წინააღმდეგ ომის“ ინიციატივის ფარგლებში დაიწყო თანამშრომლობა აშშ-სთან და ნატო-სთან (აშხაბადის აეროპორტი გამოიყენებოდა ავღანეთში მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებთან კომუნიკაციისთვის), თუმცა, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (კანტისა და მანასის ბაზების არსებობა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში), თურქმენეთის აშშ-სთან თანამშრომლობა მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვით და საწვავის მიწოდებით შემოიფარგლებოდა (Abazov, 2008).

თურქმენეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპის - „ღია კარის პოლიტიკის“ წარმოება, პირველ რიგში, ქვეყნის მდიდარი ენერგორესურსების წყალობითაა შესაძლებელი. ქვეყნის მთავარ საგარეო პოლიტიკურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მდიდარი რესურსების წყალობით თურქმენეთმა ფართომასშტაბიან პროექტებში საერთაშორისო კომპანიებისა და მათი ინვესტიციების მოზიდვა უნდა მოახერხოს (თურქმენეთის , როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, 1995). ასევე თურქმენეთის პრეზიდენტის მიერ შემუშავებული 2018-2024 წწ. სოციო-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ოფიციალურ დოკუმენტში ერთ-ერთ მთავარ პუნქტად სწორედ „ჰიდროკარბონების ექსპორტის ზრდა, ნავთობისა და გაზის პროდუქტების წარმოების გაუმჯობესება და, ამის შედეგად, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაუმჯობესება“ აღნიშნული (თურქმენეთის პრეზიდენტის მიერ შემუშავებული 2018-2024 წწ. ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების პროგრამა). გარდა ამისა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის რაშიდ მერედოვის 2013 წლის

ოფიციალური განცხადებით, ენერგორესურსები (ე.ი. გაზი, ვაინაიდან ნავთობის ინდუსტრია ნაკლებადაა განვითარებული) ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მთავარი პრიორიტეტია, სწორედ ამიტომ იყო თურქმენეთი, კერძოდ, პრეზიდენტი გურბანგული ბერდიმუხამედოვი, გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 და 2013 წლების რეზოლუციების - „ენერგორესურსების საიმედო და სტაბილური ტრანზიტი და მისი როლი საერთაშორისო თანამშრომლობაში“ (“Reliable and stable transit of energy and its role in sustainable development and international cooperation“) - მთავარი ინიციატორი (News Central Asia, 2013).

თურქმენეთს კარგად ესმის საკუთარი ენერგოპოტენციალის მნიშვნელობა როგორც რუსეთისთვის, ისე დასავლეთისთვის და ჩინეთისთვის. აღნიშნული ძალების მხრიდან თურქმენეთის მიმართ დაინტერესება სულ უფრო და უფრო იზრდება. კერძოდ, აშშ და ევროკავშირი თურქმენეთს რუსული „გაზპრომის“ ალტერნატივად აღიქვამენ ევროპის გაზით მომარაგების კონტექსტში - თურქმენეთის დახმარებით უნდა მოხდეს ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება. როგორც უკვე აღინიშნა, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილი „ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტიც სწორედ თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირებას გულისხმობს. 2019 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თურქმენეთის პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ოფიციალურ წერილში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თურქმენული გაზის ევროპაში ექსპორტის მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ კასპიის ზღვის ლეგალური სტატუსის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ (2018 წ.) თურქმენეთი შეძლებს, გახდეს ევროპის გაზით მომმარაგებელი (Savosin, 2019).

თურქმენეთი აშშ-სთვის განსაკუთრებით საინტერესოა ასევე პროექტ TAPI-ის კონტექსტში. ამხაბადში ექსპერტები ფიქრობენ, რომ აღნიშნული ენერგოპროექტი სხვა არაფერია, თუ არა აშშ-ის მცდელობა თავის ორბიტაში მოაქციოს თურქმენეთი. ამიტომ TAPI პოლიტიკური ინიციატივაა და მას ეკონომიკური დანიშნულება ნაკლებად აქვს; იგი „თურქმენეთისთვის ერთგვარი ხაფანგია, იმიტომ, რომ მისი რეალიზაცია მთლიანად აშშ-ის მფარველობით მოხდება, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მისი

განხორციელება შეუძლებელია. ეს კი საბოლოოდ განსაზღვრავს ვაშინგტონსა და აშხაბადს შორის ურთიერთობებს“, ფიქრობს ცენტრალური აზიის ქვეყნების პოლიტიკის მკვლევარი შოხრატ კადიროვი (Panfilova, 2015). ამდენად, დასავლეთის დაინტერესება თურქმენეთთან თანამშრომლობის მხრივ დიდია.

თავის მხრივ, რუსეთი დაინტერესებულია, რომ არ მოხდეს TAPI-ის განხორციელება აშშ-ის მფარველობით. მოსკოვი ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ვაშინგტონის მიერ ინიცირებულ, ან მხარდაჭერილ ენერგოპროექტებს ცენტრალურ აზიაში, ვინაიდან ისინი მოსკოვის ისტორიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება რეგიონში. სწორედ ამიტომ, რუსეთმა არაერთხელ მიმართა აშხაბადს TAPI-ის პროექტში ჩართვის შეთავაზებით (Malik, 2012). ამით მოსკოვი შეძლებს TAPI-ის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას, ვინაიდან სხვა შემთხვევაში პროექტის განხორციელებას ვერანაირი გზით ვერ შეეწინააღმდეგება, როგორც ეს „ტრანს-კასპიური მილსადენის“ შემთხვევაში შეუძლია.

მოსკოვის ინტერესებშია, არ მოხდეს თურქმენული გაზის ექსპორტი ევროპაში, რაც რუსულ გაზს მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევდა ევროპულ ბაზრებზე (ბოლო წლებში ევროპის გაზით მომარაგების დაახლოებით 40%-ს რუსული „გაზპრომი“ უზრუნველყოფს (Foy, 2018)). გარდა ამისა, თურქმენეთი რუსეთის კონკურენტია აღმოსავლეთის ბაზარზეც - ჩინეთშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ციმბირის ძალის“ პროექტის წყალობით რუსული „გაზპრომი“ გეგმავს, გაზის ექსპორტი დაიწყოს ჩინეთში. ეს უკანასკნელი კი ამჟამად ძირითადად ცენტრალური აზიის ბუნებრივი აირით (ძირითადად თურქმენული გაზით) მარაგდება. ამდენად, ევროპაში და ჩინეთში კონკურენციის საფრთხეების გათვალისწინებით, რუსული მხარის ინტერესშია, თავად ითანამშრომლოს თურქმენეთთან და თვითონ იყოს თურქმენული გაზის მომხმარებელი, მით უფრო, რომ სწორედ რუსეთი იყო წლების მანძილზე თურქმენული ბუნებრივი აირის მთავარი იმპორტიორი, ვიდრე ის ჩინეთმა არ ჩაანაცვლა. თურქმენეთიდან შექმნილი შედარებით იაფი გაზი მოსკოვს აძლევს შესაძლებლობას, სამხრეთ რუსეთის რეგიონების გაზით მომარაგება უზრუნველყოს და, ამავდროულად, გაზარდოს საკუთარი გაზის ექსპორტი ჩინეთსა და ევროპაში, რაც რუსეთისთვის

პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ყველაფრის გამო გადაწყვიტა „გაზპრომმა“, განეხლებინა თურქმენული გაზის შესყიდვა (Elliott, 2018). ამით რუსეთმა „შეახსენა“ თურქმენეთს, რომ დაგეგმილ სამომავლო პროექტებთან (განსაკუთრებით, „ტრანს-კასპიური მილსადენი“) შედარებით, უფრო რეალურია გაზის რუსეთში ტრანსპორტირება, მით უფრო, რომ ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა („ცენტრალური აზია-ცენტრის მილსადენი“) უკვე არსებობს. ადვილად სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ დაეთანხმა რუსეთი კასპიის ზღვის სტატუსის პრობლემის იმგვარად გადაჭრას, რომ „ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო - თუ თურქმენული გაზის მომხმარებელი რუსეთი იქნება, აშხაბადი ნაკლებად დაინტერესდება ალტერნატიული (ამ შემთხვევაში ევროპული) მარშრუტებით. თავის მხრივ, გაზის რუსეთში ტრანსპორტირების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება თურქმენეთის ინტერესშიცაა, ვინაიდან მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყანა ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარჯზე შემოსავლების რაც შეიძლება სწრაფად გაზრდას ესწრაფვის.

დიდია თურქმენეთის მიმართ ჩინეთის დაინტერესებაც. დღეისათვის ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი ენერგოდონორი თურქმენეთია - ჩინეთში იმპორტირებული გაზის (ბუნებრივი აირისა და თხევადი გაზის ჩათვლით) მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 34%-ის მიწოდებას სწორედ თურქმენეთი უზრუნველყოფს (Gente, 2018). ჩინეთის მთავრობამ მილიონობით დოლარი დახარჯა თურქმენული გაზის საბადოების განვითარებისა და „ცენტრალური აზია-ჩინეთის“ გაზსადენის მშენებლობისთვის. მომავალში იგეგმება იმპორტირებული თურქმენული გაზის რაოდენობის კიდევ უფრო ზრდა, რამაც ჩინეთის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას უნდა შეუწყოს ხელი - საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (International Energy Agency - IEA) პროგნოზით, 2040 წლისათვის ჩინეთში გაზზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება და 600 მილიარდ კუბ. მეტრს მიაღწევს (Shek, 2017). ამდენად, თურქმენული გაზის იმპორტის ზრდას და, შესაბამისად, აშხაბადთან თანამშრომლობას ჩინეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ თურქმენეთის გაზის რესურსები და ექსპორტის შესაძლებლობები ქვეყანას დიდი ძალებისთვის მიმზიდველს ხდის. შედეგად, თურქმენეთის გაზის მონაწილეობით დაგეგმილი ენერგოპროექტები ამ დიდი ძალების ერთგვარი შეჯიბრის საგანია. თურქმენეთის მთავრობაც წარმატებით იყენებს საკუთარ ენერგოპოტენციალს ამ ძალებთან თანამშრომლობისას და ცდილობს, ექსპორტის დივერსიფიკაციის გზით (ამ მიზანს ემსახურება ყველა დაგეგმილი პროექტი, მათ შორის „ტრანს-კასპიური მილსადენი“ და TAPI) მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს, მით უფრო, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დაახლოებით 70% გაზის ექსპორტიდან შემოსული თანხით ივსება (Gente, 2018).⁸ ამავდროულად, ენერგოდამოუკიდებლობის წყალობით, თურქმენეთის საგარეო პოლიტიკა არც ერთი ამ დიდი ძალის მნიშვნელოვან გავლენას არ განიცდის; ქვეყანა არ წევრიანდება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში უსაფრთხოების განმტკიცების, ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით. უფრო მეტიც, თურქმენული მხარე გარკვეულწილად ზღუდავს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას; მაგალითად, თურქმენეთში არსებული რეგულაციების მიხედვით, უცხოურ კომპანიებს უფლება აქვთ მხოლოდ ოფშორული გაზის საბადოების დამუშავების პროექტებში ჩაერთონ და, ამავდროულად, ისინი აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ მხოლოდ თურქმენეთის სახელმწიფო კომპანია „თურქმენგაზთან“ (Fabi, 2011).

ამრიგად, თურქმენეთი ცენტრალური აზიის გაზით მდიდარი (რეზერვები და ექსპორტის შესაძლებლობები) სახელმწიფოა, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ახერხებს რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისგან განთავისუფლებას. ეს კი, პირველ რიგში, ნიშნავს დიდი მეზობლის მიერ შექმნილი საერთაშორისო სამხედრო, პოლიტიკური, ან/და ეკონომიკური ორგანიზაციებისგან დისტანცირებას.

⁸ თურქმენეთი იმდენადაა გაზის ექსპორტზე დამოკიდებული, რომ ამ ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის შემცირების გამო მთავრობა იძულებული გახდა გაზი და ელექტროენერგია ფასიანი გაეხადა საკუთარი მოსახლეობისათვის. შედეგად, 2018 წლის სექტემბრიდან ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია მოსახლეობას უფასოდ აღარ მიეწოდება, როგორც ეს ათწლეულების მანძილზე ხდებოდა.

6.3.2.2 უზბეკეთი

უზბეკეთი ცენტრალური აზიის გაზით მდიდარი სახელმწიფოა, რომელსაც ასევე ექსპორტისა და ტრანზიტის დიდი პოტენციალი აქვს. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან უზბეკეთის საგარეო პოლიტიკა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებასა და რეგიონული მასშტაბით საკუთარი პოზიციების გამყარებაზეა ორიენტირებული, რაც, თავის მხრივ, რუსეთის მფარველობაში ყოფნას არ გულისხმობს. „Mustaqillik“ 90-იანი წლებიდან უზბეკეთის მთავრობის მთავარი დევიზია, რაც „თვითუზრუნველყოფას“ ნიშნავს (Ortiqov, 2009).

ჯერ კიდევ ორი ათწლეულის წინ პრეზიდენტი კარიმოვი წერდა, რომ უზბეკეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა „თანაბარ სახელმწიფოებს შორის დიალოგს“ გულისხმობდა და ამ ურთიერთობაში „უფროსი ძმის“ პრინციპი არ უნდა ამოქმედებულიყო (Karimov, 1992:23). გარდა ამისა, უზბეკეთის პირველი პრეზიდენტი საჯაროდ გმობდა რუსული ძალოვანი სტრუქტურების მუშაობას ცენტრალური აზიის რეგიონში (მათ შორის რუსეთის მონაწილეობას ტაჯიკეთის სამოქალაქო ომში) და მათ უზბეკეთის საშინაო საქმეებში ჩარევაშიც ღიად ადანაშაულებდა (Rotar, 1999). უფრო მეტიც, 1999 წელს უზბეკეთმა რუსეთის ლიდერობით შექმნილი ოდკბ დატოვა და სანაცვლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ შექმნილ სუამ-ს შეუერთდა, რომლის წევრიც 2005 წლამდე დარჩა (Socor, 2006). აღნიშნული ნაბიჯი მოწმობს, რომ უზბეკეთი რუსეთის მფარველობას არ ელტვოდა მაშინაც კი, როდესაც საკუთარ საზღვრებში ებრძოდა ტერორიზმს (ოდკბ კი ძირითადად ანტიტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული): 1999 წელს და 2004 წელს ტაშკენტი რამდენიმე ტერორისტული აქტის მსხვერპლი აღმოჩნდა, რამაც ათეულობით უზბეკის სიცოცხლე შეიწირა (Mydans, 2004).

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს უზბეკეთი დროებით მაინც დაუბრუნდა ოდკბ-ს, თუმცა, არა ქვეყნის უსაფრთხოების, არამედ კარიმოვის რეჟიმის საჭიროებიდან გამომდინარე: 2005 წლის ანდიჯანის სისხლიანი მოვლენების შემდეგ. როდესაც უზბეკეთის მთავრობამ ძალის გამოყენებით ასობით მომიტინგის სიცოცხლე შეიწირა, კარიმოვის რეჟიმი არაერთმა ქვეყანამ მწვავედ გააკრიტიკა, განსაკუთრებით კი

დასავლეთმა (აშშ და ევროკავშირი). მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი აღმოჩნდნენ ის დიდი ძალები, რომლებიც პრეზიდენტ კარიმოვის პოზიციას იზიარებდნენ იმის შესახებ, რომ ანდიჯანში ადგილი ჰქონდა ტერორისტების მიერ დაგეგმილ გამოსვლებს, რომლებიც უზბეკეთის ხელისუფლებამ წარმატებით და დროულად აღკვეთა (Oliver, 2005). ამდენად, რუსეთთან დაახლოება და ოდკბ-ს წევრობა კარიმოვის მთავრობის ერთგვარი პასუხი იყო დასავლეთის კრიტიკაზე.

2005 წლის ანდიჯანის მოვლენებს ცვლილებები მოჰყვა უზბეკეთის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაშიც, რომელიც დროებით ასევე პრორუსული გახდა. მას შემდეგ, რაც კარიმოვმა უარი თქვა საერთაშორისო ექსპერტების ჩართვაზე ანდიჯანის შემთხვევის გამოძიებაში, ევროკავშირმა სანქციები დაუწესა უზბეკეთს. კერძოდ, შეიზღუდა უზბეკი ოფიციალური პირების მოგზაურობა ევროპაში, დაიბლოკა ევროკავშირის ქვეყნებიდან შეიარაღების ექსპორტი და გაუქმდა ევროკავშირისა და უზბეკეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის ოფიციალური შეხვედრები (Chivers, 2005). ამით წერტილი დაესვა უზბეკეთსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და ქვეყანაში ევროპული ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივას, რასაც უზბეკეთის მთავრობა მიელტვოდა. ამის პასუხად 2005 წლის ბოლოს კარიმოვმა მიიღო გადაწყვეტილება, შეერთებოდა რუსეთის ლიდერობით შექმნილ ევრაზიულ ეკონომიკურ საზოგადოებას (Eurasian Economic Community-EurAsEC) (Socor, 2006). თუმცა, უზბეკეთის წევრობა აღნიშნულ ინიციატივაში მცირეხნიანი აღმოჩნდა: მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა უზბეკეთს სანქციები მოუხსნა, კარიმოვმა შეაჩერა EurAsEC-ში უზბეკეთის წევრობა; ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ქვეყნის მზად არ ყოფნა, შეერთებოდა საბაჟო კავშირს. უზბეკეთის პრეზიდენტის განცხადებით, მისთვის მიუღებელი იყო ის პირობა, რომლის მიხედვითაც, ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების ქვეყნები ავტომატურად ხდებოდნენ საბაჟო კავშირის წევრები. კარიმოვი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ყოველგვარი ღრმა ინტეგრაციის წინააღმდეგი იყო და თვლიდა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებული ვერ იქნებოდა რომელიმე ალიანსით, რომელიც „რადაცით მაინც დაემსგავსება საბჭოთა

კავშირს“ (Ozod, 2008). ამ ნაბიჯით უზბეკეთმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და აჩვენა, რომ, მიუხედავად მოსკოვთან თანამშრომლობისა, უზბეკეთი რუსეთის მფარველობის და გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა.

მცირეხნიანი აღმოჩნდა უზბეკეთის წევრობა ოდკბ-შიც. 2012 წელს, როდესაც დასავლეთის მიერ კარიმოვის რეჟიმის კრიტიკა შედარებით შესუსტდა, უზბეკეთმა საბოლოოდ დატოვა ოდკბ და ქვეყნის მთავრობაც დაუბრუნდა ტრადიციულ კურსს, რაც გულისხმობს, რომ უზბეკეთი არასდროს არ გაწევრიანდება სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებში. ეს ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან ჩაიწერა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ და სამხედრო ოფიციალურ დოკუმენტებში; გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ქვეყანა უფლებას იტოვებს, გამოვიდეს ყველა საერთაშორისო გაერთიანებიდან, თუ იგი სამხედრო-პოლიტიკურ ერთეულად გარდაიქმნება („უზბეკეთის სამხედრო დოქტრინა“, §10). ალიანსებში გაუწევრიანებლობის შესახებ ეს პოზიცია ქვეყნის ახალი პრეზიდენტის - შავკატ მირზიოევის მიერაც იქნა ხაზგასმული, როდესაც იგი 2016 წელს პირველად შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს (Gizitdinov, 2016). ოდკბ-ში წევრობის დროსაც უზბეკეთის მთავრობა კოლექტიურ სამხედრო ღონისძიებებს სკეპტიკურად უყურებდა; სწორედ ამიტომ არ დაეთანხმა უზბეკეთი ოდკბ-ს ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების (KSOR) შექმნის იდეასაც (Tolipov, 2009). აღსანიშნავია ასევე, რომ უზბეკეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც ცენტრალური აზიის რეგიონიდან პირველი შეუერთდა „მიუმხრობლობის მოძრაობას“ 1993 წელს.

მართალია, უზბეკეთი დღემდე რჩება დსთ-სა და „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (2001 წელს დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან რუსეთი, ჩინეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) წევრად, თუმცა, ეს ორგანიზაციები არ შეიძლება აქტიურ პოლიტიკურ-სამხედრო ალიანსებად მივიჩნიოთ. არც ერთ მათგანს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ინტეგრაციული დღის წესრიგი და ისინი ძირითადად ორმხრივი ურთიერთობების წარმართვისთვის გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიერ.

უზბეკეთის „თვითუზრუნველყოფისკენ“ მიმართული საგარეო პოლიტიკური კურსი გულისხმობს როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან თანამშრომლობას და ამით ორივე მხარის დაბალანსებას. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უზბეკეთის მთავრობამ თანამშრომლობა დაიწყო ევროკავშირთან და ნატო-სთან. 1996 წელს უზბეკეთსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება“ გაფორმდა, რომლის შედეგადაც, გაუქმდა გარკვეული სავაჭრო ბარიერები უზბეკეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, 2014-2020 ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირმა 168 მილიონი ევრო გამოყო უზბეკეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (Weitz, 2018). ამის მიუხედავად, უზბეკეთი არასდროს განიხილავდა ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას და მისთვის ფორმალური სახის მიცემის შესაძლებლობას. მსგავსი პოლიტიკა არსებობს ნატოს-თან მიმართებაშიც. 2013-2017 წლებში ტაშკენტი ცენტრალურ აზიაში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისს მასპინძლობდა (იგი ბიუჯეტის შემცირების შედეგად დაიხურა ნატო-ს მხრიდან). ქვეყანა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის წევრიცაა (Davis, 2014), რომელიც ალიანსსა და არაწევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურება. თუმცა, არასდროს ყოფილა საუბარი უზბეკეთის ნატო-ში შესაძლო წევრობის შესახებ. თუ ყირგიზეთის მთავრობამ 2014 წელს მანასის სამხედრო ბაზა მოსკოვის ზეწოლითა და ალტერნატივის არ არსებობის გამო დახურა, უზბეკეთის შემთხვევაში აშშ-ის სამხედრო წარმომადგენლობის გაუქმება კარიმოვის თანაბრობის პრინციპზე დაფუძნებული „თვითუზრუნველყოფის“ პოლიტიკის შედეგი იყო: თუ აშშ არ მიიღებდა უზბეკეთს როგორც თანაბარ პარტნიორს, უზბეკეთი არ იქნებოდა ამერიკის მოკავშირე და თანამებრძოლი „ტერორთან წინააღმდეგ ომში“. აშშ კი უზბეკეთს თანაბარ პარტნიორად ნამდვილად არ თვლიდა და თამამად აკრიტიკებდა კარიმოვის რეჟიმსაც. თავად „სტრატეგიული თანამშრომლობის დეკლარაცია“ ერთგვარად კარნახობდა უზბეკეთის მთავრობას, თუ როგორ უნდა შეეცვალა კანონები და განეხორციელებინა რეფორმები. ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც აშშ წარმატებით და

უპრობლემოდ თანამშრომლობდა სხვა ავტორიტარულ სახელმწიფოებთან (მაგალითად, ეგვიპტე და პაკისტანი) და არ ითხოვდა მათი შიდა პოლიტიკის შეცვლას.

უნდა აღინიშნოს, რომ უზბეკეთის „თვითუზრუნველყოფის“ პოლიტიკის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა გაზის მდიდარი რესურსების გარეშე, რასაც ქვეყანა ხშირად პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებს (გაზის მიწოდების შეწყვეტის არაერთი შემთხვევა მეზობელი ქვეყნებისთვის მათზე ზეწოლის მიზნით). ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისგან განსხვავებით, უზბეკეთი არასოდეს გახდებოდა იმულებული, გაწევრიანდეს რუსეთის (ან რომელიმე დიდი ძალის) მიერ შექმნილ საერთაშორისო სამხედრო, თუ ეკონომიკურ ორგანიზაციებში და „დიდი ძმის“ მფარველობის ქვეშ მოექცეს, ვინაიდან ქვეყნისთვის ენერგოუსაფრთხოების საკითხი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ გამხდარა პრობლემატური. რუსეთი კი ხშირად სწორედ გაზის ფაქტორს იყენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად. უზბეკეთის შემთხვევაში მოსკოვს არ გააჩნია ის ბერკეტი, რაც ასე წარმატებით მოქმედებს ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის და მათი რუსეთის ლიდერობით შექმნილ ორგანიზაციებში წევრობისთვის - უზბეკეთი რუსულ „გაზპრომზე“ დამოკიდებული არ არის და, ამდენად, შედარებით თავისუფალი საგარეო პოლიტიკური არჩევანიც აქვს.

მართალია, უზბეკეთის მთავრობა დიდ ძალებზე ყველანაირ დამოკიდებულებას გამორიცხავს, თუმცა, იგი წარმატებით იყენებს ამ ძალების დაინტერესებას საკუთარი ენერგოსექტორის განვითარებისთვის, რაც საბოლოოდ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას და საგარეო პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებას განაპირობებს. არსებული პოტენციალის წყალობით უზბეკეთის გაზის სექტორი მიმზიდველია როგორც რუსული, ისე დასავლური მხარისთვის. შედეგად, უზბეკეთის გაზის საბადოების დამუშავების პროექტებში ჩართულები არიან როგორც რუსული „გაზპრომი“ და „ლუკოილი“, ისე დასავლური და ჩინური კომპანიებიც. „უზბეკნეფტეგაზის“ დირექტორის, ბ. სიდიკოვის განცხადებით, სახელმწიფო გეგმავს აღნიშნული კომპანიის რამდენიმე წვრილ ერთეულად დაშლას, რათა კიდევ უფრო გაამარტივოს უცხოელი ინვესტორების

მოზიდვა და გაზარდოს გამჭვირვალობის დონე (Shaku, 2019). ამ ინვესტორებთან თანამშრომლობის შედეგად, უზბეკეთის მთავრობა მხოლოდ სარგებელს მიიღებს, ვინაიდან გაზი ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. მაგალითად, 2018 წლის მხოლოდ 6 თვის მანძილზე უზბეკეთმა გაზის ექსპორტის წყალობით 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო (Gazeta.uz, 2018).

უცხოური კომპანიების ჩართულობით უზბეკეთის გაზის სექტორი კიდევ უფრო ვითარდება, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის შემოსავლის ზრდასა და საგარეო პოლიტიკის წარმატებაზე ახდენს გავლენას. ეს კარგად ესმის უზბეკეთის მთავრობასაც, რომელმაც მიზნად დაისახა 2025 წლისათვის 70 მილიარდი კუბ. მეტრი გაზის წარმოება ქვეყანაში. წარმოების გაზრდის შედეგად, პირველ რიგში, უნდა გაიზარდოს უზბეკეთიდან ჩინეთში ექსპორტირებული გაზის რაოდენობა, რაც ქვეყნის მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტული საკითხია. ამას მოწმობს 2009 წელს „ცენტრალური აზია-ჩინეთის მილსადენის“ გახსნის ცერემონიის მასშტაბიცა და მასში მონაწილეების, მათ შორის უზბეკეთის პრეზიდენტ კარიმოვის განცხადებებიც, სადაც ძირითადად მილსადენის სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე გამახვილდა ყურადღება (Gorst and Dyer, 2009). გარდა ამისა, 2018 წელს უზბეკეთის პრეზიდენტმა მირზიოევმა ასევე განაცხადა, რომ უზბეკეთი მონაწილეობას მიიღებს TAPI-ის პროექტშიც, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით ხორციელდება. ქვეყანა ასევე მიესალმება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის პროექტებში ჩართვის იდეასაც, რის შედეგადაც, შესაძლებელია ცენტრალური აზიიდან გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირება (Interfax Global Energy, 2018). ამ ნაბიჯების მთავარი ლოგიკა უზბეკეთის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდება: რაც უფრო მეტად მოხდება უზბეკეთის გაზის ბაზრების დივერსიფიცირება, მით ნაკლებად იქნება ქვეყანა დამოკიდებული ერთ რომელიმე მომხმარებელზე, მით უფრო, თუ მომხმარებელი რუსეთია, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში „ისტორიული ინტერესები“ აქვს და აქტიურად ცდილობს რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერებას ენერგორესურსების გამოყენებით.

ამრიგად, უზბეკეთი ცენტრალური აზიის გაზის რესურსებით მდიდარი სახელმწიფოა, რომელმაც ენერგორესურსების სწორად გამოყენებით შეძლო დიდი ძალების გავლენის დაბალანსება (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019). უზბეკეთის ყოფილი პრეზიდენტის - ისლამ კარიმოვის თქმით, „ქვეყანა მხოლოდ მაშინაა ბოლომდე დამოუკიდებელი, თუ იგი ენერგოდამოუკიდებლობას მოიპოვებს“ (Omorov and Lynch, 2010:24). უზბეკეთი კი ამ მხრივ დამოუკიდებელია, რაც ქვეყნის მთავრობას საერთაშორისო მასშტაბით მეტი ლავირების საშუალებას აძლევს; ამიტომაც უზბეკეთმა შეძლო, საჭიროებისამებრ გამხდარიყო ხან რუსეთის და ხან აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი და, ამავდროულად, არც ერთ დიდ ძალაზე არ გამხდარიყო დამოკიდებული; მან მოახერხა, არაერთხელ შეეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი და ამით ქვეყნის ინტერესები (როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკის სფეროში) არ დაეზარალებინა.

6.3.2.3 ყაზახეთი - გამონაკლისი

ცენტრალურ აზიაში გაზის რესურსებით მდიდარი და ესპორტისა და ტრანზიტის გარკვეული შესაძლებლობების მქონე კიდევ ერთი სახელმწიფოა ყაზახეთი. ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ნაშრომში განხილული შემთხვევებისგან სრულიად განსხვავდება და ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, ვინაიდან, ერთი მხრივ, ყაზახეთს გააჩნია დიდი ენერგოპოტენციალი, თუმცა, მეორეს მხრივ, უზბეკეთისგან და თურქმენეთისგან განსხვავებით, მისი საგარეო პოლიტიკა ნაკლებად დაბალანსებულია და არ არის განთავისუფლებული რუსეთის გავლენისგან, რაც გამოიხატება ყაზახეთის რუსეთის ლიდერობით შექმნილ ორგანიზაციებში წევრობით.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალურ აზიაში ყაზახეთი გამოირჩეოდა როგორც ყველაზე პროაქტიური სახელმწიფო მულტინაციონალური თანამშრომლობის გამყარების კუთხით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ყაზახეთის მთავრობა მხარს უჭერდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ინტეგრაციული ინიციატივების შემუშავებას. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეაც თავდაპირველად სწორედ ყაზახეთის მხრიდან

გაჟღერდა, ვიდრე მას რუსეთი მოიყვანდა სისრულეში (Kilner, 2011). 1998 წელს ასტანა „ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ფორუმის“ წამყვანი ძალა გახდა, რომელიც 2002 წელს ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაციად (Central Asian Cooperation Organization - CACO) გადაიქცა. თუმცა, ყაზახურმა ინიციატივამ დიდ ხანს ვერ იარსება რეგიონში არსებული დაპირისპირებებისა და, რაც მთავარია, რუსეთის ამბიციების გამო, თავად გამხდარიყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველანაირი გაერთიანების ლიდერი. საბოლოოდ CACO რუსეთის მიერ ჩამოყალიბებულმა ევრაზიულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ (Eurasian Economic Community-EurAsEC) ჩაანაცვლა, ყაზახეთი კი რუსეთის ლიდერობით შექმნილი ამ ინიციატივის ერთ-ერთი წევრი გახდა (Engvall and Cornell, 2015).

ყაზახეთი გაწევრიანდა ასევე ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოების ბაზაზე შექმნილ საბაჟო კავშირში/ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომელსაც რუსეთთან და ყაზახეთთან ერთად ბელორუსიაც შეუერთდა (მოგვიანებით სომხეთი და ყირგიზეთი). აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა ყაზახეთის 2014-2020 საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტადაა მოხსენიებული (ყაზახეთის 2014-2020 წწ. საგარეო პოლიტიკის კონცეფცია). თუმცა, რუსეთის ლიდერობით შექმნილ საბაჟო კავშირში/ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში წევრობა ყაზახეთისთვის გარკვეულწილად წამგებიანი აღმოჩნდა. კერძოდ, ამ ორგანიზაციის დახმარებით მოხდა წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო ტარიფების და სხვა სავაჭრო ბარიერების გაუქმება. შედეგად, 2011 წლის ივლისიდან საბაჟო კავშირის მთლიან ტერიტორიაზე ამოქმედდა ერთიანი საბაჟო ტარიფები, რამაც ყაზახეთში მოსაკრებლების მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა, ვინაიდან ახალი ტარიფები მხოლოდ რუსეთში არსებულ მაჩვენებლებს გაუტოლდა (Kramer, 2010). გარდა ამისა, საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემდეგ თითქმის განახევრდა ყაზახური ტენგეს ღირებულებაც, ხოლო იაფი იმპორტი ძირითადად რუსულმა ძვირადღირებულმა საქონელმა ჩაანაცვლა (Eurasianet, 2016).

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთი გაწევრიანდა არა მხოლოდ რუსეთის ლიდერობით შექმნილ ეკონომიკურ ორგანიზაციებში, არამედ სამხედრო ბლოკებშიც. ამის ყველაზე

ნათელი მაგალითია ყაზახეთის მიერ 1992 წლის დსთ-ის ტაშკენტის სამიტზე „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების“ ხელმოწერა, რომელიც შემდეგში ოდკბ-ს შექმნის საფუძველი გახდა. ყაზახეთი დღემდე ოდკბ-ს აქტიური წევრია (The Astana Times, 2017).

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ ყაზახეთის საგარეო პოლიტიკა გარკვეულწილად პრორუსულია მაშინ, როდესაც, თითქოს, ერთი შეხედვით, ყაზახეთს ყველა პირობა აქვს, რომ მეზობელი თურქმენეთისა და უზბეკეთის მსგავსად, თავი დააღწიოს რუსეთის გავლენას (მით უფრო, რომ რუსეთის ლიდერობით შექმნილი ორგანიზაციების წევრობით ქვეყანას მნიშვნელოვანი სარგებელი არ მიუღია). ყაზახეთმაც, ისევე როგორც უზბეკეთმა და თურქმენეთმა, 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო არა მხოლოდ რუსული, არამედ ამერიკული, ევროპული და ჩინური კომპანიების მოზიდვა და დაინტერესება საკუთარი ენერგორესურსებით (იტალიური „ენი“, ამერიკული „შევრონი“ და ა.შ.). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ 1997 წლისათვის პოსტკომუნისტურ სივრცეში უნგრეთის შემდეგ ყაზახეთმა მოახერხა ენერგორესურსების წყალობით ყველაზე დიდი რაოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა (Cummings, 2003). ეს კი პრეზიდენტ ნურსულტან ნაზარბაევის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ემსახურებოდა, რომელიც რუსეთის გავლენის შემსუბუქებას დასავლური კომპანიების მოწვევით აპირებდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ 1994 წ. ლონდონში ვიზიტის დროს განაცხადა: „არ მგონია, რომ დღევანდელ მსოფლიოში იარაღს შეუძლია ქვეყნის დაცვა; ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გარანტია (რუსეთის წინააღმდეგ) დასავლეთის ბიზნესის მყარი წარმომადგენლობაა ყაზახეთში“ (Associated Press, 1994). ეს პოზიცია 2002 წელს დაადასტურა ქვეყნის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა - ყასიმ-ჟომართ თოკაევიმაც (ამჟამად ქვეყნის პრეზიდენტი), რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკული კომპანიების ჩართულობა კასპიის ზღვის ენერგორესურსების განვითარების პროექტებში „ყაზახეთისთვის უმნიშვნელოვანესია ეროვნული უსაფრთხოების კუთხით“ (BBC News, 2002). დასავლური კომპანიების ჩართულობის მთავარი დანიშნულება ამ შემთხვევაში რუსეთის გავლენის დაბალანსება

იყო; ნათელია, რომ ყაზახეთის მთავრობა იზიარებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, „დასავლურ დიდ კომპანიებს მნიშვნელოვანი დიპლომატიური მხარდაჭერა მოსდევთ თან“ (Olcott, 2002:215). დასავლური გავლენის გაძლიერებით რუსეთის გავლენის შეკავება მოხდებოდა, შედეგად კი, ყაზახეთი არც ერთ ძალაზე არ აღმოჩნდებოდა დამოკიდებული.

საერთაშორისო კომპანიების მიერ ყაზახეთის საბადოებისა და ექსპორტის განვითარების შესაძლებლობები კიდევ უფრო რეალური გახდა 2018 წელს კასპიის ზღვის ლეგალური სტატუსის გადაწყვეტის შედეგად. 2018 წლის აპრილში ყაზახეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება აქტაუსა და კურიკის პორტების აშშ-ის მიერ სამხედრო მიზნებით (ავღანეთში ტრანსპორტირებისთვის) გამოყენების შესახებ, რამაც მოსკოვის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთი კასპიაზე აშშ-ის სამხედროების გამოჩენას რეგიონში აშშ-ის გავლენის ზრდის საფრთხედ აღიქვამს. არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ რუსეთისა და ყაზახეთის შეთანხმების შედეგია 2018 წლის კასპიის ზღვის სტატუსის გადაწყვეტა - ყაზახეთმა უარი თქვა აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსებაზე კასპიის ზღვის სანაპიროზე, სანაცვლოდ კი მიიღო ოფშორული ენერგორესურსების განვითარებისა და ექსპორტის საკითხში სრული ავტონომია რუსეთისგან (Aliyev, 2018).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საინტერესოა გაირკვეს, თუ რითაა განპირობებული დიდი ენერგოპოტენციალის მქონე ყაზახეთის საგარეო პოლიტიკის პრორუსული კურსი და რა განაპირობებს ამ გამონაკლისს. ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად დიდი პოტენციალისა, ამჟამად, **გაზის სექტორი ყაზახეთში შედარებით ნაკლებადაა განვითარებული**, ვიდრე თურქმენეთში, უზბეკეთში და აზერბაიჯანში. ქვეყნის ენერგოსექტორში ძირითადი მნიშვნელობა ნავთობის მოპოვება-გადამუშავებას ენიჭება, ვინაიდან, რუსეთის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყაზახეთი პირველი ქვეყანაა ნავთობის რეზერვებისა (30 მილიარდი ბარელი) და წარმოების (1.9 მილიონი ბარელი დღეში) კუთხით (BP Statistical Review of World Energy, 2019). 2018 წელს ნავთობის ექსპორტის შედეგად მიღებულმა თანხამ თითქმის 38 მილიარდი აშშ დოლარი

შეადგინა, ხოლო გაზის ექსპორტის შედეგად, 2018 წლის იანვარ-აგვისტოში ყაზახეთმა 1 მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტი მიიღო (Bnews, 2018); ნავთობის ხვედრითი წილი ყაზახეთის მთლიან ექსპორტში 52%-ს (2/3 ნაწილი) აჭარბებს მაშინ, როდესაც ბუნებრივი აირის ექსპორტის მაჩვენებელი უმნიშვნელოა - დაახლოებით 5% (Nikonorov, 2019). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყაზახეთში არსებული საბადოების უმრავლესობას გაზი საერთოდ არ აქვს. ამ ქვეყანაში არის ძირითადად გაზ-კონდენსატური დეპოზიტები, რომლებშიც მოიპოვება დიდი ნავთობი, გაზი კი თან ახლავს ამ ნავთობს მხოლოდ მცირე რაოდენობით; ამიტომ ხშირად ყაზახეთს არ თვლიან გაზით მდიდარ სახელმწიფოდ (ინტერვიუ მარიამ ვალიშვილთან, 2019). გარდა ამისა, ის გაზი, რომელიც ყაზახეთში მოიპოვება შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს; გოგირდისგან წმენდა ძვირადღირებულ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურას მოითხოვს, რაც პოტენციური ინვესტორებისთვის დიდ დანახარჯებს ნიშნავს და, ამდენად, ნაკლებად საინტერესოა (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019).

ყაზახური გაზის ექსპორტის დივერსიფიკაციაც ნაკლებად ხდება, რაც ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა. წლების მანძილზე ყაზახური გაზის ერთადერთი მომხმარებელი რუსეთი იყო, რომელიც დღემდე ძირითადი მომხმარებელია (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019). მხოლოდ 2017 წლიდან დაიწყო ბუნებრივი აირის ექსპორტი ჩინეთში (ამისგან განსხვავებით, თურქმენეთსა და უზბეკეთს საკუთარი გაზის ჩინეთში ექსპორტის მეტი გამოცდილება აქვთ) და ისიც მცირე რაოდენობით (5 მლრდ. კუბ. მეტრი წელიწადში (Energy Reporters, 2018)). მომავალში, თუ მოხდება ჩინეთში ექსპორტის გაზრდა და, რაც მთავარია, „ტრანს-კასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელება, რაც ექსპორტის დივერსიფიკაციას ნიშნავს, ყაზახეთს მეტი საშუალება ექნება, გამოიყენოს გაზის რესურსები საგარეო პოლიტიკური კურსის შესაცვლელად, მით უფრო, რომ ნავთობის სექტორში დივერსიფიკაცია უკვე მოხდა: წლების მანძილზე ყაზახეთიდან ნავთობის გაყიდვა ძირითადად რუსეთის ტერიტორიის გავლით რუსული მილსადენებით ხდებოდა. სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც ყაზახეთმა მოახერხა ექსპორტის დივერსიფიკაცია „ბაქო-თბილისი ჯეიჰანისა“ და „ატასუ-ალაშკანოუს“

(იგივე „ყაზახეთი-ჩინეთის“ ნავთობსადენი) მილსადენების გამოყენებით (Nurgaliyeva, 2016). ამით ყაზახეთმა შეძლო არა მხოლოდ რუსული ნავთობის მილსადენებზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება, არამედ მოსკოვისთვის კონკურენციის გაწევა ევროპისა და ჩინეთის ბაზრებზე. ასეთივე „დივერსიფიკაციის იარაღი“ სჭირდება ყაზახეთს გაზის სექტორშიც, რომ მოხდეს საბოლოოდ რუსეთის გავლენის დაბალანსება. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მომავალში ყაზახეთმა შეძლოს გაზის ექსპორტის მნიშვნელოვანი დივერსიფიკაცია, ვინაიდან „მის გარშემო ყველა მეზობელს აქვს გაზი გაცილებით დიდი რაოდენობით, სხვა საექსპორტო ბაზრებისგან კი შორს არის“ (ინტერვიუ იოჰან ინგვალთან, 2019).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რითაც შეიძლება აიხსნას ყაზახეთის გამონაკლისი, **დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოებაა**. მართალია, იგი გაზის ფაქტორთან დაკავშირებული არ არის, თუმცა, ყველა სხვა ფაქტორზე მნიშვნელოვანია ყაზახეთის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ რეგიონის არც ერთ ქვეყანაში არ ცხოვრობს იმდენი ეთნიკური რუსი (შედარებისთვის: თურქმენეთში - ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 4% რუსია, უზბეკეთში კი-8% (Wooden and Stefes,2014)), რამდენიც ყაზახეთში (20%) (იხ. დანართი N6). ასევე სწორედ ყაზახეთია ის ქვეყანა, რომელიც ყველაზე გრძელი - თითქმის 7000 კმ-იანი საზღვრით არის დაკავშირებული ჩრდილოელ მეზობელთან მაშინ, როცა, მაგალითად, თურქმენეთსა და უზბეკეთს რუსეთთან საერთო საზღვარი არ აქვთ. სწორედ ყაზახეთი-რუსეთის საზღვრის მიმდებარედ ცხოვრობენ ეთნიკური რუსები ყაზახეთის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონებში რუსები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (მოსახლეობის 50% -ზე მეტი) (Bisenov, 2017).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყაზახეთის მთავრობა დემოგრაფიული/გეოგრაფიული სურათის გათვალისწინებითაც ცდილობს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობები ჩამოაყალიბოს და, შესაბამისად, გაწევრიანდეს რუსეთის ლიდერობით შექმნილ ინიციატივებში (მნიშვნელოვანი სარგებლის გარეშე), მით უფრო, რომ არსებობს იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითები, სადაც ეთნიკური რუსები და

რუსეთის მოქალაქეები რუსული აგრესიის საბაზი გახდნენ: 2008 წელს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი სწორედ რუსი მოქალაქეების უფლებების დაცვის საბაზით დაიწყო, ხოლო 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ნახევარკუნძულზე მცხოვრები ეთნიკური რუსების (ყირიმში რუსები მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 60-65%-ს შეადგენენ (Khotin, Khalilov and Coalson, 2018)) გამო და მათი ხელშეწყობით მოხდა. ამდენად, ეთნიკური რუსების არსებობა ყაზახეთში შეიძლება ქვეყანის უსაფრთხოებას პოტენციურ საფრთხესაც უქმნიდეს. ადვილად სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პოტენციური საფრთხის გამო მოხდა ყაზახეთის პრეზიდენტის მიერ 1997 წელს დედაქალაქის გადმოტანა ალმა-ატიდან (სიდიდით პირველი ქალაქი ყაზახეთში, რომელიც ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს) ასტანაში - ნაზარბაევის მიერ სოფელ აკმოლას ბაზაზე აშენებულ ქალაქში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებთან უფრო ახლოს მდებარეობს (Shoemaker, 2014). ამით უფრო მარტივად გახდებოდა შესაძლებელი ნაზარბაევისთვის ქვეყნის ჩრდილოეთში სეპარატიზმის საფრთხის კონტროლი.

ამრიგად, ყაზახეთი ნაშრომში განხილული სხვა შემთხვევებისგან გამონაკლისს წარმოადგენს, ვინაიდან ქვეყანას, ერთი მხრივ, მდიდარი გაზის რესურსები, ექსპორტისა და ტრანზიტის გარკვეული შესაძლებლობები აქვს, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი საგარეო პოლიტიკა დღემდე პრორუსულია, რასაც არა მხოლოდ გაზის სექტორის ნაკლებად ჩამოყალიბებულობა, ექსპორტის შედარებით განუვითარებლობა და საბადოებში გაზის ნაკლებობა, არამედ ასევე დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოება მნიშვნელოვნად განაპირობებს.

7 განხილული შემთხვევების ახსნა ნეორეალიზმის თეორიულ ჩარჩოში

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და გაზის ფაქტორს შორის კავშირი ნეორეალიზმის თეორიის ზოგად ჩარჩოში შეიძლება განვიხილოთ. კერძოდ, ამ თეორიის მიხედვით (ისევე, როგორც რეალიზმის ყველა მიმდინარეობის მიხედვით), საერთაშორისო არენაზე

მთავარი აქტორები რაციონალური და უნიტარული სახელმწიფოები არიან, რომელთაც ძირითადად თვითგადარჩენის და უსაფრთხოების მოტივი ამოძრავებთ. ამ კონტექსტში სახელმწიფოს ძალის მაქსიმიზაცია უმთავრესია, ვინაიდან სწორედ იგი განაპირობებს ნებისმიერი ქვეყნის გადარჩენას და უსაფრთხოებას. ენერგორესურსები ამ ძალის ერთ-ერთი ელემენტია. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის გაზის რესურსები, მათი ექსპორტი და ტრანზიტი ამ სახელმწიფოების ძალის მაქსიმიზაციის და უსაფრთხოების განმტკიცების გარკვეული ელემენტებია. ამდენად, ბუნებრივია, რომ თითოეული ამ ქვეყნისთვის გაზის ფაქტორს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის, რომ ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების საკითხების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ყველა გაზით მდიდარი სახელმწიფოს ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ, თუ უსაფრთხოების დოკუმენტებშია გაცხადებული.

ნეორეალისტებს შორის არსებობს განსხვავებული აზრი სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების დანიშნულების შესახებ. მათ შორის თავდაცვითი რეალიზმის მიდევრები სახელმწიფოს ძალის მაქსიმიზაციის დანიშნულებას ქვეყნის თვითგადარჩენაში ხედავენ; სახელმწიფოებს სჭირდებათ ძალა, მათ შორის ე.წ „რბილი“, ანუ “კონკრეტული-შინაგანი“ ეკონომიკური ძალა, რომელიც მათ უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს და დიდ ძალებთან შედარებით თანაბარ პირობებში ურთიერთობას უზრუნველყოფს. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შემთხვევაში უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, პირველ რიგში, მეზობელი დიდი ძალის - რუსეთის - იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენისგან თავდაღწევასა და მოსკოვის ლიდერობით შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური/ეკონომიკური ორგანიზაციებისგან დისტანცირებას ნიშნავს. შედეგად, ის ქვეყნები, რომლებიც ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და უზბეკეთი), ან აქვთ ექსპორტის (აზერბაიჯანი, თურქმენეთი და უზბეკეთი) ან/და ტრანზიტის (აზერბაიჯანი, უზბეკეთი და საქართველო) შესაძლებლობები შედარებით წარმატებით ახერხებენ რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას (ყაზახეთი - გამონაკლისი); ისინი

წარმატებით იყენებენ დასავლეთის დაინტერესებას გაზის ფაქტორით და რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას ევროპული და ამერიკული კომპანიების ჩართულობით ახალანსებენ. ის ქვეყნები კი (სომხეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი), რომლებსაც ეს შესაძლებლობები არ აქვთ, ხდებიან რუსეთის მოკავშირეები და ამით ცდილობენ ე.წ. „წარმოებული ძალის“ (ალიანსი დიდ ძალასთან) მაქსიმიზაციას თვითგადარჩენისთვის, რაც ამ ქვეყნების სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცველია. სომხეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გაზომარაგების პრობლემები არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც აღნიშნული ქვეყნები იმედის თვალთ შეჰყურებენ რუსეთთან სიახლოვეს და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, რომელმაც, თავის მხრივ, ერთიანი ბაზრის შექმნით წევრი ქვეყნებისთვის გაზის ფასისა და მიწოდების სტაბილურობის პრობლემები უნდა მოაგვაროს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს სჭირდებათ მხოლოდ იმ რაოდენობის ძალა, რაც თვითგადარჩენისა და რეგიონში საკუთარი პოზიციების გამყარებისთვის არის საჭირო და არა საერთაშორისო სისტემაში სტატუს-კვოს შესაცვლელად, როგორც ეს დიდი ძალების შემთხვევაშია. ამდენად, ენერგორესურსების, მათ შორის გაზის ფაქტორის, არსებობა არა აგრესიული, არამედ თავდაცვითი ძალის განმტკიცებას უწყობს ხელს, როგორც ამას თავდაცვითი რეალიზმი აღწერს.

თავდაცვითი რეალიზმი სახელმწიფოებს მიიჩნევს მთავარ აქტორებად საერთაშორისო არენაზე. სწორედ სახელმწიფოები წარმართავენ ენერგოურთიერთობებს მსოფლიოში. ვინაიდან გაზის რესურსებით მდიდარი აზერბაიჯანისთვის, უზბეკეთისთვის და თურქმენეთისთვის (ასევე გამონაკლისი ყაზახეთისთვისაც) ენერგორესურსებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ამ სახელმწიფოებში გაზის სექტორს მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიები აკონტროლებენ. უფრო მეტიც, გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი, როგორც გამოჩნდა, ამ ქვეყნების შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროცაა. ამ ქვეყნებში გაზი მთლიანი ექსპორტის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს (ყაზახეთი გამონაკლისია, ვინაიდან

ყაზახეთში ნავთობთან შედარებით, გაზის ინდუსტრია განუვითარებელია). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს თავად გაზის, როგორც განსაკუთრებული ენერგორესურსის როლიც იმ კუთხით, რომ ნავთობისგან განსხვავებით, ბუნებრივი აირი ქვეყნებისთვის ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს და მასთან დაკავშირებული საკითხები უმეტესად ერი-სახელმწიფოს დონეზე (ანალიზის მეორე დონე) წყდება. სწორედ ამიტომ გაზის პროექტებში ჩართვას სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობები საგარეო სახელმწიფო პოლიტიკისა და დიპლომატიის უმთავრეს მიზნებად განიხილავენ. ამის მაგალითია აზერბაიჯანის მთავრობის „საუკუნის კონტრაქტის“ მიმართ დამოკიდებულება და მისი ინტერპრეტაცია საგარეო პოლიტიკური კუთხით, ან თურქმენეთის მთავრობის მხრიდან ენერგორესურსების საკითხებზე კონცენტრაცია და მათი ლობირება გაეროში, ან თუნდაც უზბეკეთისა და თურქმენეთის მზადყოფნა TAPI-ს პროექტში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც, თავის მხრივ, აშშ-ის პოლიტიკურ პროექტად მოიხსენიება.

თავდაცვითი რეალიზმი სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, ვინაიდან თითოეული მათგანი საკუთარი ეროვნული ინტერესების აღსრულებას ესწრაფვის, რაც, თავის მხრივ, სხვა ქვეყნის ინტერესებს უპირისპირდება. ამდენად, სახელმწიფოებს შორის მუდმივად მიმდინარეობს დაპირისპირება და შეჯიბრი. ამ შეჯიბრში სახელმწიფოების მატერიალურ რესურსებს, კერძოდ კი, ენერგორესურსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაპირისპირებისა და შეჯიბრის გამო სახელმწიფოები ნაკლებად ენდობიან ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მათ ტერიტორიებზე მდებარე რესურსებს. გაზი კი სწორედ ერი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე საბადოებში მოიპოვება და მისი ტრანსპორტირებაც სახელმწიფოებზე გამავალი მილსადენებით ხდება. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერ გაზის სფეროში გაფორმებული კონტრაქტები ძირითადად ერი-სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებია და, როგორც გამოჩნდა, ხშირად არასანდოც. ამის მაგალითია ცენტრალური აზიის ქვეყნების შემთხვევაში უზბეკეთის დამოკიდებულება

მეზობელ ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან, როდესაც ამ უკანასკნელთ გაზის მიწოდება არაერთხელ პოლიტიკური მიზეზების გამო შეუწყვიტა გაზით მდიდარმა მეზობელმა (უზბეკეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონში ამ მხრივ ძალიან ჰგავდა რუსეთის პოლიტიკას პოსტსაბჭოთა სივრცეში). სამხრეთ კავკასიის რეგიონში კი ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო 2000-იან წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, როდესაც მოსკოვმა საქართველოს გაზის მიწოდება შეუჩერა პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობის პორდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გამო.

ნეორეალიზმის, მათ შორის თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო მასშტაბით უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან, ისინი იქცევენ ყველა დიდი ძალის ყურადღებას. ამის მაგალითია სწორედ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების გაზით მდიდარი სახელმწიფოები. აზერბაიჯანიც, თურქმენეთიც, უზბეკეთიცა და ყაზახეთიც არაერთი დიდი ძალის ინტერესის სფეროში მოხვდნენ. ამიტომაც, რომ ამ ქვეყნების საბადოების განვითარების პროექტებში აქტიურად მონაწილეობენ როგორც დასავლური, ისე რუსული და ჩინური სახელმწიფო კომპანიები. ასევე, როგორც აღინიშნა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტრანზიტორი საქართველოს როლიც, რომელიც დიდი ძალების მიერ დაგეგმილ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ენერგოპროექტებში უმთავრეს როლს ასრულებს. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოებაც საერთაშორისო მასშტაბით თანაბრად მნიშვნელოვანია.

დიდი ძალები იმდენად დაინტერესებული არიან გაზით მდიდარ პატარა/სუსტ სახელმწიფოებთან - აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, ყაზახეთთან და უზბეკეთთან - მჭიდრო თანამშრომლობით, რომ ისინი ხშირად ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზეც ხუჭავენ თვალს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირისთვისაც და აშშ-სთვისაც დემოკრატიის განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესი პრინციპებია, ისინი მზად არიან არ მოახდინონ მწვავე რეაგირება ზემოხსენებულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე როგორც დემოკრატიის განვითარების, ისე ადამიანის უფლებების

დაცვის კუთხით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რატომ შეიძლება ჩავთვალოთ რეალიზმის თეორიული სკოლა, მისი თეორია ნეორეალიზმი და ამ უკნასკნელის ქვეთეორია თავდაცვითი რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების იმ თეორიულ ჩარჩოდ, რომელიც ყველაზე უკეთ ხსნის ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის კავშირს. ევროპის წამყვანი ქვეყნებისა და აშშ-ის დამოკიდებულებით აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, ყაზახეთთან და უზბეკეთთან ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უპირველესია საკუთარი რაციონალური ინტერესები (ამ შემთხვევაში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მდიდარი ენერგორესურსებით მიღებული სარგებელი) და არა ღირებულებები და საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი წესები და ნორმები, როგორც ამას ლიბერალიზმი, ან კონსტრუქტივიზმი მიიჩნევს.

8 დასკვნა

კვლევის მთავარი მიზანი იყო, განესაზღვრა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ენერგორესურსებს, კერძოდ, გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) შორის ურთიერთდამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, **საკვლევი კითხვა** ასე ჩამოყალიბდა *რა კავშირია გაზის ფაქტორსა (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) და სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა პატარა/სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას შორის?* წარმოდგენილი ჰიპოთეზა კი შემდეგში მდგომარეობდა: *გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) არსებობა საშუალებას აძლევს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა/სუსტ სახელმწიფოებს, კერძოდ, აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქმენეთსა და უზბეკეთს, განთავისუფლდნენ დიდი ძალის - რუსეთის გავლენისაგან და არ გაწევრიანდნენ მის მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და რეგიონულ საერთაშორისო ეკონომიკურ/პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც არ ფლობენ გაზის მდიდარ რეზერვებს, ან არ გააჩნიათ ექსპორტის ან/და ტრანზიტის*

შესაძლებლობები, კერძოდ, სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, ადვილად ექცევიან რუსეთის გავლენის ქვეშ და, შესაბამისად, მისი ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებიც ხდებიან.

ზემოაღნიშნული ჰიპოთეზა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ურთიერთშეძარებისას სრულად დამტკიცდა: აზერბაიჯანი გაზის მდიდარ რესურსებს და ექსპორტის შესაძლებლობებს ფლობს, რასაც თავის მხრივ, სახელმწიფოსთვის სტრატეგიული დანიშნულება აქვს. ენერგორესურსები ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა და თავდაცვის ბიუჯეტის ზრდასაც უზრუნველყოფს. იგი ასევე ხელს უწყობს აზერბაიჯანის მნიშვნელობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე. მისი წყალობით, აზერბაიჯანს საშუალება აქვს, დააბალანსოს რუსეთის გავლენა და არ ისწრაფვოდეს მოსკოვის ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისკენ. საქართველოს შემთხვევაში რუსეთის გაზისგან განთავისუფლებას და აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ტრანზიტის ფაქტორს უდიდესი საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უმთავრესი მიზნისთვის - ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის. სწორედ „აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით“ უნდა მოხდეს საქართველოს დაბრუნება „საერთო ევროპულ ოჯახში“ (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია). სომხეთი კი, რომელიც არც გაზის მდიდარ რეზერვებს ფლობს და არც ექსპორტის, ან ტრანზიტის შესაძლებლობები აქვს, რუსეთის ახლო მოკავშირეა და, შესაბამისად, ამ ქვეყნის ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრიცაა. ეს, თავის მხრივ, გაზის ფაქტორით - რუსულ გაზზე დამოკიდებულებით - მნიშვნელოვნადაა განპირობებული. ამ დამოკიდებულების გათვალისწინებით, სომხეთი ვერ ახერხებს რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას.

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა მხოლოდ ნაწილობრივ დამტკიცდა ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და

ურთიერთშედარების შედეგად. თურქმენეთმა და უზბეკეთმა გაზის მდიდარი რეზერვების, ექსპორტის, ან/და ტრანზიტის შესაძლებლობების წყალობით მოახერხეს რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისგან განთავისუფლება; არც ერთ მათგანი არ არის მოსკოვის მიერ შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების - ოდკბ-სა და საბაჟო კავშირის/ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირის - წევრი. ამასთან, თურქმენეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან „პოზიტიური ნეიტრალიტეტის“ ერთგულია, რაც ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას გამორიცხავს; საგარეო პოლიტიკის მეორე ძირითადი პრინციპი კი - „ღია კარის პოლიტიკა“ - მნიშვნელოვნად უკავშირდება გაზის სექტორს და მის განვითარებას საერთაშორისო კომპანიების ჩართულობით. რაც შეეხება უზბეკეთს, იგი „თვითუზრუნველყოფის“ პრინციპს იცავს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაზე და, გარკვეულწილად, სწორედ მისი შედეგია. გარდა ამისა, უზბეკეთისთვის გაზი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური იარაღია მეზობლებთან (ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) ურთიერთობებში.

თურქმენეთისა და უზბეკეთისგან განსხვავებით, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი, რომლებიც არც გაზის რეზერვებს ფლობენ და არც ექსპორტის, ან/და ტრანზიტის შესაძლებლობები აქვთ, რუსეთზე არიან დამოკიდებული როგორც სამხრედრო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით. ამ ქვეყნების მთავრობებს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად რუსეთთან მჭიდრო კავშირი მიაჩნიათ; ყირგიზეთი გახდა რუსეთის ლიდერობით შექმნილი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი, ვინაიდან ქვეყანას სხვა არჩევანი არ ჰქონია; ქვეყნის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ენერგოუსაფრთხოების ინტერესებით აიხსნება, ვინაიდან ყირგიზეთში რუსული „გაზპრომი“ უზბეკური გაზის უწყვეტად მიღების გარანტად მიიჩნევა; ასევე ერთიანი გაზის ბაზარი, რომელიც ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთ-ერთი მთავარი დაპირებაა, ყირგიზეთს გაზის ფასის პრობლემის გადაწყვეტას ჰპირდება. იგივე შეიძლება ითქვას ტაჯიკეთზეც, რომელიც ჯერ-ჯერობით ოფიციალურად არ გამხდარა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი, თუმცა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური

მდგომარეობისა და გაზზე დამოკიდებულების (ტაჯიკეთის მთავარ მიმწოდებელთან - უზბეკეთთან - მოლაპარაკებებში ოფიციალურ დუმანბეს ახლა „გაზპრომი“ წარმოადგენს) გათვალისწინებით, ადვილად სავარაუდოა, რომ ეს ქვეყანაც უახლოეს მომავალში გახდება აღნიშნული ორგანიზაციის წევრი.

ნაშრომის ჰიპოთეზის მხოლოდ ნაწილობრივ დამტკიცებას განაპირობებს ყაზახეთის გამონაკლისი. ამ ქვეყანას, ერთი მხრივ, გაზის რეზერვები აქვს და ექსპორტისა და ტრანზიტის გარკვეული შესაძლებლობებიც გააჩნია, თუმცა, მისი საგარეო პოლიტიკა დღემდე პრორუსულია და ქვეყანა მოსკოვის ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია (მიუხედავად იმისა, რომ ამით ქვეყანას მნიშვნელოვანი სარგებელი არ მიუღია). ყაზახეთის გამონაკლისი ნაშრომში ახსნილია შემდეგი გარემოებებით: (1) ყაზახეთში გაზის სექტორის (წარმოება, ექსპორტი) შედარებით განუვითარებლობით და (2) დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოებით, რომელიც, მართალია, გაზის ფაქტორს არ უკავშირდება, თუმცა, ამ ქვეყნის შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს გარემოება არ ახასიათებს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ გაზის რეზერვებს ან/და ექსპორტისა და ტრანზიტის შესაძლებლობებს - აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქმენეთს, ან უზბეკეთს. ამ ქვეყნებში გაზის სექტორი (რეზერვები/ექსპორტი/ტრანზიტი) კარგად არის განვითარებული და ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროცაა. გარდა ამისა, არც ერთ მათგანში ეთნიკური რუსები ერთიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ ქმნიან და ქვეყნის უსაფრთხოების პოტენციურ საფრთხედ არ განიხილებიან. ამდენად, ხსენებული გარემოებები მხოლოდ ყაზახეთისთვისაა დამახასიათებელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია დიდ ძალებთან, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ეკონომიკური ფაქტორი - გაზის ფაქტორი (რეზერვები, ექსპორტი, ან/და ტრანზიტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

ნაშრომი მიზნად არ ისახავდა, იმის მტკიცებას, რომ მხოლოდ გაზის ფაქტორია საკმარისი პირობა ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ახსნისათვის (ნაშრომი არ უარყოფს სხვა შიდა, თუ საგარეო ფაქტორების არსებობას, რაც კავშირშია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკასთან); მთავარი მიზანი იყო გაზის ფაქტორის ხაზგასმა ამ კონტექსტში. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ გაზის ფაქტორი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის. კერძოდ, ამ ფაქტორის არსებობა უკავშირდება რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას და ამ ქვეყნის ლიდერობით შექმნილი სამხედრო ალიანსებისა და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დისტანცირებას, ხოლო მისი არ არსებობა - რუსეთის მოკავშირეობას და ხსენებულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას. ყაზახეთის შემთხვევაში გაზის ფაქტორთან ერთად ხაზგასმულია დემოგრაფიული/გეოგრაფიული გარემოება, ვინაიდან იგი ითვლება ამ ქვეყნის პრორუსული საგარეო პოლიტიკის ახსნის საკმარის პირობად: რუსეთთან 7000 კმ-იანი საზღვარისა და ჩრდ. ყაზახეთის რუსულენოვანი მოსახლეობის გათვალისწინებით (განსაკუთრებით როცა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს ყირიმის და ადმ. უკრაინის რეგიონების პრეკედენტები), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყაზახეთი შეძლებდა რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას.

ბიბლიოგრაფია

- 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, ხელმისაწვდომია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mfa.gov.ge
- აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2007); ხელმისაწვდომია: <https://www.files.ethz.ch/isn/154917/Azerbaijan2007.pdf>
- ბასილაია, ეკტერინე (2015), 'საქართველო საფრანგეთისგან, სავარაუდოდ, "ასტერ-30" ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს მიიღებს', რეზონანსი, 13.06.2015, ხელმისაწვდომია: http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=25150
- ბახტაძე, რევაზ (2007), 'გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში', ბოკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი. 2007.
- გარაყანიძე, ნატა (2019), 'გაზი და პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა: სამხრეთ კავკასიის რეგიონი', თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“, N8, 2019 წ. გვ. 1-15
- თურქმენეთის, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს, საგარეო პოლიტიკის კონცეფცია (1995). ხელმისაწვდომია: https://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=9356
- თურქმენეთის პრეზიდენტის მიერ შემუშავებული 2018-2024 წწ. ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, ხელმისაწვდომია: <http://www.dataforallcloud.org/sites/default/files/documents/tkm/Socio-economicProgram2018-2024.docx>
- კუბლაშვილი, გიგი (2013), 'ცენტრალური აზია - მოკლე ისტორიული მიმოხილვა', ივერია, 4/08/2013, ხელმისაწვდომია: <http://iveria.biz/110-centraluri-azia-mokle-istoriuli-mimoxilva.html>
- რონდელი, ალექსანდრე (2003), 'პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში', გამომცემლობა: თბილისი: მეცნიერება, 2003.
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2011). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mfa.gov.ge

ტაჯიკეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია (2015), ტაჯიკეთის პრეზიდენტის 2015 წლის 27 იანვრის ბრძანება № 332; საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: www.mfa.tj

უზბეკეთის სამხედრო დოქტრინა (2018), უზბეკეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი № 3PY-458. ხელმისაწვდომია: <http://www.lex.uz/docs/3495906#undefined>

ფიფია, ბაჩანა (2018), 'აზერბაიჯანი ელის საინვესტიციო წინადადებებს AGRI-ის პროექტზე', GEORGIAN ENERGY NEWS, 11/28/15. ხელმისაწვდომია: <https://genergynews.wordpress.com/tag/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98/>

ყაზახეთის 2014-2020 წწ. საგარეო პოლიტიკის კონცეფცია; ხელმისაწვდომია ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www. Mfa.gov.kz](http://www.Mfa.gov.kz)

წამალაშვილი, ეკა (2002), 'ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები', რადიო თავისუფლება, 30/10/2002. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1524322.html>

ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობა (2001), „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის განცხადება აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის "შაჰდენიზის" საბადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე - 2001 წლის 29 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <http://lib.aliyevheritage.org/ge/8434330.html>

Abazov, R. (2008), 'The Palgrave Concise Historical Atlas of Central Asia'. Palgrave Macmillan, New York, pp. 164-165.

Abbasova, Nigar (2017), 'SOCAR supplies Malta's first LNG', AZERNEWS, 13 Jan, 2017; Retrieved from: https://www.azernews.az/oil_and_gas/107547.html

Aliyev, Nurlan (2018), 'U.S.-Kazakhstan Transit Agreement Faces Challenges From Russia', The Central Asia – Caucasus Analyst, 20.09.2018. Retrieved from: <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13534-us-kazakhstan-transit-agreement-faces-challenges-from-russia.html>

Aliyeva, Kamila (2018), 'New promising oil and gas structures discovered in Turkmenistan', AZERNEWS. Retrieved from: <https://www.azernews.az/region/121747.html>

Aliyeva, Kamila (2018b), 'New gas fields discovered in Uzbekistan', AZERNEWS, 23 January 2018 15:37. Retrieved from: <https://www.azernews.az/region/125948.html>

- Aminjonov, Farkhod (2016), 'Limitations of the Central Asian Energy Security Policy: Priorities and Prospects for Improvement', CIGI Paper No. 103. Series: CIGI Papers. PUBLISHED: MAY 20, 2016. Retrieved from: https://www.cigionline.org/sites/default/files/paper_no103web_0.pdf
- Aminjonov, Farkhod (2016b), 'Re-thinking Central Asian energy security : Pitfalls of export diversification policies', Friedrich Ebert Stiftung, 2016. Retrieved from: <http://library.fes.de/pdf-files/bueros/kasachstan/13546.pdf>
- Amstrup, Niels (1976), 'The Perennial Problems of Small States: A Survey of Research Efforts,' *Cooperation and Conflict* 11 (1976): 163-182.
- Anceschi, Luca (2008), 'Turkmenistan's Foreign Policy: Positive Neutrality and the consolidation of the Turkmen Regime', London, Routledge, 2008. ISBN10: 041545440-9
- Arka (2018), 'Armenia negotiating with Russia over gas price – energy ministry', Arka News Agency, 14:51 08.11.2018. Retrieved from: http://arka.am/en/news/economy/armenia_negotiating_with_russia_over_gas_price_energy_ministry/
- Armenpress (2013), Russia Reduces Gas Price for Armenia. 2 December 2013. Retrieved from: <https://armenpress.am/eng/news/742286/russia-reduces-gas-price-for-armenia.html>
- Asbarez (2018), "Putin, Pashinian Discuss CSTO", Aug 17, 2018. Retrieved from: <http://asbarez.com/174433/putin-pashinian-discuss-csto/>
- Ashurov, Abdullo (2014), 'Спустя шесть лет Ислам Каримов вновь посетит Таджикистан', Radio Ozodi, Central Asia, 10.09.2014. Retrieved from: <https://rus.ozodi.org/a/26575889.html>
- Asia-Plus (2018), 'Gazprom reportedly continues work on exploring new gas fields in Tajikistan'. Retrieved from: <https://www.news.tj/en/news/tajikistan/economic/20180720/gazprom-reportedly-continues-work-on-exploring-new-gas-fields-in-tajikistan>
- Aslanli, A. 2010. Azerbaijan - Russia relations: Is foreign policy strategy of Azerbaijan changing? *Turkish Policy Quarterly* 9, no. 3: 137–45.
- Associated Press (1994), 'Western Business Will Be Kazakhstan's Main Security Guarantee', edited by Edith M. Lederer. 22.03.1994. Retrieved from: <http://www.apnewsarchive.com/1994/Western-Business-Will-Be-Kazakhstan-sMain-Security-Guarantee/id-fff025bc745b6f628fb56a6e35802048>
- Babbie, Earl (2014), 'The Basics of Social Research (6th ed.)', Belmont, California: Wadsworth Cengage. pp. 303–04.

- Baigin, Shamil (2009), 'Недовольный Рахмон обсудит в Москве энергетику', Republic, 21.10.2009. Accessed on 26 Dec 2018. Retrieved from: <https://republic.ru/posts/1162588>
- Baker Fox, Annette (1959), 'The Power of Small States: Diplomacy in World War II', Chicago: University of Chicago Press
- Banks, John (1993), 'Kyrgyzstan: Problems, Opportunities', Oil and Gas Journal. Retrieved from: <https://www.ogj.com/articles/print/volume-91/issue-11/in-this-issue/general-interest/kyrgyzstan-problems-opportunities.html>
- Barden, Justine (2015), 'Natural gas pipelines under construction will move gas from Azerbaijan to southern Europe', US Energy Information Administration, 14/11/15. Retrieved from: <https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=23332>
- BBC News (2002), 'Caution ahead of Caspian summit', BBC News, 23.04.2002. Retrieved from: <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/1946236.stm>
- Bell, Joseph P. (2013). Regional Cooperation in the South Caucasus: Good Neighbours or Distant Relatives?, German, Tracey.Farnham, UK: Ashgate, 2012. ISBN: 978-1-4094-0721-8.Pages 579-581 | Published online: 15 Aug 2013
- Berg, Bruce Lawrence and Lune, Howard (2012), 'Qualitative Research Methods for the Social Sciences' (8th ed.), Boston. ISBN 9780205809387. OCLC 732318614.
- Blum, Douglas W. (2002), 'The Russian-Georgian Crisis and Baku-Tbilisi-Ceyhan', PONARS Policy Memo No. 252, Providence College. October 2002. Retrieved from: http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/pm_0252.pdf
- Bnews (2018), 'Kazakhstan receives gas export earnings by 25% more', Bnews, 05/10/2018. Retrieved from: https://bnews.kz/en/news/kazakhstan_receives_gas_export_earnings_by_25_more
- BP Energy Outlook (2019). Retrieved from: <https://www.bp.com/content/dam/bp/business-sites/en/global/corporate/pdfs/energy-economics/energy-outlook/bp-energy-outlook-2019.pdf>
- BP Statistical Review of World Energy (2019). Retrieved from: <https://www.bp.com/content/dam/bp/business-sites/en/global/corporate/pdfs/energy-economics/statistical-review/bp-stats-review-2019-full-report.pdf>
- Braveboy-Wagner, Jacqueline (2010), 'Opportunities and Limitations of the Exercise of Foreign Policy Power by a Very Small State: The Case of Trinidad and Tobago,' Cambridge Review of International Affairs 23, no. 3 (September 2010): 407–25.
- Bray, Mark and Packer, Steve (1993), 'Education in Small States: Concepts, Challenges and Strategies', (Oxford,UK: Pergamon Press, 1993), xxiii-xxiv.

- Brelsford, Robert (2018), 'Lukoil, Uzbekneftegaz start up Kandym gas processing complex', Oil & Gas Journal, HOUSTON, Apr. 19, 04/19/2018. Retrieved from: <https://www.ogj.com/articles/2018/04/lukoil-uzbekneftegaz-start-up-kandym-gas-processing-complex.html>
- Bryman, A. (2008) Social research methods. Oxford university press.
- Bueno De Mesquita, Bruce and Smith, Alastair (2012), 'Domestic Explanations of International Relations', Annual Review of Political Science 15 (2012): 161–81.
- Bugubaev, Kubangazy (2013), 'Kyrgyzstan-Russia Relations', Strategic Outlook, May 2013. Retrieved from: http://strategicoutlook.org/publications/Kyrgyzstan_Russia_Relations.pdf
- Bulmer, S. (1994), 'The Governance of the European Union: A New Institutional Approach. Journal of Public Policy, Vo.13,No.4. 1993. pp 351-380
- Caravanserai (2019), 'Uzbekistan to boost natural gas deliveries to Tajikistan', Caravanserai, 29 Jan 2019. Retrieved from: http://central.asia-news.com/en_GB/articles/cnmi_ca/newsbriefs/2019/01/29/newsbrief-02
- Cesnakas, Giedrius (2010), 'Energy Resources in Foreign Policy: A Theoretical Approach', Baltic Journal of Law & Politics 3:1 (2010): 30-52; DOI: 10.2478/v10076-010-0003-y
- Chen, Xiangming and Fazilov, Fakhmiddin (2018), 'Re-centering Central Asia: China's "New Great Game" in the old Eurasian Heartland', Palgrave Communications volume 4, Article number: 71 (2018). Retrieved from: <https://www.nature.com/articles/s41599-018-0125-5>
- Chivers, C.J (2005), 'European Union Imposes Sanctions on Uzbekistan', The New York Times, 3/10/2005. Retrieved from: <https://www.nytimes.com/2005/10/03/international/europe/european-union-imposes-sanctions-on-uzbekistan.html>
- Chivers, C.J. (2006), 'Explosions in Russia Cut Gas Pipelines to Georgia', The New York Times, 22 Jan 2016. Retrieved from: <https://www.nytimes.com/2006/01/22/international/europe/explosions-in-russia-cut-gas-pipelines-to-georgia.html>
- Chong, Alan (2010), 'Small State Soft Power Strategies: Virtual Enlargement in the Cases of the Vatican City State and Singapore,' Cambridge Review of International Affairs 23, no. 3 (September 2010)
- Chorshanбиеv, Pairav (2008), 'Таджикистан отказывается от дорогостоящей российской энергии, и ждет от «Газпрома» ускорения работ по разработке месторождений газа в РТ', Asia-Plus, 22.10.2008. Retrieved from: <https://news.tj/en/news/tajikistan-refuses-expensive-russian-power-says-energy-minister>

- Chorshanbiev, Pairav (2017), 'Таджикистан все больше импортирует сжиженный газ', Asia-Plus, 30/1/2017. Retrieved from: <https://news.tj/ru/news/tajikistan/economic/20170130/tadzhikistan-vse-bolshe-importiruet-szhizhennii-gaz>
- CIA, The World Factbook(2016), "Azerbaijan". Central Intelligence Agency, 2016
 CIA, The World Factbook(2016a), "Armenia". Central Intelligence Agency, 2016
 CIA, The World Factbook (2016b), "Georgia". Central Intelligence Agency, 2016
 CIA, The World Factbook (2017), "Kazakhstan". Central Intelligence Agency, 2017
 CIA, The World Factbook (2017), "Kyrgyzstan". Central Intelligence Agency, 2017
 CIA, The World Factbook (2017), "Tajikistan". Central Intelligence Agency, 2017
